

# წიგნისაწიგნი



# საქართველო


საქართველოს მხარეთმცოდნეო ინსტიტუტი \* LITERATURULI SAQARTVELO \* ЛИТЕРАТУРЫЛИ САКАРТВЕЛО

31 მაისი, 2013 წ.

№46 (3656)

გამომცემის 77-ე წელი

თამაზ წიგნწიგნი



## ბინაროღენ, ქართველებო! – „ლიტერატურული საქართველო“ აღსდგა! ახლა საქართველოს უნდა აღსდგეს!..

ძვირფასო თანამემამულენო! უკუმაღლედ გაჩენილმა სააკაშვილმა ამ ხუთი წლის წინ იმდენი მოახერხა, რომ „ლიტერატურული საქართველო“ დახურა და ამ გაზეთის საწყალი რედაქტორი ამდენივე ხნით ქართველ ხალხს გადაუმალა!

მთელი ამ წლების განმავლობაში აღარსად ვნანი – რომელიმე სატელევიზიო არხზე გამოვლავ კი არა, ამავე ტელევიზიის შენობისთვის ერთი კილომეტრის დაშორებითაც რომ ჩამეგლო, ამ მაუწყებლობის ხელმძღვანელს იმ წუთას გასკანავენენ!

ჩვენი ლაშა ნადარეიშვილი და ის რამდენიმე რედაქტორი ააშენოს ღმერთმა, კანტი-კუნტად და დიდი რისკის ფასად, მათივე გაზეთების ფურცლებიდან მცირედე ამოსუნთქვის საშუალებას რომ მაძლევდნენ!

არადა, თევზით ვარ! როგორც ის, წყლიდან ამოშტარი, წუთითაც ვერ ძლებს, მეც ასევე მემართება: თუ ხელში ჩემი საბრძოლო იარაღი, საწერ-კალამი არ მიჭირავს, წნევა მივარდება და სიცხე მეწვევა!..

თანაც, რა დროს დავრჩი უგაზეთოდ – იმ ხანად, საქართველოში, რიყეზე დაყრილ ქვესაც ცეცხლი ეკიდა, დუღდა და გადადუღდა ირგვლივ ყველაფერი!..

მე კიდევ, იმის მიუხედავად, რომ „სულ ლაშქარსავარ, რაც კია, ბუბუს მამსხლიტა დედამა“, ლიტერატურული გაზეთის გარეშე, მტრის მიერ იარაღაყრილ მებრძოლს ვგავდი!..

სხვა რაღა გზა მქონდა, დღენადავ გულში დიდი ვაჟა-ფშაველას სტრიქონებს ვიმეორებდი: „ვაჰ, დედა თქვენსა, ყოვბო, ცუდ დროს ჩაგივდავთ ხელადა, თორო ვნახავდი თქვენს ბუბულს გაშლილს, გაფანტულს ველადა!“

და, აჰა, ვინაროდენ, ქართველებო! „ლიტერატურული საქართველო“ აღსდგა!

ახლა შენც უნდა აღსდგე, საქართველო!..

„ბარბაროსი დაუღწევავს ციციშვილს!“ – წერდა თავის დროზე ღვთაებრივი ანა კალანდაძე. კვეხნად ნუ ჩამითვლით, ძვირფასო მკითხველო და, არც ერთი ციციშვილისა არ მშურს – მე იმ გაზეთის რედაქტორი ვარ, კომუნისტური რეჟიმის დროს თანამემამულეებს რომ აფრთხილებდა: „გაიღვიძეთ, გრიშა ბიძიებო, დეპოში ვართ!“

მე იმ გაზეთის რედაქტორი ვარ, ბატონ შევარდნაძეს რომ უწინასწარმეტყველა: მგელი ტოტისა დარად, შენივე გამოზრდილი ლეკები შეგჭამენო!..

მე იმ გაზეთის რედაქტორი ვარ, სააკაშვილის ზეობის პერიოდში საქართველოს მოსახლეობას ყურადღება რომ მიაპყრობინა – სახურავზე გიჟიყო!..

და, დღეს ეს კაცი, ანუ თქვენი მონამორჩილი, ახლად დაფუნებული საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტია!

ცხადია, ამას თავის შესქებად არ ვამბობ, უფრო ის მინდა, მკითხველი რომ უკეთეს გუნებაზე დაეაყენო!

დააკვირდით, რა კარგად გამოვიდა! როცა მიხედი სააკაშვილი პრეზიდენტად მოდიოდა, მე მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობიდან მივიდოდი!

დღეს კი, როცა მე საქართველოს მწერალთა აკადემიის პრეზიდენტად მოვედი, სააკაშვილი ქვეყნის პრეზიდენტობიდან მიდის!..

ასეა, ძვირფასო თანამემამულენო! ნათქვამია, ღრონი მეფობენ და არა მეფენიო! თუმცა ეს ანდაზა, გაცილებით უკეთ, ვანო მერაბიშვილის მაგალითზე ჩანს!

როცა ციხეში 45 ათასი პატიმარი იყო, იმ დროს ვანო მერაბიშვილი მორჭმით იჯდა მინისტრის საგარემოში!

ხოლო ახლა, როცა ამ 45 ათასი პატიმრიდან თითქმის ნახევარი, ამნისტიის შედეგად, დღეს სახლშია, ციხეში მარტო მინისტრი ზის!

უფრო სწორად, ორი ყოფილი მინისტრი, ვანო მერაბიშვილი და ბაჩო ახალაია!

სულ მალე ამ ბატონებს „დაღწევილი ბარბაროსებიც“ შეემატებიან, საცხედრად გამოზადებულნი ცოცხალ რიგში დგანან: გიგი უგულავა, გიორგი ბარამიძე, გიგა ბოკერია, გიგია თარგამაძე და, დარნი მათნი!..

ასე რომ, ქვეყანაში ბევრი რამ თავიდან იწყება, ზოგიც – ძველებურად რჩება!

„ლიტერატურული საქართველო“ ასპარეზზე გამოდის!

გრიშა ბიძიები ისევ დეპოში სხედან!

ხოლო ბობოლა ნაციონალები დღესაც სააკაშვილის ნაცშია!..

ინტერნაციონალის სტრიქონები კი ახლაც ძალაშია – „აღსდგეს კრულივითა დაღდასმული, ქვეყანავ მშიერ მონების!“

დარწმუნებული ვარ, ჩვენი ქვეყანა ასეთთა რიგებში აღარ იქნება – ჩვენს გადასარჩენად ღმერთმა საქართველოში ბატონი ივანიშვილი მოავლინა!

და, ახლა, თუ ყველა ქალი ბუტკაში შევა და იქ ქარავით, ჭრა-კერვით დაკავდება, ხოლო ყველა მამაკაცი ბუტკიდან გამოვა, კავსა და გუთანს მოეკიდება – საშველი უსათუოდ იქნება!..

ოღონდ მანამდე „ლიტერატურული საქართველო“ უნდა აღსდგეს!

ოღონდ მანამდე საქართველო უნდა აღსდგეს!

დღეს ყოველმა ქართველმა იცის, რომ ჩვენი ქვეყნის აღდგინება მხოლოდ ერთ კაცს – ბიძინა ივანიშვილს ხელეწიფება!

სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, „ქვეყნის ხერხემალი“, ვანო მერაბიშვილი ციხეშია და, როგორც ამბობენ: „ვერ გამოვა დიდხანს, დიდხანს, ხალხზე ზრუნვას თავს ანებებს, დამჯდარა და ფეხებს იფხანს!“

ამასობაში კი საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია უნდა აღორძინდეს, ქართველ ხალხს „ღმერთთან მოლაპარაკე“ და ერის წინამძღოლი ახალი ილია ჭავჭავაძეები უნდა აღუზარდოს!

სულ რამდენიმე წელი და, ბაზალეთისა ტბის ძირას აკვანში ის ყმა რომ წევს, „ვისიც არ ითქმის სახელი, ვისაც დღე და ღამ ნატრულობს ჩუმის ნატვრითა ქართველი“ – ქართულ ეროვნულ აკადემიაში დაფრთხიანდება და მომავალ საქართველოს წინ წარუძღვება!..

მანამდე კი, უკვე მეათასედ ვამბობ, „ლიტერატურული საქართველო“ უნდა აღსდგეს!..

მანამდე კი, ამასაც მეათასედ ვამბობ, საქართველო უნდა აღსდგეს!..

საქართველოს აღმდგენელზე ზემოთ მოგახსენეთ – ის ბატონმა ივანიშვილმა უნდა აღადგინოს!..

„ლიტერატურული საქართველოს“ აღდგენაზე კი ქვემოთ მოგახსენებთ – ისიც ბატონმა ივანიშვილმა უნდა აღადგინოს!..

და, საერთოდაც, ღვთისგან მოვლენილი ეს კაცი, მარტო ისტორიულ ძეგლებზე კი არ უნდა ზრუნავდეს, არამედ არც ის უნდა დაუშვას, რომ მის თვლაწინ კულტურის ძეგლები „ციცკარი“, „დილა“ და „მნათობი“ განადგურდეს!..

**ბინაროღენ ქართველებო! – „ლიტერატურული საქართველო“ აღსდგა! ახლა სრულიად საქართველოს უნდა აღსდგეს! ბატონო ბიძინა, როგორც მიტინგებზე გჩვენოდათ: „ლიტერატურულ საქართველოს“ გა-უ-მარ-ჯოს!.. ბატონო ბიძინა, როგორც მიტინგებზე გჩვენოდათ: სრულიად საქართველოს გა-უ-მარ-ჯოს!..**



# საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის მიმართვა საქართველოს პრეზიდენტ-მინისტრს, გაზონ ბიძინა ივანიშვილს



**საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე:**

**„თქვენ მწერლები და პოეტები არა მარტო იმისთვის ხართ, რომ ლექსი ან მოთხრობა დაწეროთ, არამედ თქვენ ბრძანდებით წინამძღვარნი ჩვენი ერისა, და არა მარტო წინამძღვარნი, არამედ წინასწარმეტყველნიც ქვეყნის ხვალისდელი დღისა. თქვენ უნდა დაუხახოთ ჩვენ ერს გზა მომავლისა – ღმერთმა შეგაძლებინოთ“.**

საქართველო მწერალთა და მწიგნობართა ქვეყანა იყო ფარნავაზიდან დღემდე და უფრო ადრეც: პრეისტორიულ ქალდეურ-იბერიულ ეპოქებში მწერლობას ყოველთვის თავისი მაღალი სტატუსი ჰქონდა, ვინაიდან, – „სიტყუა იყო პირველთაგანი და სიტყუა იგი იყო უფალი!“ – ეს იცოდა ბიბლიის შემქმნელმა, ეს იცოდა ფარნავაზმა, ეს იცოდა გრიგოლ ხანძთელმა, დავით აღმაშენებელმა, თამარმა...

ეს იცით თქვენ, ბატონო ბიძინა, და ვიცით ჩვენ!.. ამიტომ დიდ მეფეებს მწერალი და „მწიგნობართუხუცესი“ ესვა კარზე, ის მართავდა „გონის იერარქიას!“

თვითონ მეფენი იყვნენ მწიგნობარნი და მწერალნი: დავით IV, დემეტრე, თეიმურაზი, არჩილი, ვახტანგ VI, გორგასალი. ისინი თავად ქმნიდნენ ჰიმნებს და საგალობლებს და აარსებდნენ მწერალთა და მწიგნობართა აკადემიებს: იყალთოს, ათონის, გელათისა თუ ფაზისის სახელით. აღმაშენებელი საგანგებო სახლებს და მედრესეებს უშენებდა პოეტებს!

გარეჯისა და შიო-მღვიმის მღვიმეთა /უდაბნოთა/ წიაღში მწიგნობარნი ისხდნენ და წერდნენ, თარგმნიდნენ სახარებას და ბიბლიას.

ქმნიდნენ ჰიმნებს: იოანე მინჩხი, მტკვებარი, მიქაელ მოდრეკილი, იოანე ზოსიმე, მერჩულე...

რომ არა ილია ჭავჭავაძე და „ივერია“, რომ არა XIX საუკუნის მწერალთა და მწიგნობართა მანათობელი ხომლი: /ილია, ვაჟა, აკაკი, ყაზბეგი, გოგებაშვილი, მაჩაბელი და სხვა/, ვერ გადარჩებოდა საქართველო, არ „გვექნებოდა“ არც XX საუკუნე! – მამული, ენა, სარწმუნოება – ეს „ლოგოსური ფორმულა“ ერს ხსნისთვის დიდმა ილიამ შეუქმნა!

მწერლობამ გადაარჩინა ქართველი ერი – ვინაიდან ენა და სიტყვა გახლავთ ქართველი ერის ენერგეტიკა, ხოლო პოეზია არის ქართველი რასის „სოლარული გვირგვინი!“

ამიტომაც რუსთაველის მზე უნათებს /და უნათებდა/ ქართველ ერს მზებუდობის ღამეებს (ის გვასწავლიდა ჩვენ: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა“, ან „რასაცა ვასცემ, შენია!“)

ვაჟა-ფშაველა და ხალხური პოეზია ღვივის იბერთა ცის გუმბათზე და მსოფლიო ცივილიზაციებს უგზავნის ჩაუქრობ ნათებას – (სრულიად უცნობ პულსარებს) კავკასიის საკრარული

სივრცეიდან... და რაც მთავარია: გენიალურმა ფარნავაზმა პირველი ქართული სახელმწიფო /ქრისტემდე III საუკუნეში/ ქართული ენისა და დამწერლობის ნიადაგზე შექმნა და აქცია იგი გაერთიანებული სახელმწიფოს ღერძად! ამდენად: მწერლობა და მწიგნობრობა, ენა სახელმწიფოს სუვერენიტეტის გამომხატველი, ერის ზნეობრივი კატეგორია! მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს მწერლობას – ჩვენს აპოკალიფსურ დროში – არ გააჩნია სტატუსი.

უფრო მეტიც: მწერლობა ამოვარდა და განიდევნა ქართველი ერის საარსებო სივრციდან, ეს შეძლეს ქართველი ერის მტრებმა და განახორციელეს მიზანმიმართულად... თუმცა, ამაში „ლომის წილი“ თვით „მწერალთა კავშირს“ და მათ დღევანდელ მესვეურებსაც მიუძღვის: მათ მოახერხეს „კავშირის“ მწერლობის „ფალსიფიკაცია“ – მწერლობა „გაზომეს“ რაოდენობით და არა ხარისხით...

აგრეთვე, მათ გაიყვეს მწერალთა ქონება – ვითარცა „საფლავის მიწა“ /როგორც წერილი არს/ და მუნ „თავი დაიმარხეს“ – საჯაროდ, ტელევიზიით თათხეს და ათრიეს ერთმანეთი, ეს იყო ერთგვარი „ზნეობრივი ჰარაკირი“ და თვითლიკვიდაციის ტოლფასი... რამაც, ზოგადად, მძიმე დარტყმა მიაყენა ქართულ მწერლობას და წაართვა „ბილთი ზავით არ შეკვრის“ უნარი...

მათმა სამარცხვინო საქციელმა ათქმევინა უწმინდეს ასეთი ტკივილიანი ფრაზა: „თქვენ მწერლები, არც ისეთი ცუდები ხართ, როგორც ჩანხართ და როგორც იქცევით!“ მაგრამ, სამწუხაროდ, მათ ვერაფერი შეისმინეს, ვერ გაცნობერეს საკუთარი დანაშაული, ამდენად, არც სინანული და არც სინდისის ქვეჯა არ იგრძნობა მათი მხრიდან...

ამათზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, მაგრამ ვიტყვი, რომ XXI საუკუნეს მწიგნობართა და პოეტთა უძველესი ქვეყანა რამდენადმე დისკრეტიზებული, დევალივირებული მწერლობით შეხვდა / იშვიათი გამონაკლისების, პატრიოტების გარდა/. როდესაც მწერლობა „კვდება“ და კლავენ, როდესაც ერი მწერლობის გარეშე რჩება, იგი განწირულია, როგორც თემი – ხოგაის მიწიას გარეშე! /კვდება ბრძენი ხოგაის მიწია – კვდება თემი – ეს საკრარული სიბრძნეა დანახული ვაჟა-ფშაველას მიერ/. სწორედ მწერლობის განდევნამ

და მისიის წართმევამ გამოიწვია ქართველი ერის სულიერი დეპრესია და ზნეობრივი კრიზისი III ათასწლეულის მიჯნაზე, რასაც მოჰყვა ეკონომიკური ნგრევა.

ამავე მოვლენამ განაპირობა ათასი ჯურის „ანტიქრისტეთა“, „ლიბერტიანელთა“, „პედოფილთა“, „ჰომოსექსუალთა“ და „ჰომონიფუსთა“ აღზევება! სამწუხაროდ, ქართველი ერის მატერიალური და სულიერი გარემო მედროვეთა და „სულიერ არამზადათა“ ხელში აღმოჩნდა!

ამდენად, ჩვენი ერის არსებობის ამ ურთულეს ისტორიულ ეტაპზე მწერალთა გარკვეულმა ნაწილმა მივიღეთ მტკიცე გადაწყვეტილება, დაგვეარსებინა საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია – ერის სულიერ ფასეულობათა და ტრადიციათა დაცვის ცენტრი: ახალგაზრდა თაობის დაოსტატების სკოლით, „ტრადიციათა ცოდნის“ კათედრით – ფოლკლორული და მითოლოგიური / ერის საკრალური ცოდნის/ გაკვეთილებით.

ამ ურთულეს დროში მწერლობამ კვლავ უნდა იხსნას სამშობლო, მამული, ენა, სარწმუნოება, როგორც ეს შეძლო მე-19 საუკუნის მწერლებმა ელიტამ. მათმა პირადმა მაგალითმა და ზნეობრივ გმირთა გალერეამ – რომელიც მათ შექმნეს და დააყენეს მამულის მეციხოვნეებად.

საქართველოს მწერალთა ეროვნულმა აკადემიამ უნდა შექმნას ერის ზნეობრივი და კულტურულ-ეკონომიკური ხსნის საკრალური მოდელი, ერის ტრადიციულ ფესვებზე და ნიადაგზე დაფუძნებული კონცეფცია.

ეს არ იქნება ეკლესია, მაგრამ იქნება ზნეობისა და სულიერების ტაძარი თავისი მწერლებით და მწიგნობართუხუცესებით, ყველა თაობის სინერგიათა მთლიანობით...

ჩვენ ხელისუფლებას ვეუბნებით, რომ ქვეყანას სჭირდება მწერალთა ძლიერი ინსტიტუტი მაღალი სახელმწიფო სტატუსით, მწერლობის ყველა თაობის დამცავი ფონდით და სისტემით!

თუ გვინდა რომ ქვეყანა გადარჩეს, ჯერ მწერალთა და მწიგნობართა ინსტიტუტები უნდა გადარჩეს – ასე იქცევიან ჩვენზე დიდი ქვეყნები: ერაყთან ომის მერე სპარსელებმა დანგრეული ქვეყნის აღდგენა, ენის და მწერლობის აღდგენით დაიწყეს...

აზერბაიჯანსა და სომხეთშიც კი მწერალს საკუთარი ღირსების და შრომის შესატყვისი წილი მიეცემა: სტიპენდიის, პენსიის თუ ჰონორარის სახით! ისეთი „სტატუს-კვო“ როგორც რუსთაველის, ილიას, ვაჟას, ბარათაშვილის სამშობლოში, ანდა „ვეფხისტა და მოყმის“ შემქმნელ ერში ჩამოყალ-

იბდა მწერლობის მიმართ, პირდაპირ საგანგაშო და სამარცხვინო სახელმწიფოსთვის!

არ შეიძლება, ქართველი ხელოვანი, მწერალი, „კიბის ქვეშ“ ან სანაგვე ყუთთან შიმშილით იღუპებოდეს. ბოლო, 15-ოდე წლის განმავლობაში ათამდე მწერალმა მოიკლა თავი – სულიერი და მატერიალური, დეპრესიის მიზეზით. ალბათ, მსგავსი რამ დედამიწის ზურგზე არსად ხდება!

ბატონო ბიძინა, მწერალს არ სჭირდება „მანდატური“ და საპყრობილეთა რეჟიმში ყოფნა. მწერალთა კუთვნილ სახლში, რომელიც სააკაშვილის რეჟიმმა წაგვართვა, მანდატური გვიზის პოლიციელებით. ის აკონტროლებს ყველაფერს. ესეც სირცხვილია და დღემდე უცნობი „ლეთარგიული“ მდგომარეობა, როცა ქვეყანას ასეთი რამის მოთმინება შეუძლია!

ბატონო ბიძინა, თქვენ მწერალთა აკადემიას უნდა მიანიჭოთ სახელმწიფო სტატუსი: „მისცეთ შენობა“, აღუდგინოთ ისტორიული ჟურნალ-გაზეთები /„მნათობი“, „ცისკარი“, „საუნჯე“, „დილა“, „კრიტიკა“, „ლიტერატურული საქართველო“, რომელიც მწერლობას 21-ე საუკუნის „ჰიქსოსებმა“ წაართვეს!..

ქართველ მწიგნობრულ საზოგადოებას პარასკევი დღე ამოუვარდა ცნობიერებიდან, რადგანაც ამ დღეს გამოდიოდა „ლიტერატურული საქართველო“ და ყოველი ჩვენგანი სულმოუთქმელად უცდიდა მას.

ბატონო ბიძინა, თქვენ უნდა დაგვიბრუნოთ ეს გაზეთი და ბევრი სხვა რამ!.. თქვენ უნდა მისცეთ „კეისარს კეისრისა“ და „უფალს – უფლისა“, და რამეთუ „სიტყუა იყო პირველთაგან და სიტყუა იგი იყო უფალი“ – თქვენ ქართულ სიტყვას და სიტყვის მფლობელს უნდა მისცეთ მისი წილი! – ამას ითხოვს რუსთაველის, ბარათაშვილის და ვაჟა-ფშაველას სულის სინერგია მოსული მიწიდან და ციდან!

თქვენ ქართველმა კაცმა, რომელიც მხსნელად მოველინეთ დათრგუნვილ სამშობლოს და პოლიტიკაში პირდაპირ, რუსთაველის და ბარათაშვილის სენტენციებით შემოაღეთ კარი – უნდა აღასრულოთ ქართული მწერლობის გადარჩენის და აღდგინების მისია და გამოიყვანოთ იგი „ვითარცა ლაზარე“ „21-ე საუკუნის სარკოფაგიდან“.

ბატონო ბიძინა! მწერლობას და მწერლებს, რომელთაც ეს აკადემია დააარსეს /და აყალიბებენ/, „ლომის წილი უდევთ“ ერის ზნეობრივ ამბოხებაში“ და სატანის /„ანტიქრისტეს“/ დამხობაში ღვთისმშობლის ნილხვედრ ქვეყანაზე. ამდენად, ვფიქრობთ, რომ ჩვენი ეს უმნიშვნელოვანესი პროექტი თქვენს მიერ აღუსრულებელი არ დარჩება!

**პატივისცემით,**

**საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის სახელით:**

*რეზო აბაშუაძე, თამაზ ნიწნივაძე, ელიზბარ ჯაპელიძე, როინ მეტრეველი, კობა არაბული, ვახტანგ ხარჩილაძე, გენო კალანდია, ზაურ კალანდია, ალექსო გაბუაია, ტარიელ ხარხილაური, ანზორ აბულაშვილი, იმზარ კვიციანიძე.*

**საქართველოს მწერალთა აკადემია იქნება უძველესი და უახლესი მწერლობის და მწიგნობრობის სამართალმემკვიდრე ფარნავაზიდან დღემდე – უძველესი აკადემიების სტრუქტურათა და ტრადიციათა შემცველი... ზნეობრივი მისიის აღმსრულებელი ეკლესიასთან ერთად!**



თამაზ, ძმაო!

მინდოდა, ის გრანტებზე და ფულზე გავეშეული, უგვანოდ ამქუენ-ბული „სამართალდამცველი“ დედაკაცები საქვეყნოდ კედელზე გამეკრა, რომლებიც მალე თავიანთ მშობლებსაც საქვეყნოდ დააცხრებინან, ოღონდ თავის ლიბერასტ დირიჟორებს ასიამოვნონ, მაგრამ გამასხენდა, როგორ წაგვიჭირეს ყელში ხელი, როგორ გაგუდეს „ლიტერატურული საქართველო“ და როგორ გადაუკეტეს საძილე არტერია ნამდვილ, ზნეობრივ და ეროვნული ღირებულებების მქადაგებელ ქართულ მწერლობას. ამიტომაც, იმ ლექსს გიგზავნი, რომელიც მაშინ დაგინერე, ვულოცავ მთელ საქართველოს „ლიტერატურული საქართველოს“ ლაზარესავით

აღდგინებას, ხოლო იმ დედაკაცებს და ვაჟბატონებს მერე მივხედავ და ნათლად დავანახებ იმ „სიძულვილის ენას“, რომელიც თვითონ დათესეს, მაგ მშობლის საფლავებზე მდოგვის მთესველმა, სატანის უკანალზე და-ხატულმა მახინჯებმა და მერე ადგნენ მიჩვილნი თავიანთ აყროლებულ პატრონებთან და ვნახოთ საით დადგება საქართველო შარვალნახთილ უსამშობლო მანქურთებთან თუ მამულის, ოჯახის, დედა-ეკლესიის და ერის გადარჩენის მხარეზე!

შენი რეზო ამაშუკელი  
2013 წ. 27 მაისი

# ბამოთხოვა

– მშვიდობით თამაზ!  
ვეთხოვები საყვარელ გაზეთს!..  
მაგრამ ჩვენს ძმობას  
სიკვდილამდე ვერავინ წაშლის!..  
რა ხდება, მაინც,  
ქართველები რას ვცოდავთ ასეთს,  
რით ვერ შევაშრეთ თვალზე ცრემლი  
სამშობლოს დაშლილს?!

აღარ გათავდა  
ლალატი და გაუტანლობა,  
აღარ გათავდა ძმათა შორის  
შური და ღვარძლი!..  
– მონამობრივ გაძლებისთვის  
გიხდი მადლობას,  
გდევდეს, გფარავდეს  
მარიამის სხივი და მადლი!..  
მონატრება ამერ-იმერს ეგ ხმა ჯიქური!  
სტრიქონი შენი,  
მამულისთვის თავის დამდები!  
დგას მძალე სუნი  
„აჯანყების“, წალენჯიხურის  
და სისასტიკე  
ყრმათა სისხლში ჩამხრჩვალ ვარდების!..  
– ვიცი ლალით და იაგუნდით  
არ მღერის ბარემ!  
რასაც გნერ,  
მაგრამ, ერთგულებით მოყვება სევდა...  
მეც შენთან ერთად, ვით ამბობენ,  
მოვხურავ კარებს,  
რომ ზადენს ცრემლი ავუტანო  
და ლოცვა ზედანს...  
დადის კანდელით ღვთაებრივი  
ოქრომჭედელი –  
– შემოდგომა, და  
ფენს ბაჯალლოდ გადამდნარ ფოთლებს...  
...ვიღაც თარგმნიდა  
(მე ვერ შევწვდი, მე ვერ შევძელი)  
შავ და შხამიან ყვავილებში  
მძინარე ბოდღერს...  
– ესეც პოზა!  
ან ბედი, მგოსნის, ბებერის,  
თუმც, ხალხს რომ ჰკითხოთ,  
რა მიმყვება, გარდა ღვინისა?  
– ვიყავ მშიშარი,  
ყომარბაზიც, ლოთიც, შემბერიც,  
თავად შემკვეთი  
საკუთარი ბაღდახინისა!..  
– მძულს ჩემი თავი!  
მეც არ ვამბობ გაჭრილ სიმართლეს,  
კაცობა რარიგ შეიფერა  
ბევრმა გამცემმა!  
პატარა ჭიქით თავს ვიტყუებ  
და ძვლებს მივართევ,  
რომ მეც მელირსოს აღსარებით  
მუხლზე დაცემა...  
ვინ დაიჯერებს  
მამულისთვის ამათ ქველობას?!

გაციდულია ცაც და მინაც,  
ქართველის რაც არის!..  
– ვაი, ჩვენს პატრონს,  
ჩვენს კაცობას და ქართველობას!..  
გვიდევს გაშვერილ ხელისგულზე  
ცივი ნაცარი!..  
– ო, ამარიდე მონობა და  
ყოფა ძალღური,  
მოეც სიმხნევე, მაცხოვარო,  
მოეც ყოველთა!..  
არის ზეობა თვალთმაქცობის,  
არის ალღუმი,  
თვალბრუციანთა, ურწმუნოთა, იელოველთა!..  
არის კი რამე ქადაგება,  
უფრო საშური,  
ვიდრე სიკეთის,  
სიყვარულის, სულის სამყოფის?..  
– ამ თმაშელებილ, ამ დაკრეჭილ,  
ამ მჭლე საჭურისს  
მონვეთავს შხამი სიძულვილის  
და უარყოფის!..  
გავხედავ ზეცას შემოდგომის –  
– ცაა სოსანის...  
სისინებს ქარი უამური,  
გარეთ მწარედ ცრის...  
– ეს ბლუ ყმანვილი,  
ეს ჭალარა ბლუ წვეროსანი,  
კარგად განვრთნილი მსტოვარია  
მტრის და გარენრის!..  
...ასე მგონია,  
აშუქებენ ჟურნალს მოდების,  
ამ ქალბატონის სამოსით და  
თვალმარგალიტით!!!  
მაგრამ ხალხს მშიერს,  
ტყუილების მიდებ-მოდებით,  
რა პასუხს აძლევეთ,  
რა სინდისით, რა მაგალითით?!

„მეფის“ წინაშე ყურზე დგება, თავით  
ერჭობა,  
ეს სოვდაგარი,  
მიჩვეული კურტუმის ქიცინს...  
როცა დრო იყო,  
მადიანად თქვლიდა ელჩობაც,  
თუ დრო შებრუნდა,  
სხვის ფერხთითაც წაწვება ციმციმ!..  
– დაფლეს ზეიმით,  
მათივ ნეხვით გამომძერწავი!..  
თვალს არიდებენ საიდუმლოს,  
გამხელის შიშით.  
ან სად შეგროვდა  
სისხლით, ხორციით, სულით მეძავი,  
ასე ყველაფრის გამყიდველი  
მოდგმა და ჯიში?!

– ვით ჩამოვთვალო, რანაირად,  
რა დათვლის ამას?!

ამდენ თაბაგარს,  
ამდენ სეთურს,

ამდენ ასინეთს?  
„თუ ღრმა ღელეში“  
ჩემი თავიც დაგორდა, თამაზ,  
შენ მაინც იტყვი: –  
– ვერ გავგვტყვეს, ვერ შეგვაშინეს!..  
ლამის ახადონ ახალგაზრდებს  
თავისქალები,  
გადააჯიშონ ცოდვის თესლით,  
სიძვის მარცვლებით!..  
და ყარს ეკრანი  
მოძველებიჭო შიშველ ქალებით,  
ბლანჟიანი ბეკეკებით,  
ჭრელი საცვლებით...  
იქნებ გადახსნათ  
წინაპართა ძვალშესალაგიც!  
მაგრამ გახსოვდეთ: –  
– შეჩვენებას თქვენ ვერ ასცდებით!..  
ბრავო ბოზებო!  
დღეს თქვენია ჩემი ქალაქი,  
ხმადანვრილებულ მახინჯების,  
პედერასტების!..  
მაგრამ შიშია, ხვალის შიში,  
თქვენი ერთობა...  
ვჭკრეტ სავარძლებში გადაბლენძილ  
მძლარ ხვადაგებს...  
არი ტრაბახი,  
ჭყლოპინი და მუცელმერთობა,  
ზეპირად ვიცი  
ვინ რას ბლანდავს ან რას ქადაგებს!  
გულს ცეცხლი აღარ უკიდი  
დარჩა ნახშირი...  
მე ამ ნახშირით  
უკანასკნელ სურათებს ვხატავ...  
ოცნება დარჩა მდინარესთან  
შიშველ ბავშვივით...  
... და  
„Finita La Komedia“  
დაეშვა ფარდა!  
ვინ იცის,  
იქნებ მეგობრებიც შემოგეფანტოს,  
– მე ძმობის სუფრას დაგახვედრებ  
ნიადაგ, გაშლილს!..  
მშვიდობით თამაზ,  
გეთხოვები, როგორც რედაქტორს  
თუმც ჩვენს სიყვარულს,  
ვერასოდეს, ვერავინ წაშლის!..  
... ნოემბრის ცაზე  
უღიმღამო მზეა დაღლილი,  
ქარი ზუზუნით რევს ყვითელში  
მენამულ ფოთლებს...  
გაცვეთილ ტომრით,  
მეცნიერი, მხრებში წახრილი,  
დგას სანაგვესთან  
და აგროვებს გადაყრილ ბოთლებს...

2006 წ. 27 ნოემბერი



# მიმართვა საქართველოს მწერალთა კავშირის დღევანდელ და ამ ორგანიზაციიდან პროტესტის ნიშნად აღრიცხვას ნამოსულ წევრებს!

## ბატონებო და ქალბატონებო!

სამწერლო ორგანიზაციაში სამოქალაქო მშვიდობის დამყარების მიზნით, მე, საკუთარი ინიციატივით, ვიხსნი იმ ორწევრიანად ვადას, რომლის ჩამოთავებაც მწერალთა კავშირის თავმჯდომარის პოსტზე სააკაშვილის ხელისუფლებამ არ მაცალა!

მე ნებაყოფლობით ვიხსნი საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის სტატუსს!

მე ასევე ვიხსნი 700 მწერლის, აქედან 403 დღევანდელი მწერალთა კავშირის წევრთა, მიერ ჩემთვის მონიჭებულ ამ ორგანიზაციის თავმჯდომარის ტიტულს!

ვითხოვ ერთადერთ პირობას — მწერალთა კავშირის რიგგარეშე ყრილობა, როგორც წესდებით არის დადგენილი, ჩატარდეს არაუგვიანეს ორი თვისა — როგორც მეუბნებით, და გაზეთის ამ ნომერშიც არის მითითებული — თუ იმ მოპარულ ერთ წელიწადს არ ჩავთვლით, მწერალთა კავშირის დღევანდელ ხელისუფლებას ზუსტად ამ დღეს ეწერება ყრილობის მიერ მინიჭებული ვადა!

ყველა სხვა შემთხვევაში, მე, თამაზ ნივნივაძე, გპირდებით: საქართველოს ეროვნული აკადემიის, ჯერ-ჯერობით, დაახლოებით, 500-მდე მწერალი ერთდროულად დავტოვებ მწერალთა კავშირს და ამ ძველისძველ სამწერლო ორგანიზაციაში დარჩება ორი წევრი — მაყვალა გონაშვილი და ვაჟა ოთარაშვილი, რომლებიც ჯერ ერთი, არც ერთი მწერალი არ არის და მეორეც, დანასიხლად გადაკიდებულნი, ერთმანეთს არც ელაპარაკებიან!..

## ძვირფასო კოლეგებო!

ასე გაგრძელება აღარ შეიძლება — საქართველოს მწერალთა კავშირი ან უკვე უპატრონო მოხუცთა თავშესაფარს დაემსგავსა, სადაც ყველაფერი შემთხვევითობაზეა დამოკიდებული. დაიკარგა რეალობისა და სიმყარის შეგრძობა, სადაც მივექანებით, ვუახლოვდებით იმ საბედისწერო ზღვარს, რომლის იქითაც, არყოფნამდე, ერთი ნაბიჯიღა რჩება!

მწერალთა კავშირის დღევანდელი ხელმძღვანელობა დაემსგავსა დაფასთან გასულ მონაფესს, რომელმაც გაკვეთილი არ იცის და გაფაციცებით ელოდება ხელისუფლების კარნახს, როგორც გადარჩენის ერთადერთ საშუალებას!

წინასწარმეტყველის ნიჭი არ არის საჭირო იმისათვის, რომ განჭვრიტო მომავალი, სადაც, შესაძლოა, სრული სიცარიელე გველოდებოდეს!

დღევანდელი კრიზისი საბედისწერო ნიშნებს ავლენს...

რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ ამ აბსურდულ ვითარებაში, როცა დარღვეულია თანაფარდობა დროსა და აუცილებლობას შორის, აუცილებლობა საკმარისზე მეტია, დრო თითქმის აღარ არის!

არადა, ამქვეყნად უსასრულო არაფერია, რაც იწყება, ის მთავრდება კიდევ!

ამიტომ აღარ უნდა დავაგვიანოთ, სანამ ჯერ კიდევ ჩვენს ხელშია ქართული მწერლობის ბედი!

ყველას უნდა გვახსოვდეს — ქართული მწერლობა არ არის იმათი, ვინც დღეს მწერალთა კავშირის სათავეშია და არც იმათი, ვინც დღეს ამათ გვერდით არაა!

ქართული მწერლობა მარადიული კატეგორიაა ყველა დროის ქართველისთვის — ვინც იყო, არის და მომავალშიც იქნება!

დღეს ჩვენ ახალი გონაშვილები და ოთარაშვილები კი არა, აზრი და მოქმედება გვჭირდება!

ამიტომ თავს უფლებას ვაძლევ, განვაცხადო: იქნებ ვცადოთ და შევექმნათ ახალი ტიპის მწერალთა კავშირი ანუ საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია — ბატონებო! კოლეგებო! თუკი დრომ, მარქსისა და ენგელსის უკვდავი „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ მოაძველა, როგორ გგონიათ, ძერჟინსკის, იაგოდასა და ეჟოვის ხელში გამოვლილი მწერალთა კავშირის მართვის სტრუქტურები არ მოძველდებოდა?!

არ დაგიმალავთ და, მწერალთა კავშირში, ჩემი პირველი თავმჯდომარეობის დროს, მე გავბედე და გავაუქმე კიდევ კომუნისტების დროინდელი სტრუქტურები: პრეზიდიუმი, გამგეობა, დარგობრივი სექციები, ანუ ყველა ის ორგანო, რომლებიც დიდად დამეხმარებოდა ამ შემოქმედებითი ორგანიზაციის ძალისმიერ მართვაში!

დავიტოვე მხოლოდ ერთადერთი უფლება, არ მომიეზოდა მწერალს და ხელი შემეწყოს მის მიერ შექმნილი ლიტერატურული პროდუქციის წიგნებად ქცევაში!

ბევრი იყო თუ ცოტა, მაშინდელი ის ლიტერატურული პრემიები /25 ლარიდან 50-მდე/, რომლებიც მე მწერალთა კავშირის ხუთასივე მწერლისათვის მოვიპოვე, მხოლოდ ამ კეთილ მიზანს ემსახურებოდა!

სამწუხაროდ, ახალი ხელისუფლების ქვეყნის სათავეში მოსვლისთანავე იძულებული გავხდი თავმჯდომარის პოსტი დამეტოვებინა და ბევრი სამწერლო რეფორმა გაუტარებელი დამრჩა!..

მას შემდგომ თითქმის ათი წელი გავიდა, მაგრამ ჩემს მერე მოსულ მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობას, თითო-თითზე არ დაუკარგებია მწერალთა შემოქმედებითი პირობების გასაუმჯობესებლად!

მთელი ყურადღება პირადი კეთილდღეობისაკენ ჰქონდათ მიმართული!

ეგ კი არა, ეგ უკულმა დროზე გაჩენილები სააკაშვილის ფაშისტურ რეჟიმთანაც მშვენივრად თანამშრომლობდნენ — პრეზიდენტის მეუღლე, ქალბატონი რულოვსკი, მწერალთა კავშირის საპატიო წევრადაც მონიჭეს!..

ქალაქის მერიასთან მომპოვებელი ლიქენით, საკუთარი წიგნების გამოცემასაც ახერხებდნენ და საიუბილეო თარიღების პომპეზურად აღნიშნავდაც!..

ყოველივე ამის შემდეგ, საზოგადოების თვალში, მათხორრობის გზაზე შემდგარი მწერალთა კავშირისა და ცალკეული მწერლის ავტორიტეტი ნულამდე დაეცა!

დღეს, ნებისმიერ არასამთავრობო ორგანიზაციას მეტი ფასი აქვს საქართველოს მოსახლეობაში, ვიდრე ერთად აღებულ მთელ ქართულ მწერლობას, და ეს ხდება ჩვენთან — რუსთაველისა და ილია ჭავჭავაძის ქვეყანაში!..

არადა, ყველგან და ყველა დროს, ხელი-სუფლებას სიმართლის თქმას მხოლოდ მწერალი უბედავდა!

არ დამევიწყებდა, მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, პირდაპირ პირში ვუთხარი: მონადირის პოზაში ყოფნა დიდხანს გაგიგრძელდათ, ბატონო პრეზიდენტო და, რაკი აღარ ისვრით, თვალი მაინც გაახილეთ, თორემ თქვენი გამოზრდილი ლეკვები მგელი ტოტისას დარად შეგჭამენ-მეთქი!..

არ დაგიმალავთ, კოლეგებო! მე აქ დაბრუნებას იმით ვაპირებ, რომ, უპირველესად, ქართველი მწერლის ღირსება აღდგეს! მის სიტყვას ფასი მოემატოს, შიმშილი კუჭს აღარ უწვავდეს და დაჩაგვრასაც ვერავინ უბედავდეს!..

ხოლო რა გზით მივალწევ ამას, ეს უკვე „ფირმის საიდუმლოებაა“ და ახლა ამაზე ნუ ამალაპარაკებთ!..

ვინც მე მიცნობს, ყველამ იცის, სიტყვა და საქმე ჩემთვის ერთია!..

ამჯერად, ჩემი გუნდის უპირველესი ამოცანაა, ერთხელ ზვიად გამსახურდიასა და მეორედ ედუარდ შევარდნაძის მიერ მწერლებისათვის ნაჩუქარი ყოფილი კომკავშირის ცეკას შენობა დავიბრუნოთ — არა მგონია, „საწყალი მწერლებისათვის“ ორი ლარიანი პრეზიდენტის მიერ ნაჩუქარი სახლი, ერთმა მდიდარმა პრემიერ-მინისტრმა ჩამოგვართვას!..

მე სულ პირიქით მგონია, ბატონი ივანიშვილი ამ ჩვენს კუთვნილ შენობას, საკუთარი ფონდიდან, იმდენ თანხას დაამატებს, ჩვენი ლიტერატურული ძეგლების, „ლიტერატურული საქართველოს“, „დილის“, „მნათობისა“ და „ცისკრის“ აღდგენასაც რომ შეეძლებოთ!..

დღეს ამ ლიტერატურული ორგანოების გარეშე, ერის სულიერი და ზნეობრივი ცხოვრება მეტისმეტად დაკნინებულია!..

ანუ, თუ მეტი სიზუსტით ვიტყვი, ისეა დამცრობილი, როგორც სააკაშვილის ხელში — „ჩვენი ტურფა საქართველო!..“

თამაზ ნივნივაძე

## რეპლიკა

საქართველოს მწერალთა კავშირის ისტორიაში სამარცხვინოდ დარჩება 2009 წლის 15 ივნისს გამართული მწერალთა 23-ე ყრილობა, ისე შეუნიღბავად, ყველას თვალწინ გაყალბდა კავშირის ხელმძღვანელობის არჩევნები.

მწერალთა კავშირის, ჩვენთვის ცნობილი წესდების მიხედვით (თუ არსებობს ახალი წესდება, ის მწერალთა ფართო წრისათვის არავის გაუცხვინია), ხელმძღვანელობა უნდა აირჩეს ფართული კენჭისყრით, რომლის შედეგებსაც ყრბლობის დელეგატებს გააცნობს ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე.

აღნიშნულ ყრილობაზე ხმის დამთვლელი კომისია არ აურჩევიათ, რადგან ბატონ გურამ გოგიაშვილს, როგორც გაირკვა, სხვა ჩანაფიქრი თუ დავალება ჰქონდა. მან დარბაზში მყოფთ სიურპრიზი შესთავაზა, — არჩევნები ღია კენჭისყრით მოვანწყოთო. მომხრეთა რაოდენობა არავის დაუთვლია, არადა აშკარად ჩანდა, შეკითხვა რომ დასმულიყო, წინააღმდეგი ვინ არისო და ხმები დათვლილიყო, ღია კენჭისყრა არ ჩატარდებოდა.

ბატონი გურამი საეჭვოდ ჩქარობდა. სასწრაფოდ დასვა შეკითხვა, ვინ არის მომხრე, რომ მწერალთა კავშირის მოქმედი ხელმძღვანელები კიდევ ერთი ვადით ავირჩიოთ. — შემდეგ დარბაზს გადახედა და გამოაცხადა, — ხმების უმრავლესობით არჩეულები არიანო. მომხრეთა რაოდენობა არავის დაუთვლია, ეგ კი არა, თავმჯდომარემ, უბრალო ფორმალობისთვისაც კი, არ იკითხა, წინააღმდეგი ვინ არის ან თავი ხომ არავის შეუკავებიაო. ასე მოაკვარახტინა ბატონმა გურამ გოგიაშვილმა მისთვის სასურველი ხელმძღვანელობისთვის კიდევ ოთხი წლით ნეტარების გახანგრძლივება. ხაზგასმით აღვნიშნავთ, ოთხი წლით! — რადგან ამ ყრილობაზე არც ფარულ და არც ღია კენჭისყრაზე არ დამდგარა საკითხი ოთხწლიანი ვადის გაზრდის შესახებ. ასე რომ, კავშირის ხელმძღვანელობას ვადა ამანდის 15 ივნისს ეწურება და სასწრაფოდ უნდა დაინიშნოს მწერალთა კავშირის 24-ე ყრილობის ჩატარების თარიღი. მითუმეტეს, ახლანდელი ხელმძღვანელობის მისამართით იმდენი პასუხგაუტყემელი კითხვაა დაგროვილი, რომ ქალბატონი თავმჯდომარე და მისი მოადგილე-თანამშვენიერი თვითონვე უნდა იყვნენ დაინტერესებული, რაც შეიძლება ჩქარა, ამომწურავად და დასაბუთებულად გასცენ პასუხი ყველა კითხვას.

### მწერალთა ფორუმის სახელით

- ავალიშვილი მანანა
- ბაქრაძე ეკა
- ბრეგვაძე-კახიანი ლალი
- კალანდია ზაურ
- საჯავია ეკა
- ქადაგიძე ეკა
- ქუთათელაძე ნინო
- ჩალაბაშვილი თეიმურაზ
- ჩიტაშვილი მანანა
- წითელაშვილი ნანა
- ხარჩილავა ვახტანგ
- ჯაფარაშვილი ლალი





# რა მოხდა მწერალთა კავშირში 2013 წლის 22 მაისს

## პირველითავე იყო სიტყვა

აგერ უკვე 25 წელია, ჩვენ სამშობლოს თავს დაატყდა ისეთი მძაფრი და ურთიერთგამომრიცხავი მოვლენები, როგორც ჩვენ სამიათასწლოვან ისტორიულ მასსოვრობას არ ახსოვს: იყო თავისუფალი სულის აღზევება და სატანური ბოროტების დასაღვურება; ეროვნული ცნობიერების გაფურჩქვნა და ქვეყნად მცოცავი „მწვანე გველების“ სისინი; ბრძოლის შედეგად მოპოვებული თავისუფლებაც და მისი მყისიერი ხელყოფა და გაცემტვერებაც; ქართველთა ურთიერთშერკინება და ქართული სისხლის ნაკადულებიც. ასე რომ, დღესაც „მისი სისხლი მიწადან“ შემოგვღვადადებს და სწორედ ამიტომაც „წაირყვნა ქვეყანა... და აღივსო იგი უსამართლობით“... ერთი სიტყვით, ჩვენ თავადვე იავარკვევებით ქვეყანა, „რომლის ჭირსაც ვერვინ მოთვლის“...

მაგრამ საგანგაშო და ყოვლად საწუხარი ის არის, რომ სწორედ ამ უამიდან მოყოლებული დაიწყო ახალი მსოფლიოს მასონური გეგმის განხორციელება, რომელიც ყველა ერის და, მათ შორის, ქართველების, ფიზიკურ და სულიერ გენციდს ისახავს მიზნად. ახალი მსოფლიოს არქიტექტორებს კარგად აქვთ გააზრებული, რომ უფრო მეტი მნიშვნელობა და მსწრაფლ განსახორციელებელი ერის გადაგვარება, მისი მენტალიტეტის, აზროვნების სტრუქტურის შეცვლა, რასაც საბოლოოდ ეროვნების მოსპობა მოჰყვება. ამიტომაც, უპირველეს ყოვლისა, ეროვნულ ცნობიერებას შეუტეოს, რომელსაც ზოგადად ასაზრდოებს კულტურა, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, მეცნიერება, ხელოვნება, მწერლობა და, რაც მთავარია, სარწმუნოება.

საგულისხმოა, რომ ჩვენში ამ ანტიერონულ ბრძოლას სათავეში ჩაუყენეს ნეოლიბერალური ძალები, რომელთა იდეოლოგიაც ზედმიწევნით ესადაგება გლობალიზმის არქიტექტორების მიზნებს, პლანეტარული იმპერიის შექმნა და ყველა ეროვნების დეამიწის პირიდან აღგვა რომ ასულდგმულებს და ასაზრდოებს.

სწორედ ამ იდეით შეპყრობილმა ჩვენმა ლიბერალმა „რესპუბლიკელებმა“ დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს ქართულ მწერლობას, მრავალი საუკუნის მანძილზე ქართული ცნობიერების საყრდენი და წარმართველი რომ იყო.

უპირველესად ჩვენი დიდი მამების, ილიას და აკაკის, მაღალი ავტორიტეტის შეზღავდა სცადეს; მერე მოდგნენ და არც თანამედროვე მწერლები დაინდეს, კილავენენ და ცილს სწამებდნენ. შემდგომ ამისა

ქართული მწერლობის საგანგებოები – ბეჭდვითი ორგანოები: „ცისკარი“, „მნათობი“, „ლიტერატურული საქართველო“, „დილა“ და მისი, დახურეს. ბოლოს მწერალთა კავშირი, როგორც საბჭოთა კავშირის გადმონათობი, ამოიღეს მიზანში და მიწასთან გაასწორეს; წაართვეს ოდითგანვე კუთვნილი მწერალთა სასახლე, სადაც ჩვენ დიდ მოძღვართა სული ახლაც ჰგებებს. ამან ფაქტურად განაპირობა მწერალთა კავშირის დაშლა და მწერლების გათითოკაცება.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ქართველ მწერლებს ალამდარობა დათმობინეს; მაგანი საზოგადო მოღვაწეობას ჩამომორდა, განზე გადავა და კალმის საშუალებით იოხებდა გულის წუხილს; მაგანმა საერთოდ ხელი აიღო მწერლობაზე და მეტიც, სიცოცხლეზეც... სატანისტურმა ძალებმა თითქმის მიაღწიეს თავიანთ მიზანს, ქართული მწერლობა ვეღარ ქუხდა ძველებურად, ეროვნული სულის აღმძვრელი ქართული სიტყვა მინავლდა...

თუმცა მწერალთა ერთი ნაწილი ტყავიდან ძვრებოდა, ცდილობდა არ დაეთმო ასპარეზი, მაგრამ ეს ბრძოლას კი არა, უფრო ფაფხურს ჰგავდა, მათ შეინარჩუნეს მწერალთა კავშირი, თუმცა ამას არსებულ დესპოტურ რეჟიმთან კუდის ქიცინით და ლაქუტით ახერხებდნენ და იმის ნაცვლად, რომ იქნებოდა ამ ბნელი ძალების შემხარავი აღვირახსნილობა, მათი ზოტბა იწყეს. ერთი კი შეძლეს, ქვეყნის წარმეყენელ „ნაციონალისტთან“ საერთო ენა გამოეჩინათ, დაივიწყეს „ერის წყლული“ და სამშობლოს მომავალზე ფიქრსა და ჭმუნვას პირადი კეთილდღეობა აძვობინეს.

რომელი ერთი გავიხსენო: თბილისელების გამტყავებელ, ზნეობრივად გახრწნილ უგულავას ფერხიქვემ ეგებოდნენ, რა არის იქნება, ერთი-ორი გროში გეოქოლოგოსო. ქვეყნის დამაქცევარ, „მაგარ“ მიშაზე, რომელმაც ჩვენი სამშობლოს ტერიტორიის ოცი პროცენტი დაგვაკარგვინა, პატიოსანი ადამიანებით ციხეები გაავსო და, მეტიც, უცოდველო ახალგაზრდების თუ ძველგაზრდების სისხლის გუბეები დააყენა, აუცი არ წამოცდნიათ. პირუტყვი, როგორმე მისი გული რომ მოეგოთ, ქართველთა მაგინებელი და თავისი მოღვაწეობით არანაკლები ბოროტების ჩამდენი, „მიშას ქაბატო“ სანდრა მწერალთა კავშირის წევრად დიდი ზარზე იმით მიიღეს. რას იზამთ, ასეთი ყოფილა კარიერისტი მწერლის, ოდენ საკუთარ მუცელზე რომ ფიქრობს, ხარბი გული!

ახლანა გამოქვეყნებული განცხადების საშუალებით, რომელსაც ხელს აწერენ რესპუბლიკის სამხარეო, რეგიონალური თუ რაიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, შევიტყვევოთ, რომ თურმე დღესაც არსებობს ქართველ მწერალთა ძლიერი სტრუქტურული გაერთიანება, რომელმაც გაგვაფრთხილა: ე, მანდ არაფერი შეგეშალოთ, თორემ... კი მაგრამ, თუ ამგვარი მწყობრი და ორგანიზებული ლაშქარი იყავით, რამ დაგამუხჯათ, თქვე ერისშვილებო?!

ახლა მე თქვენ გეკითხებით თქვენი ყოფილი თანამოაზრე, კარგა ხნის წინათ პროტესტის ნიშნად რომ დავტოვე მწერალთა კავშირი, და გთხოვთ, გამცეთ პასუხი: რატომ დუმდნენ აჭარის მწერალთა ორგანიზაცია და მისი თავმჯდომარე, როცა უღვთოდ გაიყიდა აჭარის მიწა-წყალი გარმიანელებზე; როცა 27 ათასი თურქი ოფიციალურად ჩაეყენა ბათუმში და იქ ჩასახლდა; როცა ბათუმის აეროპორტი და თითქმის მთელი მრეწველობა თუ ვაჭრობა თურქებმა ჩაიგდეს ხელში, როცა მ. სააკაშვილმა „გაალამაზა“ ბათუმი შეუფერებელი და შეურაცხყოფელი ძეგლებით, როცა ახალგაზრდობის დიდზე დიდ ნაწილს „მოლობის“ პროფესიის დასაუფლებლად თურქეთში აგზავნიდნენ; როცა აჭარას ფაქტობრივად კარგავს საქართველო?! მითხარით, სად იყავით და რას იქმოდით?

სად იყო და რატომ დუმდა ქუთაისის მწერალთა ორგანიზაცია, როცა იმერეთის მხარეს თითქმის ამოხადეს ეროვნული სული, როცა დაანგრეს მერაბ ბერძენიშვილის დიდებული ძეგლი და საბილაგადგოა მასწობელა გველის ფორმის უზარმაზარი და უთავბოლო შენობა, „პარლამენტს“ რომ უხმობენ, ადამიანთა დაღვრილ სისხლზე წამოჭიმეს?!

სად იყვნენ და რატომ დუმდნენ თელავის და, თუ არ ვცდები, სიღნაღის მწერალთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები, როცა საქართველოს იმჟამინდელმა პრემიერ-მინისტრმა – ლადო გურგენიძემ კახეთის ვახის აჩუხვის ბრძანება გამოისცა და შაჰ-აბაზის ვერავალი მიზნის დაგვირგვინება და აღსრულება განიზრახა?!

სად იყვნენ და რატომ დუმდნენ რუსთავის მწერალთა უჯრადის თავკაცები, როცა რუსთავის მეტალურგიული ქარხანა გამოშინგნეს, მიწასთან გაასწორეს და რუსთაველი მეტალურგები მშვიერ-მწყურვალნი დატოვეს?!

რომელი ერთი შეგახსენოთ, საქართველოს მწერალთა კავშირის ბატონო მესვეურებო! ნუთუ ვერ ხედავდით და ვერ ხედავთ, რომ

ქართველი ერი განადგურებისთვის არის განწირული და ყოფნა-არყოფნის მიჯნაზე სულს დაფავს?! ამაზე დიდი ტრაგედია და უბედურება რა უნდა იყოს?! რატომ არ გოდებთ და კვენით? რამ დაგიშროთ ქართულ მარღვებში მჩქეფარე სისხლი, რამ გაგიჩრათ მამული-სათვის ატყვებული გული?! რამ?! მითხარით, რამ?! ევოცენტრიზმმა ზომ არაა?!

აი, ამ გაუსაძლისმა ყოფამ აიძულა ეროვნული უბედურებით შეძრული მწერლების ერთი ჯგუფი, დაეფუძნებინა „საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია“, რომელიც თავის რიგებში იწვევს ყველა მწერალს, მეცნიერს, ხელოვნებისა და კულტურის მუშაკს, ერის ბედი რომ აწუხებთ და რომელთათვის სულ ერთი არ არის, რა ელის ხვალ ქართველთა ვინაობას და იდეისტობას. ამიტომაც მის რიგებში მყოფათვის უმთავრესი მიზანია: არა კაბინეტური საქმეები და სავარძლების დაუფლება, როგორც ეს ახლანაგა მაგანმა გააუღვრა, არამედ ხალხში გასვლა და კულტურტრეკეობა; ქართული სიტყვისათვის ოდინდელი მნიშვნელობისა და ღირსების მინიჭება; ქართველ მწერალთათვის ეროვნული მედროშის ფუნქციის დაბრუნება; ქართული ტრადიციების, ზნეობის, ღირებულებების შენარჩუნება; მართლმადიდებლობის ურყევი ერთგულება; ქართველი ხალხისათვის ღირსების დაბრუნება; ქართველის გენეტიკური კოდის და მენტალიტეტის დაცვა, მას რომ სხვა ხალხთაგან გამოარჩევს; მისი სულის შეურყენელობის და აზროვნების სტრუქტურის მტკიცე მფარველობა; ილიას გზის ერთგულება, მოკლედ, ჩვენი იდეოლოგიის და ბრძოლის ძირითადი თეზისი იქნება: მამული, ენა, სარწმუნოება, გენი.

ყოველივე ეს, რაც უნდა პრეტენზიულად უღერდეს, დღეს უნდა განხორციელდეს, ხვალ უკვე გვიან იქნება! ქართველმა მწერლებმა, მეცნიერებმა, ინტელიგენციამ უნდა გადაარჩინოს ერი!

ჩვენი ბრძოლის დაწყების სიმბოლოდ მიიჩნეთ „ლიტერატურული საქართველოს“ გაცოცხლება – ხელმოკლედ დაბადება! დღეს რომ იხილა მზის სინათლე.

ჩვენი აკადემიის უმთავრესი მიზანია, გავაგრძელოთ ილიასული გზა ერის ხსინსათვის და მას, მჯერა, უფლის მფარველობა არ მოაკლდება!

ელიზბარ ჯაველიძე

## ჭაუბარიტად ისტორიული მომენტია

ჭეშმარიტად ისტორიული მომენტია – დიდი დევნილობის შემდეგ „ლიტერატურული საქართველო“ ქართულ მწერლობასა და ქართველ მკითხველს უბრუნდება.

ამასთან ერთად ცხრა წლის განმავლობაში დევნილობაში მყოფი ქართული მწერლობაც ცდილობს კვლავ მოიკრიბოს მხენობა და მწერალთა ეროვნული აკადემიის სახით იმ ძალად იქცეს, რომელიც საქართველოს ფარად აეფარებოდა.

თითქმის ცხრაწლიანი ომიდან ვბრუნდებით – დაღლილები, დაქანცულები, მრავალგანსაცდელგამოვილინი, მაგრამ მაინც დაუმარცხებელნი.

გამარჯვებულები, არ ვამბობ, რადგან გამარჯვებამდე ვერ კიდევ ბევრი ბრძოლა გადასახდელი.

გამარჯვებულნი შეიძლება არა, მაგრამ არც დამარცხებულვართ...

დამარცხდნენ ისინი, ვინც თავი დაუდრიკა სასტიკ და არაადამიანურ რეჟიმს, ზავით შეეკრა მოძალადეებს და მათი სისხლიანი ხელებით მორთმეულ ოცდაათ ვერცხლს დახარბდა.

კარგად მახსოვს, 2004 წელს როგორ ცდილობდნენ „ნაციონალიზმის“ ლიდერების მიერ დაგეგმილი მომწერლო-მოპოელო ელემენტები მწერლების გადაბირებას – ახალმა

ხელისუფლებამ შემოგვითვალა, ოღონდ წიგნივადე გაავადეთ მწერალთა კავშირიდან და ყველა სურვილს შეგისრულებთო.

სამწუხაროდ, ბევრი წამოგენნ მამინ ამ ანკეს და შედეგაც არ დააყენა – დაბრებული ოქროს კოშკების ნაცვლად მწერლები საკუთარი „კოშკიდანაც“ გამოყარეს, თუმცა ისინი, ვინც ამ დიდი ღალატის სათავეებთან იდგნენ, არ დაბნულან – სულ მალე ხელი-სუფლებასთან მისასვლელი საიდუმლო ბილიკები გამოიხსნეს და მის საეგ ვიქანს ისე დაეწაფნენ, დღემდე პირიდან ვერ ვაგვებინებთ.

ამგვარი სისხარბე, ასეთი ცინიზმი და უტიფრობა, რაც მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობაში ძალით მოსულმა ადამიანთა ჯგუფმა ცხრა წლის განმავლობაში გამოიჩინა, არც მინახავს და არც მსმენია.

– სამართლიანობა უნდა აღდგეს! – ასეთია უსამართლობით გატარებული საქართველოს მოქალაქეთა მთავარი მოთხოვნა.

სამართლიანობა მწერალთა კავშირში და მწერლობაშიც უნდა აღდგეს და მწერალმა ის ადგილი უნდა დაიბრუნოს, რაც მას ყოველთვის ჰქონდა ქვეყნის ცხოვრებაში.

მწერლობის დევნა და შევიწროება მხოლოდ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ არ დაწყებულა.

ის გაცილებით ადრე გამოამძევს ასპარეზიდან და საზოგადოებამდე მისასვლელი ყველა გზა ჩაუხერგეს.

შეგნებულად, მიზანმიმართულად, კარგად მოფიქრებული და აწინილ-დაწინილი გეგმის მიხედვით განხორციელდა ეს ანტიქართული, ანტისახელმწიფოებრივი აქტი, რომლის საბოლოო მიზანი ერის გამოთაყვანება და გამოყვევებაა.

რაც არ უნდა პარადოქსალურად უღერდეს, თავისუფალ, დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოში, მის სახელმწიფო სტრუქტურებში მწერლობის ადგილი არსად არ არის მონიშნული, რაც იმის დასტურია, რომ ეს თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველო სულაც არ არის თავისუფალი და დამოუკიდებელი.

რომელ დამოუკიდებლობაზე და თავისუფლებაზეა ლაპარაკი, როცა ქართველი ხალხის ჯალათებთან კოაბიტაციას გვაიძულებენ და ქართული სულიერების დასაცავად გამოსული სამღვდლოების სანძიმში და სამაგალითოდ დასჯას მოითხოვენ.

დღეს ერთი კაცის, დიდი კაცის, მართლაც დიდი ქართველის, ბიძინა ივანიშვილის იმედზეა მთელი ქვეყანა, ამ ერთ კაცს კი შინაური და გარეული ტურების ისეთი ლაშქარი ახვევია გარს, თუ ყველა პატრი-

ოტმა ქართველმა ხელი არ გამოიღო და ამ ტურებს დროზე არ მოსცხო წუწკ დრუნჩხე კეტი, საქმე შეიძლება ცუდად დამთავრდეს.

დღეს დიდი სიმართლის თქმის დროა, ამ სიმართლის მთქმელი კი მწერლობის გარდა არავინ მეგულება.

დანამდვილებით ვიცი, „ლიტერატურული საქართველოს“ დევნილობიდან დაბრუნება ახალ ხელისუფლებაში ბედის ირონიით მოხვედრილ ბევრ პოლიტიკოსს არ გაუხარდება, განსაკუთრებით ერთი ნულოვანი რეიტინგის მქონე პარტიას წყენება ეს ამბავი, რომელსაც, ალბათ, დღემდე ახსოვს „ლიტერატურული საქართველოდან“ ბევრჯერ მოქმეული მათრახის სიმწვავე.

ასე რომ, წინ დიდი ომი გველის... ეს ის ომია, რომელიც მწერლისთვის არასოდეს არ მთავრდება...

მწერალი ხომ ის მარადიული, უკვდავი მეომარია, რომელიც სიკვდილის შემდეგაც იბრძვის თავისი მართალი სიტყვით და ბრძოლის ველს არასოდეს ტოვებს...

ვახტანგ ხარჩილავა





# მწერალთა აკადემიის მისიის შესახებ

ჩვენი შორეული წინაპრები სიბრძნის, უფლის მცნებებს (ანდრეულ ტექსტებს) „კანონთა ქვეზე“ წერდნენ და „სიბრძნის ქვეზე“ – „ურის“ მოქალაქენი (ქალდეველნი) ქალაქის შესასვლელთან და გზაჯვარედინებზე დგამდნენ, გამველ მგზავრებს რომ წაეკითხათ: როგორც ჩანს, დიდმა მოსემ „შეამჩნია“ ეს ქვეები და საკუთარ სილვტოლოგიურ მეუდაბნოე რასას გააცნო და ასწავლა უფლის კარნახით...

როდესაც მესოპოტამიიდან აყრილი აბრამი ბალებსტინის გავლით „ურში“ შევიდა მას იქ დახვდა ნახევრად ღმერთი – თითქმის უხორცო წმიდანი მელქისედეკი (მელი სადუყი – ღვთიური შუქი სვანურად) და ამ ადამიანმა აკურთხა აბრამი როგორც მასზე უზენაესმა!!! მკვლევართა აზრით: ეს კაცი არის იბერთა ტომის შთამომავალი – „ურის“ მოქალაქე!.. ჩვენც, შესაძლოა, სწორედ იმ დიდი ქალდეურ-შუმერულ ქალაქის – „ურის“ მოქალაქენი ვართ: აქა-ურნი და იქა-ურნი, ზემო-ურნი და ქვემო-ურნი...

ლეონტი მროველი ბრძანებს: არტანუჯი იწოდებოდა „ქაჯთა ქალაქად“, ხოლო, უფრო უწინარეს დროში, მისი სახელი იყო „ური“...

ეტყობა იყო რამდენიმე „ური“ – იქმნება შთაბეჭდილება „ურიდან“ გასული აბრამი „ურშივე“ შედის...

ეს ცნობისთვის: ვინაიდან მწერალმა უნდა იცოდეს და „ასწავლებდეს“ თაობებს – ვინა ვართ და საიდან მოვდივართ...

ბუნებასა და კაცობრიობას შეცნობა სჭირდება – ეს მწერლის მისიაა!

ქართულმა ენამ და სიტყვამ (დამწერლობამ) მოიყვანა ქართველი ერი ფარნავაზიდან რუსთაველამდე, რუსთაველიდან ვაჟაძემ და ილიამდე... ხოლო ფარნავაზის უწინარეს – აივტიდან „ანუნაქებამდე“, რომელთაც კოლხური ოქრო მიჰქონდათ – „ნიბირუზე“ ანუ წითელ ვარსკვლავზე!..

... ყოველივე იმისთვის, რაც იყო და რაც უნდა იყოს მომავალში, საჭიროა ღირსეული მწერლობა და მწერალი, რომელიც მოუვლის და გადაარჩენს საკუთარ სამშობლოს!

მწერალმა იცის რა სტკივა მის ერს – იგი უფლის მოენება მიწაზე! – ვინაიდან სიტყვა იყო პირველი და ამ სიტყვის ძეგლობელია მწერალი.

მწერლობამ „ეროვნული აკადემიის“ მეოხებით უნდა შექმნას ერის (ქვეყნის) კულტურულ-ეკონომიკური, სულიერი ხსნის საკრალური მოდელი!

ჩვენს სამშობლოს სჭირდება მწერლის მიერ დანახული და დაწერილი მამულის მოვლის მისტიური პროგრამა, რომელიც ხელისუფლების გაკვეთილად (კონსპექტად) უნდა იქცეს, ვითარცა ჭყონდიდელის დროს იყო!..

\* \* \*

მწერალთა ეროვნული აკადემიის იდეა გააჩნია მწერალური მისიის (და უფლის ნების) აღსრულების აუცილებლობამ ჩვენს მამულში... ჩვენს მიწაზე, რომელმაც „მოიპოვა“ უფლის კვართი და ღვთისმშობლის წილხვედრილობა.

მწერალთა ეროვნული აკადემიის დარსების აუცილებლობა განაპირობა რამდენიმე ფაქტორმა, კერძოდ:

- ერის სულიერმა და ზნეობრივმა კრიზისმა (დებრესიამ) III ათასწლეულის მიჯნაზე;
- კულტურულმა დეკადანსმა;
- საყოველთაო მატერიალურმა სიღუპვით;
- სრულიად უცხო ტენდენციითა აღმოცენებამ ერის საარსებო სივრცეზე;
- ფსევდო კულტურათა სუბლიმაციაში; ქვეყნის მასონიზაციაში! „პომონოვუს-თა“, „პომოსეუს-თა“, „პედოფილთა“, „ლიბერტიანელთა“ ძალადობამ ერის ტრადიციებსა და ზნეობაზე;
- „პიბრიდულ რასათა“ გლობალურმა ექსპანსიამ ერის ცნობიერებაზე – ლი-

ბერტიანელთა შეჭრამ კულტურის ყველა სფეროში;

- ახალგაზრდა თაობის ზომიერებამ უცხო ძალთა და ენერჯიათა მიერ...

- ქართველთა აყრამ და უცხო ტომთა შემოღინებამ ღვთისმშობლის წილხვედრი მიწაზე;

- დემოგრაფიულმა კატასტროფამ, – იტორიულ პროვინციითა „სოლარული ზონის“ საბედისწერო რღვევამ, – გააჩინა მწერლის მართალი სიტყვის „გამოცხადების“ აუცილებლობა, მწერალთა ეროვნული ტაძრის დაარსება, სრულიად ახალი სტრუქტურული აღნაგობით, იბერიის უძველეს მიწაზე.

დაბოლოს, აკადემიის დაარსების გადამწყვეტ ფაქტორად იქცა ის, რომ ახლანდელმა კავშირმა მილიანად ამოწურა საკუთარი თავი და შეძლო ქართული მწერლობის დაჭაობება... „ბილწთან ზავით შეკვრამ“ და დასაბამითგანვე „პიქსოსების“ ტირანულ, უზნეო ხელისუფლებასთან „კოპაბიტაციის“ რეჟიმში ყოფნამ, ისინი ერისთვის მიუღებლად აქცია!

შეიძლება მწერალი არ იყოს გენიოსი, მაგრამ იყოს მაღალზნეობრივი, ვინაიდან მწერალი და მწერლობა ზნეობრივი კატეგორიაა, ხოლო ქართველი ერი, თავისი არსით, კულტურული ფენომენია და გენიალურ მწერალთა და მწიგნობართა მისტერიებში გამოვლილი...

ანტი მწერალი – ფსევდო მოღვაწე და მოქალაქე, რომელსაც შეუძლია ურიცხვი ფსევდო პრემია „მოიპოვოს“ და კერძობრივით ჩამოწეროს კატალოგში – სახიფათო მოვლენა!

სამარცხვინოა, როდესაც კავშირის მდროვე ხელმძღვანელს შეუძლია მწერალთა ქონების გაყიდვა-გასხვისება და მეტი ამპარტავანი ღიმილით სიარული!..

და მეტი, როდესაც ამ „ვერცხლით“ „მეთუნის მიწასავით“ ყიდულობენ სახლებს, აგარაკებს, ჯიბებს და ულუკმაპურო მწერლებს „სანაგვე ყუთებთან ჭოვებენ“! – ეს მწერალურ სივრცეში სტანდუარი ქვეყნის გამოვლენაა, რომელსაც ეტყობა, მხოლოდ „არდავანას ხე“ ან სამართლის (თემიდას) სკამი „ასწორებს“. ეს ასეც მოხდება!...

სავალალო და გასაკვირი ის არის, რომ გაყიდვას გადაარჩენილ მწერალთა ქონების მცირე ნაწილსაც სახიფათოდ „უმიზნებთ“ მაჩაბლის I ნომერში და იქ – ნუტუბიძეზეც...

360 მწერალი და აქედან 280 ჯერ კიდევ მწერალთა კავშირის წევრი (და ბევრი მათგანი პროტესტის ნიშნად გასული „თქვენნი სირცხვილიდან“) გაფრთხილებით: ხელი არ ახლოთ ქონების დარჩენილ წილს! (იქ თქვენ აღარაფერი გესაქმებათ!).

თქვენ „მოახერხეთ“ მწერალთა სახლის დაკარგვა მაჩაბლის 13-ში (სადაც ჯერ კიდევ რურუა-საკაპევილის დანიშნული მანდატური ზის) და მაჩაბლის 11-ში, რომელიც ორი პრეზიდენტის (გამსახურდაისი და შევარდნაძის) ბრძანებით იყო გადმოცემული ჩვენთვის!

„ლომის წილი გიდევეთ“ – მწერლებისთვის პოლიკლინიკის წართმევამიც და სხვა მიწის თუ ქონების „აორთქლებაში“ (თქვენ კავშირის ეხლანდელ მესვეურთ – სოკოსავით რომ შეეზარდეთ მწერლობას), აგრეთვე მწერალთა კავშირის „საკოლმურნეო ფერმად გარდაქმნაში“ – ერთ მიღებაზე 133 კაცი!!! (ავერ მაქეს სია მაყვალა-მიშველაძის ხელმოწერით!)

მითი, – ხალხური სიბრძნე, – გვასწავლის: ემი დიდში მცირე და მცირეში – დიდი! – არ არსებობს ბევრში – ბევრი, მით უფრო მწერალი! – თქვენთვის ეს უცნობი საკრალური ცოდნაა!!!

\* \* \*

„საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია“ არის ერის სულიერი და ზნეობრივი ფასეულობების, ტრადიციების დაცვის ცენტრი, უძველესი მწერლობის და მწიგნობრობის სამართალმემკვიდრე – ფარნავაზიდან დღემდე... და უფრო უწინარეს დროიდან – აივტიდან – ჰელაზგებამდე: - ეს წერია მის წესდებაში!

ჩვენმა ქვეყანამ (ერმა) სხვადასხვა დროში (ქრისტემდელ და ქრისტეს შემდგომ ეპოქებში) ააგო სიტყვის და ენის ბრწყინვალე ტაძრები მწიგნობართა და მწერალთა მეოხებით!

ფაზისის, იყალთოს, ათონის, გელათის აკადემიები, შიო მღვიმის, გარეჯის, თუ ვანის – მწიგნობართა სკოლები!

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია ამ მწიგნობრული ოაზისების სამართალ-მემკვიდრე და ისტორიული მისიის გამგრძელებელი უნდა იყოს!

ნიკო მარი ბრძანებს: „ქართულ ენაში დევს კაცობრიულ ენათა და ცივილიზაციათა გასაღები: აქ ინახება ენათა და რასათა გენეტიკური კოდი“.

მართლაც ასეა – ქართველმა ერმა ამ ენით (და ანბანით) მოიტანა და გადაარჩინა ჩამორულ ცივილიზაციათა პლასტები: მწერალთა და მწიგნობართა მეოხებით სვანურმა და მეგრულმა დიალექტებმა და ტოპონიმების სისტემამ, ხევსურთა ანდრეულმა მეხსიერებამ და რიტუალურმა შემოგვინახეს უძველეს დროთა და მოვლენათა მისტერია...

მწერალთა აკადემია გააგრძელებს ამ ტრადიციებს და მეხსიერების აღდგენას: მას ექნება ტრადიციითა ცოდნის, ერის საკრალურ ცოდნათა აღდგენის კათედრა – ლექციათა კურსები!

ყოველი ნივთი, ყოველი საგანი გადაადგილებულია ჩვენს მამულში (ჩვენს სახლში), ჩვენს ცნობიერებაში!..

სხვა ჩადგა სხვის ადგილში: დიდში – მცირე, მცირეში – დიდი!

წადმა თქმულის უკულმა შემსმენნი და მქმნელნი „კენჭავრნი“ მოველინენ ქვეყანას – ამოხადეს სული და გააუპატიურეს იგი!

დღევანდელი მწერალთა კავშირის მესვეურნი ამ პროცესის მონაწილე იქცნენ, მათ ვერ შეცვალეს მოვლენები და სიტყვა ვერ მიაშველეს ერს – მათ მხოლოდ ხელი „შეუშვირეს“ მწერალთა ქონებას და ხელი მოითბეს! – ეს არც სასაცილოა და არც სატირალი – ორივეზე მეტია!

ისინი თავისი საქციელით შეემველნენ უზნეობას და ასე იქცვიან დღესაც: ცდილობენ ჩრჩილივით ჩარჩნენ სამწერლო სივრცეში და იქიდან განდევნონ ნამდვილი მწერლობა...

თვითონვე ქმნიან და თვითონვე „მიორქმევენ“ ჯილდოებს და პრემიებს: ქალბატონ მაყვალას „ნობელის პრემია“ დარჩა გასაცემი – დანარჩენი ყველაფერი ჩამოაიგა „შილა ფლავიით“.

საწყალი ვაჟა-ფშაველა ამის შემხედვარე!..

\* \* \*

საქართველოს მწერალთა ეროვნულმა აკადემიამ ეს უზნეო „სნობიზმი“ უნდა შეცვალოს სიტყვის და მწერლის ღირსების აღდგენით:

„სიტყვა გადავადგე ერში“ – ბრძანებს ვაჟა! დიახ, მწერლის სიტყვა კვლავ უნდა ვაქცილით ერის სულიერი წონასწორობის ღვრიტად...

ახალ ეროვნულ აკადემიაში იქნება მწერალთა ყველა თაობის ელიტა, სადაც მწერალს არ ექნება რაიმე შეზღუდვა, რადგან შემოქმედს, სადაც უნდა და რო-

გორც უნდა ისე უნდა იყოს და იცხოვროს... ნებისმიერ აკადემიასა და კავშირში, სადაც უნდა...

ყველა ღირსეულ მწერალს მივმართავთ! ნურაფრის გემინიათ, მაყვალა-მიშველაძის მწერალთა კავშირის საკუთარი თავი აქვს მოჭმული და თქვენ „ველარ შეგჭამთ“ და ვერც ხელახლა გშობთ ამირანივით; ის ვერ მოგცემთ საზრდელს და ღირსებას – მოგაკრავთ მსოლოდ ახალი სირცხვილის იარლიყებს!

არის მხეცი, რომელიც საკუთარ თავს იჭამს – ასე იღუპება თავისით! ჩვენ ეს უნდა გავიგოთ: ყველაფერს უდგება თავისი დრო – დასაწყისი და დასასრული! კომუნისტური რეჟიმის ნებით შექმნილმა „მწერალთა კავშირმა“ მოიჭამა საკუთარი თავი, ამოწურა თავისი, როგორც ისტორიული, ასევე ზნეობრივი და შემოქმედებითი თვალსაზრისითაც და ფსევდო „ჯილდოებით“ და ანთოლოგიათა „სანაგვე ყუთებით“ დაასრულა თავისი არსებობა.

ჩვენ ავადგებთ სრულიად ახალ სამწერლო ტაძარს, აღმოცენებულს ისტორიულ ნიადაგზე უძველეს სამწერლო-სამწიგნობრო ფესვებზე.

ჩვენ ჯიუტად და კატეგორიულად მოვითხოვთ „კეისრისას და უფლისას“ იმდენს და იმ წილს, რაც სჭირდება მწერალს ფიზიკური არსებობისათვის და „სულიერი ენერგეტიკისთვის“, იმისთვის, რომ მწერალი საკუთარ სახლში და სამშობლოში უცხო „სტუმრად“ არ იქცეს... (და „შხამიანი სოკოებით“ არ იწამლებოდეს...)

ჩვენი მწერალთა აკადემია ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ახალ უნიჭიერებს თაობას (და თაობებს) შეექმნას „შესაქმის“ და შემოქმედებითი პროცესის ყველა პირობა, რომ ნიჭი იყოს დაცული და გარჩეული „ფსევდო ნიჭისგან“: მწერალი ზნეობრივი კატეგორიაა, ცასა და მიწას შორის მდგარი „მედიუმი“ – უფალთან მეკავშირე! – „მე ცა მნიშვნავს და ერი მზრდის!“ – ეს არ არის ჩვეულებრივი კაცის თქმული ჩვეულებრივი ფრაზა – ეს დიდი მწერლის სენტენციაა! ზნეობრივი კომპრომისი უზნეობასთან კავშირი, მწერლისთვის შეუთავსებელი სირცხვილია!

„ბილწით არ შევეკვირ ზავითა“ – ჩვენ ეს შეგონება გენიალური პოეტი მედიუმისა ვერ გავაცნობიერეთ!

ბილწთან ზავის შეკვრის „წილში“ ჩადგა ჩვენი ქვეყანა – და მწერლობაც დიდ წილად – და ამიტომაც ჩამოგვიდგენენ სოლომ-გომორის „აპოკალიფსური დრონი“! და ახლა ჩვენ იმის მტკიცებაც გვიწევს, რომ ქალი – ქალი უნდა იყოს და კაცი – კაცი! რომ კაცობრიობა, ანუ სიცოცხლე მხოლოდ მამრის და დედრის კავშირით იშვება...

ამდენად ამ „უჟამო ჟამში“ მწერლის მისია უზომოდ გაიზარდა!

მწერალი და მწერალთა ახალი ეროვნული აკადემია თავისი ზნეობრივი სამწერლო ინსტიტუტებით ისევე უნდა შევიდეს და დადგეს ერის დანგრეულ-დაშლილ სივრცეზე, როგორც მკურნალი, დასტაქარი ქოლერიან სოფელში! ან მამაცი გენერალი ბრძოლის ველზე...

შეიძლება ითქვას, რომ ახლა ჩვენ ომში ვართ – ყოფნა-არყოფნის კულტურულ-ზნეობრივი, ფიზიკური გადაარჩენის აპოკალიფსურ „სიმურში“ („წარღვნაში“): ქართველი მწერალი არ გავა ამ საბედისწერო ომიდან, სიცოცხლის ფასად რომ დაუჯდეს!!! და ეს ყველამ უნდა იცოდეს!!! უხაროდეს მას, ვისაც უნდა უხაროდეს და, სძულდეს მას, ვისაც მხოლოდ სიძულვილი, ამპარტავნება და ეგოიზმი კვებავს!

კობა არაბული









# „მანც საქართველომ ერქვა“

## ბადაძახილი

ალარ ვიცი, ვინ ან როგორ შევაჩვენო,  
ქსანს და არაგვს უცხო მუმლი მისევია,  
ქართლი, როგორც გაროზგილი დედაჩემი,  
გადატყაულ მუხლისთავზე მისვენია.

გვერდით მიდევს ვერცხლისფერი ამულეტი,  
თვალს ვარიდებ გადამტვრეულ,  
პირბლაგვ მახვილს,  
„რა უყავით, რა უყავით მამულეები?!“ –  
ტირილის ხმით ვილაღვ გალმით გამომძახის.

ეს ხმა ათას ჩემისთანა გულთან დავობს,  
ხან მრისხანებს, ხანაც გლოვის ისმის ზარი –  
„ვის მიეცით ეს წყალ-ჭალა საიგავო,  
უფლისაგან სასოებით ნაბოძვარი?!“

ამობრწყინდი, მზეო, ღამის გამთენებო,  
ჩვენ თუ არა,  
სხვა ვინ შეცვლის ამგვარ ამინდს...  
გაიღვიძეთ, გაიღვიძეთ, ქართველებო! –  
დამდგარია ტანზე თაფლის წასმის ჟამი.

ალარ ვიცი, ვინ ან როგორ შევაჩვენო,  
ქსანს და არაგვს უცხო მუმლი მისევია,  
ქართლი, როგორც გაროზგილი დედაჩემი,  
გადატყაულ მუხლისთავზე მისვენია.

## ლექსებს ვკითხულობ

ღმერთო, მომმადლე მოთმენის ნიჭი,  
დამბადა მწყემსად ანდა – ქვითხუროდ,  
გთხოვ, მაპატიო, მე როცა მიჭირს,  
ლოცვების ნაცვლად ლექსებს ვკითხულობ.

იდგა დარი თუ გრიგალს მივქონდი,  
სულ მწამდა, უცხო ნაპირს ვნახავდი,  
ვერ დავიურვე მაინც სტრიქონი,  
ვერ მოვიხადე ლექსის სახადი.

ნურვინ ჩამითვლის სურვილს აუგად,  
მუდამ მლოცველი ვიყავ ამ მიწის,  
რა ვქნა, თუ იის ეშხმა დამბუგა,  
ბრონეულეების ცეცხლში დავინვი.

ქარი რომ ნისლის ბაირალს გამლის,  
გულო, დარდით ნუ დამეხურები,  
შორს ვარსკვლავები ბრწყინავენ ცაში,  
როგორც იესოს ნაფეხურები.

ღმერთო, მომმადლე მოთმენის ნიჭი,  
დამბადა მწყემსად ანდა – ქვითხუროდ,  
გთხოვ, მაპატიო, რომ როცა მიჭირს,  
ლოცვების ნაცვლად ლექსებს ვკითხულობ.

## არაგველების მონოლოგი

ხმლებით ატეხილ  
ქარით ვშრებოდით,  
წყლულს ცხელი სისხლი  
გვბანდა,  
ერთი მტრის ჩეხვას  
ვერა ვრჩებოდით,  
ზღურბლთან  
მეორე ჩანდა.

მუხლთ მაინც  
არვის არ ვექნებოდით

ღვთის და  
მამულის გარდა,  
ჩვენ სიკვდილითაც  
ისე ვკვებოდით,  
რომ  
უკვდავებას ჰგავდა.

## პოეტი — მულიდი

ყველა იარა ქარმა მომიშრო,  
არ გავხდი მაინც ბედის მგმობელი...  
არც არავისთან მაქვს საბოდიშო,  
არც არავისთან – სამადლობელი.

სიტყვას მამულზე ფიქრში ვანებდი,  
უნდა გამეძლო ზამთრის სუსხამდი,  
ასე მგონია, ლექსს კი არ ვწერდი,  
ლექსს კი არ ვწერდი,  
ჩემს სისხლს ვუსხამდი.

არც არასოდეს ვყოფილვარ მოცლით,  
ტკივილებს პირი არ მოვურიდე,  
სტრიქონებს ჩემი სისხლი და ხორცი  
მაცხოვარივით ჩამოვურიგე.

დიდი ხანია, ცრემლი გამიშრა,  
ქართლის ერთგული ვიყავ მულიდი...  
ჩემი სიჩუმე სულაც არ ნიშნავს,  
ბედს დავმორჩილდი და შევურიგდი.

ქართლი და ასე მუხლზე დახრილი?  
ძლივს რომ მიჰკვალავს დროის აღმართებს,  
მამულს მართმევენ, რადგან მახვილი  
დიდი ხანია უკვე წამართვეს.

ყველა იარა ქარმა მომიშრო,  
არ გავხდი მაინც ბედის მგმობელი...  
არც არავისთან მაქვს საბოდიშო,  
არც არავისთან – სამადლობელი.

## მერე გაფრინდი

მიწას წივილით მივლოკავ,  
გზები მინამქრეს ქარებმა,  
სად მიჰყეფ, შავო ყორანო,  
საითკენ მიგეჩქარება?

ჯერ ჩემი გული დაფლითე,  
სისხლმა კოცონად იალოს,  
ჯერ მე და...  
საქართველოსკენ  
მერე გაფრინდი, ტიალო!

## აკვანი

(მიტოვებული სოფლის სურათიდან)

ფერფლი ნაჰყრია კერაზე ნახშირს,  
გზად გადუვლიათ მაღალ ანწლებს და  
უკარფანჯრებო შენეულ სახლში  
ქარი ცარიელ აკვანს არწევდა.

ჯარაზე თეთრი ობობას ქსელი  
და წვიმა მივსებს ფერად ჭინჭილებს...  
და ვეფერები მთრთოლვარე ხელით  
აკვანზე შებმულ მძივს და ღინჭილებს.

ჩამქრალ ერდოებს ჭოტი უკივის  
და კარს ჯვრის სახედ აკრავს ფიცარი...  
და მოძალადე თურქ-სელჯუკივით  
გრძელ კიბებზე არბის ჭინჭარი.



მანანა ჩიტიშვილი

და როცა ბინდი დადგება გარეთ,  
არსად კერიის შუქი არ ღვივის,  
ღია ფანჯრიდან გადმოდის მთვარე  
და შენს აკვანში წვება ბალღივით.

ფერფლი ნაჰყრია კერაზე ნახშირს,  
გზად გადუვლიათ მაღალ ანწლებს და  
ღმერთო, რა ვნახე, შენეულ სახლში  
ქარი ცარიელ აკვანს არწევდა.

## შვილისადმი

თუმცა იღბალი იმგვარად მთარსავს,  
ბევრჯერ ჩამატყდა ხელში ჭინჭილა,  
ნუ გეშინია, არ წავალ არსად,  
ვიდრე შენ კაბის ბოლო გიჭირავს.

შენ ჩემს სუყველა იარას შეველი,  
არა ტკივილი არ გეურჩება  
და ვგრძნობ, რომ შენი პატარა ხელით  
თვითონ სიცოცხლე მებლაუჭება.

ახლა ამ ზეცას მლოცველის მსგავსად  
შევყურებ რწმენით, განა – იჭვითა...  
ნუ გეშინია, არ წავალ არსად,  
ვიდრე შენ კაბის ბოლო გიჭირავს.

## მაინც საქართველო ერქვა

ვინ აცლიდა  
ლექსს და მღერას,  
ზედ აკლავდნენ  
კავს და ერქვანს,  
სისხლის ბევრი  
ნაკადული  
ზღვამ და ხმელმა  
დაილექა.

ვეფხის წიგნით  
ანცვიფრებდა  
თურმე  
მედინას და მექას,  
ღმერთი  
მარჯვენს უკურთხებდა  
მალლით  
ბეშქენსა და ბექას.

ურიცხვ მტრისგან  
გათელილი,  
როგორც  
ალვანური თექა,  
მაინც  
პირჯვარს ისახავდა,  
მაინც  
საქართველო ერქვა!



**„ლიტერატურული საქართველოს“  
დარბევა**

რა უყავით ერთი გოგოს გაცინებულ ფიტოს,  
წითლად დაფორაჯებული, სად გააქრეთ კაბა?  
ლურჯი იის დაძარღვულსაც, ველარ ვხედავ  
ფოთოლს,  
მისი ცრემლით, კამკამათი, მორწყულსა და  
ნაბანს.

მირზაშვილის ნახატებით მორთულს, ვნაღვლობ  
კედელს,  
რა ფრთის გაშლა ყვავილების, რა ბრიალი  
ფერთა...  
ის ოთახი მოსაკლავად როგორ გაიმეტეთ,  
მანანას და ნათელასაც ველარ ვნახავ ერთად.

იქ რაც მოხდა, ბევრს არ ვიტყვი, საშინელს გავს  
სიზმარს,  
ამაზრუნემა, ნეტა ტვინმა მოისაზრა ვისმა?!  
დასაბეჭდად იქ ვტოვებდი წერილებს და ლექსებს,  
ბევრჯერ ვმჯდარვარ იმ ოთახში, ზოგჯერ  
ყავაც მისვამს.

**არაფერი იცვლება**

მახსოვს ძველი მისამღერი:  
„რიმტი-ტარო! რამტი-ტარო!“  
ეს ქვეყანა სულ შენია,  
უზრუნველო და მდიდარო!

ხანში შესულს, რეგვენსაც კი  
უთეთრდება წვერი და თმა;  
ასეც, ისეც, დრო ჭირდება,  
წინილა რომ იქცეს ქათმად.

წიგნები რომ დავაღაგო,  
ვერ ვიყიდე ათი თარო...  
დოღს გაუდის ბრაგა-ბრუგი:  
„რიმტი-ტარო! რამტი- ტარო!“

**სატრაპანოდ არ ვამგობ**

სახელითა და ქონებით  
არ ამივსია ბოხჩა;  
ისე პატარაც არა ვარ,  
ერთი შეხედვით რომ ჩანს.

მერწმუნეთ, ჩემიც და სხვისიც  
ვიცი ზომა და კიდე;  
ბარეორს, თავი რო მოაქვთ,  
ლაჯებში ამოვიდებ.

**„იმიღის“ არხზე**

წუხელ, ღამით, ვუსმენდი  
პაპუაშვილს, ზაზას;  
გამაოგნა, შემზარა,  
იგი მოჰყვა რასაც.

იხსენებდა დარბევას,  
სისხლით მორწყულ ქუჩას;  
თქვა: გაგუდვას, ჯგლეთაში,  
როგორ გადაურჩა.

სიყალბეს, ერთ ნამცეცსაც,  
არ ამბობდა, მჯერა;  
უტიფრებმა რარიგად  
გაუსწორონ მზერა?!

იმათ, ადიდებული,  
ვერ გარეცხავს ღელე —  
ბრალი დასლო ვაჟკაცმა  
საქართველოს მკვლელებს.

მქუხარებდა, ხმა იმისი  
სინდისის ხმად ვცანი —  
ბოროტებას აღარასდროს  
მივცეთ გასაქანი!

29.05.2013

**ბამოცხადება**

ასე ხომ ფერიები დადიან,  
ლიმილი, შენი, ცის გახსნად ვცანი...  
რჩეულო ღვთისა, იშვიათია —  
ასე რომ გავდეს მდინარეს ტანი.

შენს ნათელს ბოლო სუნთქვამდე ვზიდავ,  
ეცადონ, ერთიც გიპოვონ ზადი,  
მიჭირს მაგ სახის გარჩევა მზიდან,  
ამეტებ ყველა ნატვრას და წადილს.

**საფლავები მოვინახულით**

ახლად ვიშვი და სიკვდილის  
მოვიშორე შიში...  
მამაჩემის დარგულ ხეთა  
გუშინ ვიჯექ ჩრდილში.

დამიმონმებს, გაიხსენოს,  
განუცდია ვისაც —  
სხვანაირი მოსავს მაღლი  
დღეებს, აღდგომისას.

თან რომ მახლდა, ჩემი ბიჭის  
სანდო ვიგრძენ მხარი,  
თუმც ცოტაზე ცოტა რამე  
მრჩება გასახარი —  
ორ ნაბიჯზე, ორი სოფლის  
მოჩანს გასაყარი.

**შაიროვის კილოზე**

კაცი უნდა დაიბადოს —  
იონესკოდ, ბეკეტად;  
ვერაფერი გიშველის თუ  
ტვინი გადაგეკეტა.  
მე რო მკითხონ, ბევრს გასროლილ  
რაკეტაზე შევსვამდი,  
კეტი უნდა უხათქუნო,  
ვინც დაგვაჯდა რეკეტად.

**მწერების სამყაროში**


(აფრიკა)

რომელსაც გინდა, ნაკადს მიეზი,  
ასეთად ვიცან მთელი ბუნება;  
ობებებისა და კალიების  
ბრძოლა, ერთურთის შესრამუნება.

ხოჭოს რქა, მორიელის ნესტარი,  
განირვის, მოკვდინების წამია;  
რა დავინახე, რას შევესწარი —  
ვინ ვის დაასწრებს კბენას, შხამიანს.

თვალს აგიჭრელებს ფუთფუთი მათი,  
ვის აირჩევენ დედად, ბელადად...  
გამოშიგნულა ფუთობით მატლი,  
რას არ ფქვავს ყბები ჭიანჭველათა.

ამაოდ გვიკვირს სიმამაგე მწერთა,  
ადამიანიც მოჩანს ყასაბად;  
ერთად ვინივლებთ და წავალთ ერთად —  
სიცოცხლე აძლევს ყოველს დასაბამს.



**ემზარ კვიციანი**

**ვმარხავთ არანსულ სილაგაზს**

(ელენე რობაქიძის ხსოვნას)

მუხლმოკვეთილმა, რაც მე ვიხილე,  
საშინელს გავდა სიზმარს...  
თვალთ დამიბნელდა — იმ თეთრ კუბოში  
მშვენიერება იწვა.

ვისმენდი, ითქვა: დაბადებიდან  
ღმერთის იყო სასძლო,  
ანგელოსური სულის პატრონმა,  
მინაზე ველარ გაძლო.

ძირს დავუყევი, არ ვიცი, ამას  
რა ბედი ჰქვია, რა სვე?!  
ესლა ვიფიქრე: ნაშობი ცისა,  
დაუბრუნდება ცასვე!..

**არ შევცვლილვარ**

ეტლი წუთისოფლისა  
მიგორავს და მოგორავს;  
ბავშვს მინახავს, მჭედელი  
რკინას კვერავს როგორაც.

მზრდიდნენ, ძნელად გასაზრდელს,  
მამიდა და ბებია;  
დღემდე იმათ ვუმადლი,  
თუ რამ დამიკრეფია.

ოქროს და ვერცხლს მერჩივნა —  
წყალობანი, ხისანი;  
ვიყავი და ვიქნები —  
შემოდგომის ხიზანი.

სასოებით სათქმელი  
იგრძნოს სასამ, ბაგემო...  
ხილი, რაც რო მოვხედე,  
ყველას მინდა ვაგემო.

**კაცად დარჩენაზე**

სიკვდილი ვის არ დაუმსხვრევს ჩაჩქანს,  
არ შეგეშალოს ნაბიჯი — კუჩხი;  
ყური არ უგდო უბირთა ჭაჭყანს,  
არ მიიკარო სიბილწე, ჭუჭყი.

სიმღერა უნდა ამოთქვას ყელმა —  
ცაში აჭრილი, სამარადისო,  
ვერას აკლებდეს მეხი და ელვა,  
ველარ იფიქრონ — ჟამი გადისო. ◆



სიტყვა შემოქმედებით ახალგაზრდობას!

ძვირფასო ახალგაზრდა კოლეგებო! როგორც გაზეთის რედაქტორს, მაქვს პატივი, დღევანდელი ფორმატის „ლიტერატურული საქართველოს“ ყოველი ნომრის ოთხი გვერდი სულგრძელად დაგიტოვო!

მოაწყვეთ შეხვედრები, მრგვალი მაგიდები, იდეატედ და იდისკუსიით ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე — გნებავთ, იუმორით დაკავდით, თქვენთვის რომ გასაღებელი და მკითხველიც მხიარულ გუნებაზე გყავდეთ!

მომატების კვალობაზე, შეგვეძლება გაზეთის ფურცლები ძველმა და ახალგაზრდა ლიტერატორებმა თანაბრად გამოვიყენოთ!

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია და გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“

„ალავერდი“ შენთან ვარ, ნინო ალვარო!

მწამს, რომ ამა თუ იმ ლიტერატურული პრემიის მინიჭება მწერლის ესთეტიკურ-ინტელექტუალურ პოტენციალს ვერ გაზრდის. ხშირად ავტორთა ამგვარი დაფასება-აღიარება არც არის მათი შემოქმედებითი შესაძლებლობების ეკვივალენტი.

სამწუხაროდ, საქართველოში ჩატარებულ ლიტმეჯიბრთა უმრავლესობაში კონკურსანტთა ბედს წყვეტენ ის ადამიანები, რომელთაც სათანადო თეორიულ-ინტელექტუალური მომზადება არ გააჩნიათ და არც უანგარო ესთეტიკური მიმართების დამყარება „შუქლიათ“ წარმოდგენილი ტექსტების მიმართ.

ბედის ირონიით ისე მოხდა, რომ ამ ლიტმეჯიბრში მონაწილეობა თავადაც გადაწყვიტე და აღმოვჩინე კიდევ პრემიის დაჯილდოვების მეტად პომპეზურ ცერემონიაზე, სადაც უამრავ ავტორს, ყურნალისტს და ლიტერატურის უბრალო მოყვარულს მოეყარა თავი.

თავიდანვე გადაწყვეტილი მქონდა, რომ კრებულს განვიხილავდი, რადგან კრიტიკოსისათვის მეტად საინტერესო და, ამავე დროს, აუცილებელიც კია, თვალი გადავხედოთ თანამედროვე ლიტერატურულ პროცესს.

„ალავერდში“ თავმოყრილი პროზაული ტექსტების გაცნობისას, უფრო სწორად, 173-176 გვერდების კიდევ ერთხელ გადაკითხვისას და საქ. მწერალთა კავშირისთვის სავალალო მდგომარეობის სასწრაფოდ გამოსწორების უშედეგო თხოვნით მიმართვის შემდეგ (სამწუხაროდ, ცალ ფურცელზე შეუშვეს და მეორედან გამოუშვეს), მივხვდი, რომ სარეცენზიოდ წარმოდგენილი წიგნის კვლევის მიმართულება აუცილებლად უნდა შემეცვალა.

\* \* \*

გურამ რჩეულიშვილის სახელობის პროზის კონკურსი ცუდად რომ აღმოჩნდა ორგანიზებული და ჟიურის წევრებიც უსამველოდ გულგრილად მოეკიდნენ საკუთარი მოვალეობის შესრულებას, იმ დაკვირვებიდანაც ნათლად ჩანს, რომ ლიტერატორებს მაქსიმუმ ათ დღეში (!) „მოუსწრაფთ“ დაახლოებით ას ორმოცდაათი პროზაიკოსის ტექსტების გაცნობა, ანალიზი, მათი მხატვრული ღირებულების დადგენა, რედაქტი-

რება-კორექტირება, ორას ოცდათხუთმეტგვერდიანი, საკმაოდ დიდი გაბარიტების კრებულის დასაბეჭდად გამზადება, ერთმანეთისათვის შთაბეჭდილებების გაზიარება და, რაც მთავარია, მონაწილეთათვის ერთსულოვანი, საბედისწერო განაჩენის გამოტანა.

პირის კავშირი ლირასთან

ჩემი ოპონენტების „ინტელექტუალური გაქანების“ იმედად რომ არ მომიწიოს დარჩენა, ყოველგვარი არასწორი ინტერპრეტაციისაგან თავის დასაზღვევად აქვე განვმარტავ, რომ ნერილის სათაური ალუზიაა ცნობილი ლათინურ სენტენციისა — Asinus ad liram (ვირი — ლირასთან), რომელიც აღნიშნავს გარემოებას, როდესაც ვინმე მისთვის შეუფერებელ საქმიანობას ეწევა.



და მინიატურების გარდა, დიდი მოცულობის რომანებიც იყო წარმოდგენილი, რაც, როგორც მინიმუმ, არ გააიოლებდა ჟიურის წევრთა საქმეს.

მკითხველი შეიძლება განცვიფრდეს, როგორ ძლიერ უნდა უყვარდეს ამ პატიოსან ხალხს საკუთარი საქმე, რომ ოფლის ღვრასა და დღე-ღამეების გასწორებას არ შეუშინდოდა, და თანაგრძობითაც განეწყოს „კანონმდებელთა“ მიმართ. თუმცა საქართველოს მწერალთა კავშირში მხატვრული ნაწარმოების შეფასებისათვის მისი წაკითხვა აუცილებელ პირობად სულაც არ მიაჩნიათ.

როგორც ჩანს, ტექსტის შეფასების ამ უნიკალურმა მეთოდმა (რაც მის არ / ვერ წაკითხვას გულისხმობს) გაამართლა და ჟიურის წევრებმაც მისი ყველა კონკურსის პრაქტიკაში დანერგვა გადაწყვიტეს. მინდა გულწრფელად მივულოცო, — ჯერჯერობით ექსპერიმენტი შესაშური წარმატებით მიმდინარეობს, — მართლაც, „ალავერდში“ დაბეჭდილ ტექსტთა უმრავლესობას არაფერი ეტყობა, რომ ვინმეს, უკაცრავად და, წაეკითხოს, ან მიღვდეს უარესი, — დაერედაქტირებინოს! ის კი არა, წიგნს, რომელშიც შესულია თხუთმეტმეტ (!) ოცდათხუთმეტ წლამდე ავტორების (გა)დაწერილი ტექსტები, რომელთა უმრავლესობა ენის ელემენტარულ ნორმებს აინუნშიაც არ ავდებს, კორექტორი, სტილისტი არ ჰყავს! არ ვიცი, რით დაიმსახურეს ასეთი ნდობა თხუთმეტი-თექვსმეტი, გნებავთ ჩვიდმეტი წლის ურთულეს საქმეს — პროზის წერას — შეჭიდებულმა ახალგაზრდებმა, მაგრამ იმას

კი ვხედავ, რომ „ალავერდს“ პრინციპულად განსხვავებული, ვიტყვოდი — დევიაციური შეხედულებები აქვს მართლწერის მთელი რიგი წესებთან დაკავშირებით. თუმცა ამაზე შემდეგ, წერილის მეორე ნაწილში...

მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს, „ალავერდის“ შემდგენელ-რედაქტორთა სასახელოდ ითქვას, რომ თურმე ისინი დადე-

და შემოქმედთა კავშირში 569-ე (სიზუსტეზე თავს ვერ დავებ) წევრად.

ეს სუბრობითი ისე კი, ჩემი მკითხველო, ალბათ, მიხვდით, რომ საქმე პლაგიატის განსაკუთრებულად მძიმე შემთხვევასთან გვაქვს. ჩემს გაცხადებას (რომელიც მალევე აღმოვთქაში გადაიზარდა) საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც „ალავერდის“ 173-176 გვერდებზე აღმოვაჩინე არგენტინელი ხალხისათვის სათვანებელი შემოქმედის საუკეთესო მოთხრობა, რომლის ავტორიც, თურმე, ვინმე შიო უგულავა ყოფილა! დახ, დახ, მისთვის, ვინც თვალს ვერაფრით უჯერებს, გაგიმეორებ: „საფრთხილებები“, რომელიც დიდი მწერლის, ალვარო იუნკეს კალამს ეკუთვნის და მისი შემოქმედების მწვერვალსაც სრულიად დამსახურებულად წარმოადგენს, ახალგაზრდა პროზაიკოსთა კონკურსის კრებულში — „ალავერდში“ — შიო უგულავას სახელით შედგენილი დენდისეული სიზუსტითაა დაბეჭდილი!

არ ვიცი, რეინკარნირებულ ალვარო იუნკეს, იგივე შიო უგულავას მართლა აქვს თუ არა პრეტენზია, რომ „საფრთხილებები“ მისი დაწერილია, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ღრმად პატივცემული შიო და კონკურსის მესვეურები შესაშურად კარგი იუმორის პატრონი ყოფილან. აბა, ისე რომელი ჭკუიდან გადამდგარი, გამოუსწორებელი ოპტიმისტი ირწმუნებს, რომ „ალავერდის“ ჟიურის წევრები (სავარაუდოდ, ხუთი ადამიანი) და რედაქტორები (ექვსი სული ლიტერატორი), ერთად აღებული თერთმეტი კაცი (სავარაუდოდ), ვიღაც მოციქულის უბადრუკი ოინაზობის მსხვერპლი გახდა?! არა, მეგობრებო, მირჩევნია (მათთვისაც ასე აჯობებს) ვიფიქრო, რომ ჟიურის წევრები საკონკურსოდ შემოსულ მასალებს არც გაცნობიან და ისე შეიტანეს კრებულში (დამეთანხმებით, არანაკლები ცოდვაა), ვიდრე დავიჯერო, რომ ამ თერთმეტი პიროვნებიდან ერთსაც არ წაუკითხავს წიგნი, რომელიც ქართულ ენაზე 130 000 (ორივე გამოცემა ერთად; პირველი — 100 000; მეორე — 30 000) ტირაჟით არის დასტამბული და ამ მაჩვენებლით თითქმის ოთხჯერ აღექვანდრე ნემანის „ქართულ სინონიმთა ლექსიკონს“, სამჯერ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონს აღემატება და, თქვენ წარმოიდგინეთ, იმაზე მეტი ვგემპლარია დაბეჭდილი (არ დაგვაიწყდეს, რომ ქართულ ენაზე!), ვიდრე ენგელსის „ფილოსოფია“ რუსულ ენაზე (!).

დახ, მკითხველო, მეც იმავეს ვფიქრობ, რასაც თქვენ! შემომოყვანილი სტატისტიკური მონაცემები ნამდვილად იმას მოწმობს, რომ „ლათინური ამერიკის რჩეული მწერლები“, რომელშიც ალვარო იუნკეს მოთხრობა „საფრთხილებები“ შეტანილი, სავარაუდოდ, ყოველი მეორე ოჯახის წიგნის თაროს ამშვენებს და ნახევარ საქართველოს მაინც ექნება წაკითხული!

ალბათ, იმაზე ლაპარაკიც ზედმეტია, რომ „ალავერდის“ ჟიურის წევრებსა და წიგნის შემდგენელ-რედაქტორებს, რომელთაც ესოდან საპასუხისმგებლო საქმე ანდეს და, შესაბამისად, უნდა ჰქონდეთ კიდევ პრეტენზია, რომ მხატვრული ლიტერატურის (ყოველ შემთხვევაში, კლასიკურის მაინც) ინი-ბინი გაეგებათ, სულ მცირე, ყურმოკრული უნდა ჰქონდეთ იმ მოთხრობის არსებობის შესახებ, რომელიც ლათინოამერიკული მწერლობის ნამდვილი მარგალიტია, ნათარგმნია მოსოფლიოს ყველა ძირითად ენაზე. რაც მთავარია, უამრავი პრესტიჟული გამოცემის (მათ შორის, ფრანგული და ამერიკული) მიხედვით, მოსოფლიოს ყველა დროის ოცი საუკეთესო მოთხრობის ჩამონათვალში შედის და მათ (ჟიურის წევრთა) მშობლიურ ენაზე, ვიმეორებ, — 130 000 ტირაჟითაა დასტამბული.

ბითად ყოფილან განწყობილი კლასიკური ლიტერატურის მიმართ. კერძოდ, სასიამოვნოდ გავოცდი, როდესაც წიგნის კითხვისას აღმოვაჩინე, რომ, გარკვეულ ასპექტებში ჩემი და მათი გემოვნება ერთმანეთს ეთანადება: გაირკვა, რომ ამ უკანასკნელს „ნამეტნავად“, ვიტყვოდი, გემოს გადაჭარბებით, ჰყვარებიათ ლათინოამერიკული მწერლობა. თუმცა რატომღაც მგონია, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ამ „დამსახურების“ გამო კრებულის ოთხი სრული გვერდი (გვერდების იმ რაოდენობასთან შედარებით, რაც სხვა ავტორთა შემოქმედებამ დაიკავა, ნამდვილად ასტრონომიული ციფრია) აუცილებლად უნდა დაეთმოთ არგენტინის ერთ-ერთი საუკეთესო მწერლის ალვარო იუნკეს საქვეყნოდ ცნობილი და აღიარებული მოთხრობა „საფრთხილებებისათვის“!

მართალია, წიგნის ანოტაციით ვგატყობინებენ, რომ „კრებულ“ „ალავერდში“ სწორედ ამ კონკურსზე წარმოდგენილი ნაწარმოებები დაბეჭდილი“ და იმითაც „გვემუქებიან“, რომ „წლების მერე არაერთი მათგანი დიდ ქართულ მწერლობას დაამშვენებს“, მაგრამ, რაც უნდა მძიმე და თავზარდამცემი იყოს ჟიურის წევრებისთვის ეს „ახალი“ სამგლოვიარო ცნობა-ღებუმა, მწუხარებით ვიტყობინებ, რომ უბედური ნინო ალვარო 30 წელზე მეტა დირსეულად აღესრულა და მშვიდად განისვენებს მშობლიურ მიწაში! შესაბამისად, გაგიკვირდებათ, მაგრამ ვერც „ალავერდზე“ წარმოადგენდა ნაწარმოებს და, დამალვას აზრი აღარ აქვს, მაკანთა დიდი სურვილის მიუხედავად, ვერც „დიდ ქართულ მწერლობას დაამშვენებს“, მითუმეტეს „წლების მერე“. ასე რომ, იქნებ საფლავში მაინც მოასვენოთ ეს პატიოსანი კაცი; თუ გაუსაძლისი არ იქნება, ძალიანაც არ გავიუტდეთ და ნუ ჩარიცხავთ ბუმბერაზ მწერალს პერსპექტიული ქართველი ავტორების მრავალრიცხოვან რაზმში.

იმედს გამოვთქვამ, რომ ჩემმა წერილმა სულზე მაინც მიუწერო და ცხონებული ალვარო იუნკე მოთხრობისათვის „საფრთხილებები“, ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, ჯერ არ მიუღიათ საქართველოს (ხაზს ვუსვამ, საქართველოს) მწერალთა

ლიტერატურული საქართველო



ესეც რომ არა, „საფრთხოებელი“, რომელიც იდეურ-ფორმალური თვალსაზრისით აბსოლუტურად გენიალურია, ნოვატორია და მეტად აქტუალურ, საინტერესო პრობლემებსა და თემებს სრულიად განსხვავებული რაკურსით წარმოგვიდგენს, იმდენად სპეციფიკური, კონკრეტულად ლათინოამერიკული მწერლობისათვის დამახასიათებელი სტილითა და ლექსიკით არის დაწერილი (ეს კი თარგმანშიც შენარჩუნებულია), მისი წაკითხვის შემთხვევაში შეუძლებელია დაივიწყო, რომ ის ახალგაზრდა ქართველი მწერლის შექმნილია. მართლაც, წარმოუდგენლად რთულია, ეკვი მინც არ შეგვაროს და, შესაბამისად, შემოწმების სურვილი არ გაგიჩნდეს, რომ სიუჟეტი, რომელიც ორი მოხუცი პონის – მარტინიანასა და სელესტინოს – ასიენდაში ცხოვრებისა და მათი ღონ ბრალისა და ნინო ფელიქსთან ურთიერთობის შესახებ მოგვითხრობს, თხუთმეტადან ოცდათხუთმეტ წლამდე ასაკის არათუ ქართველის, არამედ არალათინოამერიკელის დაწერილია!

თუმცა სტილისა და ლექსიკის მიხედვით ავტორის რომელ ამოცნობაზეა საუბარი, როცა, ხომ ნახეთ, მთელი საუკუნეში გარდაცვლილი საბრალო ალვარო ოუნკესთვის დროზე რომ არ მიგვესწრო, საქართველოს მწერალთა კავშირში უპირებდნენ ჩარიცხვას!

თუმცა, თქვენც არ მომიკვდეთ, ვიუურის წევრებს სხენებული მოთხრობა მთლად ისეც არ მოსვლიათ თვალში, რომ მისი ავტორი ამ დიდი პატივის (მწერალთა კავშირში ჩარიცხვის) ღირსად ეცნოთ. „საფრთხოებელი“, ამ ესოდენ განათლებული და გემოვნებიანი ხალხის გადაწყვეტილებით, გურამ რჩეულიშვილის სახელობის კონკურსის საუკეთესო ოცეულშიც კი ვერ მოხვდა! თუმცა ეს ნამეტანი დიდი ფუფუნება იქნებოდა ალვარო ოუნკესთვის! არგენტინელი მწერალი (დემიოლა იმქვეყნად განათლების მისი სული!) იმიტაც კაყოფილი უნდა იყოს, რომ ვიურის წევრებმა ახალგაზრდა ქართველ პროზაიკოსთა ერთი რიგითი კონკურსის კრებულის მიღმა არ დატოვეს! თუ ამ პატივცემული ხალხის ესთეტიკური გემოვნების გაქანებას გაითვალისწინებთ, საგარაუდოა, რომ ეს საფრთხე ნინო ალვაროს ნამდვილად დაემუქრებოდა.

წარმომიდგენია, რა გაწვლბული იქნება შიო უგულავა, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, გულწრფელად სჯეროდა, რომ „მისი“ მოთხრობა ტრიუმფალურ გამარჯვებას მოიპოვებდა და, შედეგად, ფინანსურად ოდნავ მაინც მოითხოვდა ხელს! ვწუხვარ, რომ ამ პატიოსან ადამიანს, ვიურის წევრთა მეტად უცნაური და პრეტენზიული გემოვნების გამო, კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. ამხანაგო შიო, ხომ კავიგონია, ზოგს მღვდელი უყვარს, ზოგს კადე – მღვდლის ცოლი. შენ გული ნუ დაგწვდება! იმაზე „ალავერდის“ ვიურის წევრებმა იდარდონ, რომ მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის წარმომადგენლის საუკეთესო მოთხრობას ჩვიდმეტი წლის ბავშვების ნაჯღანები (ყველა ტექსტს არ ვგულისხმობ) ურჩევნიათ!

ძვირფასო მკითხველო, მწამს, რომ არ შეიძლება ლიტერატურული კონკურსის მონაწილეთა ბედს წვეტდნენ ადამიანები, რომელთაც იმაზე მეტი წიგნი აქვთ გამოცემული, ვიდრე – წაკითხული!

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ „ალავერდის“ ვიურის წევრები თბიქტურობით ვერ დაიკვივნებიან. წარმოდგენილმა ფაქტებმა ცხადყო, რომ მათ ტექსტები კრებულში დასაბეჭდად ისე შეიტანეს, რომ არც წაუკითხავთ. ეს კი ააშკარაა, რომ გურამ რჩეულიშვილის პრემიების კონკურსანტთათვის მინიჭების საკითხი სავსებით არალიტერატურული მოტივებით გადაწყდა; რაც ნამდვილად სამწუხაროა და, თავისთავად, ეჭვქვეშ აყენებს გამარჯვებულთა შემოქმედებით შესაძლებლობებსაც. ფაქტი ჯოუტია: ვიურის წევრებისათვის საკონკურსოდ წარმოდგენილი ნაწარმოებების მხატვრულ ღირებულებას მნიშვნელობა არ ჰქონდა; მათ სრულიად სხვა ნიშნებით, კონკურსის გამოცხადებამდე შერჩეული ჰყავდათ ადამიანები, რომელთაც პრემიას მიანიჭებდნენ. შესაბამისად, ტექსტების წაკითხვას მათთვის ყოველგვარი აზრი ჰქონდა დაკარგული...

სამწუხაროდ, კონკურსის მესვეურებმა მკაცრად გაასაიდუმლოეს ვიურის წევრთა ვინაობა. ამიტომაც მე შემიძლია მხოლოდ ვივარაუდო, რომ ეს ადამიანები „ალავერდის“ მეორე გვერდზე მითითებული მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის წევრები შეიძლება ყოფილიყვნენ. მაგრამ, ვითვალისწინებ რა, რომ, მკაცრი დადგენილების შესაბამისად, მწერალთა კავშირის მიერ ჩატარებულ კონკურსებში ვიურის წევრები (ყოველ შემთხვევაში, ძირითადი ბირთვი მაინც) არ იცვლებიან, ასეთივე წარმატებით შემიძლია ვივარაუდო, რომ გურამ რჩეულიშვილის სახელობის პრემიის ბედი წელსაც მარმანდელი კონკურსის საჭეთმკრობლებმა გადაწყვიტეს.

ეს ეჭვი განსაკუთრებით მიმდგრდება „ალავერდის“ მარმანდელი კონკურსის ვიურის წევრ და ამავე (წლევანდელი) პრემიის ერთ-ერთ აქტიურ ორგანიზატორსა და სულისამდგმელ, რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტ ბატონ დავით ტაკიძესთან (ვინც ვერ იცნაოთ, გეტყვით, რომ ეს დიდად პატივცემული და დაფასებული პიროვნება, ამჯერად, ძველთან შედარებით, უფრო პოეტური გვარით – „შემოქმედელი“ – სარგებლობს, მაგრამ, თუ ნებას მომცემს, მე მაინც „ტაკიძე“ უფრო მომწონს) მიმართებით. ასევე, ვითვალისწინებ რა, რომ ეს ადამიანი ყველაზე აქტიურად მონაწილეობდა პრემიის პოპულარიზაციის, ორგანიზების საქმეში და „ალავერდის“ მართონში ჩართვის მსურველნიც, facebook-ის დახმარებით, მასთან გადიოდნენ საჯარო კონსულტაციებს, კონკურსის დახურვის ცერემონიაზე კი თავად დააჯილდოვა გამარჯვებულთაგან ერთ-ერთი ავტორი, ვვარაუდობ, რომ კონკურსის ვიურის წევრი დავით ტაკიძე-შემოქმედელი ნამდვილად შეიძლება ყოფილიყო.

მაგრამ მე ვერ გავხედავ, აზრად მაინც გავივლო, რომ ბატონი დავითი უწიგნური მწერალია და, დანარჩენ სწავლულთა დარად, მასაც არ წაუკითხავს ოუნკეს ცნობილი „საფრთხოებელი“. მკითხველს ჩურჩულით მინდა გავანდო ჩემი ეჭვი და უპოჩილესად ვთხოვო, არ გამცეს!

პატივცემული შემოქმედელი ზედმეტად ახლოს რომ იცნობს რიგი ქართველი შემოქმედების ნაღვას, საქვეყნოდ ცნობილი ამავეა. თუმცა, დარწმუნებული ვარ, ბატონ დავითს კოლეგების უსაზღვრო სიყვარულით თუ მოსდის ხოლმე, რომ ზოგჯერ სხვა პოეტთა შექმნილი მეტაფორები, ფრაზები და ლექსები თავისი დაწერილი ჰგონია. ხედავთ, მკითხველო, სად ყოფილა ძაღლის თავი დამარხული; სად მივაგენით „საფრთხოებლების“ „ალავერდის“ დაბეჭდვის მიზეზს? რა თქმა უნდა, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ბატონი დავითი პლაგიატში მასავით ნიჭიერი თანამოაზრისა და კოლეგის, შიო უგულავას წახალისებას მოინდომებდა და შეუწყობდა კიდევ ხელს არგენტინელი მწერლის ნაღვასის მითვისების აქტს. ის კი არა, ბატონი ტაკიძის სხვათა ნაწერებით უსაზღვრო გატაცების ამბავი იმდენად ცნობილი და აშკარაა, რომ ამ ამბის აღსანიშნავად წმინდად ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშიც კი შექმნა ქართველმა ხალხმა და ახლა ის (ქართული ხალხური პოეზიის დარად) თაობიდან თაობას ღლინ-ღლინით გადაეცემა, რომ არ დაიკარგოს:

„თუკი გამოეც ლექსები,  
მომცრო კრებულად აკინძე,  
ტყუილადა გაქვს იმედი! –  
მაინც მოგპარავს ტაკიძე“.

ბატონი დავით, ვიცის, აღელდებით, – ასე დაუსაბუთებლად როგორ შეიძლება ადამიანის დადანიშნულება. როგორ გეკადრებათ! მე ჩემს თავს ერთი წუთითაც ვერაფრით ვაპატიებ, ის ვიკადრო, რომ მომავალში „თქვენ“ ტექსტების საფუძვლიანი შესწავლა-ანალიზით არ დაგკავდე! მაგრამ ეს ერთი დელტის სხვა შტოა და, ამჯერად, თქვენი ნებართვით, ჩვენც გვირჩევენია, ისევე „ალავერდის“ მიუბრუნდეთ...

რაც შეეხება გურამ რჩეულიშვილის პრემიის ვიურის სხვა წევრთა საგარაუდო ვინაობას, თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ამ საზოგადოების წინამძღოლობა კრებულის მთავარმა რედაქტორმა, ქალბატონმა მაყვალა გონაშვილმა დიდსულოვნად დაა-

კისრა საკუთარ თავს. ასე რომ, ვერც ის გაეცემა პასუხისმგებლობას.

წყალი არც იმას გაუვა, რომ პრემიის გაცემის დახურულ თათბირში მონაწილეობა რევაზ მიშველაძემაც მიიღო. როგორც ჩანს, „ჩურჩულს გადაჩვეული კაცის“ ავტორი კითხვას გადაჩვეული კაცია და, ამდენად, მასაც მიუძღვის წვლილი „საფრთხოებლების“ გამოყოფილების საქმეში. სხვა მხრივ კი, ისეთ გამოცდილ ლიტერატორს, როგორც ბატონი რეზოა, ნამდვილად არ ეპატიება მსგავსი უყურადღებობა და უპასუხისმგებლობა.

ჩამოთვლილ ადამიანებზე თუ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ისინი იქნებოდნენ ვიურის შემადგენლობაში, თავს ვერ დავლებ, რომ კონკურსის ორგანიზატორებმა გურამ რჩეულიშვილის პრემიის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა წიგნის მეორე გვერდზე მითითებულ სხვა რედაქტორებსაც მიანდეს. მაგრამ ის კი ცხადია, რომ, იმის მიუხედავად, იყვნენ თუ არა ნუგზარ წერეთელი, ნანა გორგაძე, მანანა წითელაშვილი და მანანა გორგაძე ვიურის შემადგენლობაში, სირცხვილის კორიდორში მათაც მოუწევთ გავლა. ეს პატივცემული ადამიანები „ალავერდის“ წიგნის შემდგენელ-რედაქტორები იყვნენ და, შესაბამისად, მათი პირდაპირი მოვალეობა იყო კრებულში შესული მასალების არათუ წაკითხვა, არამედ – რედაქტირებაც. ასე რომ, ვიურის წევრთა სანუგეშოდ მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ მათ წინ ელთი შესანიშნავი მოთხრობის წინასწარ წაკითხვის ბედნიერება!

აღსანიშნავია ისიც, რომ, ჩემი აზრით, დღესდღეობით ქართულ ლიტერატურაში სკოლას იმდენად არ უჭირს, რომ ლიტკონკურსთა ვიურის არაპროფესიონალი ადამიანებით დაკომპლექტება იყოს საჭირო. მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობას მინდა შევახსენო, რომ თანამედროვე საქართველოში მოიხიბებიან კვალიფიციური ლიტერატორები. ამიტომაც, ერთი შეხედვით, თითქოს არ უნდა იყოს იმის აუცილებლობა, რომ ახალგაზრდა პროზაიკოსთა ბედი დილექტანტი და უპასუხისმგებელი ფსევდონტელექტუალებისათვის მიენდოთ. რა ვუყოთ, რომ ამ ხალხს თურამა-ულზე მეტად ტყის პანტა ეტკბილება...

\* \* \*

ძვირფასო მკითხველო, მას შემდეგ, რაც აღმოვაჩინე, რომ „ალავერდის“ ალვარო ოუნკეს „საფრთხოებლების“ მეტანით მწერალთა კავშირის უპასუხისმგებლო და ეგზომ დასავ-მობი „იადლიმი“ მოუვიდა, გასაკვირი არ არის, რომ აყალბაყალი არ ამიტყვავს და გადაწყვიტე, ჩვენი ორგანიზაციის შიგნით მომეგვარებინა ეს საქმე. მოგახსენებთ, რომ კავშირის წევრი თავადაც ვარ; ამიტომაც მის ისედაც გვარიანად შელახულ რეპუტაციას გავუფრთხილდი, ზემოთხილული საპარცხვი-ნო ფაქტი არ გამიხმაურებია და, ორგანიზაციის მესვეურთა კეთილგონიერების იმედით, საქმე მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაყვალა გონაშვილსა და საქმე მწერალთა კავშირის გამგებობას მომხდართან დაკავშირებით სასწრაფო რეაგირების მოთხოვნით მაღვე გავუგზავნე წერილი, რომელსაც აქვე გთავაზობთ:

**საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს, ქალბატონ მაყვალა გონაშვილს;**

**საქართველოს მწერალთა კავშირის გამგებობას;**

**მოვესალმებით!**

პირველ რიგში, მინდა ვითხროთ, რომ მივესალმებო ჩვენი კავშირის მეორე ახალგაზრდა შემოქმედთა აღმოჩენა-წახალისების მიზნით, პროზასა და პოეზიაში ლიტერატურული კონკურსების დაარსებას. უთუოდ დადებითად უნდა შეფასდეს ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის „მერანის“ და გურამ რჩეულიშვილის სახელობის „ალავერდის“ პრემიების გამოცხადება.

თუმცა მიმაჩნია, რომ მათი არასწორი ორგანიზება, უმთავრესად კი ვიურის არაპროფესიონალი და უპასუხისმგებლო წევრებით დაკომპლექტება გამოუსწორებელ, ფატალურ შედეგებს იწვევს.

კერძოდ, თუ კრებულში „ზარს ვვავარ ნაიალარს“ თანამედროვე პოეზიის მთელი ნაკავი ასე გულუხვდაა წარმოდგენილი და მეტად საეჭვოა ზოგიერთი გამარჯვებული ავტორის ნიჭიერება,\* (\* – შევნიშნავ იმასაც, რომ ჩატარებული ბოლო ორი პოეზიის კონკურსის არათუ გამარჯვებულებს, არამედ ნომინანტთა შორისაც არ იყო ისეთი შესანიშნავი ახალგაზრდა ავტორი, როგორც არის დიმიტრი ბაზუტაშვილი... აღარაფერს ვამბობ ლევან ზარიძეზე, რომელიც, ჩემი აზრით, თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი პოეტია...)

ასევე აღსანიშნავია: იმდენი მოახერხეთ, რომ ნიჭიერი და უაღრესად საინტერესო, სულ ახალგაზრდა ავტორის მარამ მუხაშვილის ლექსები „მერანში“ არც კი შეიტანეთ, მაშინ, როდესაც მისი შემოქმედება ხშირად ქვეყნდება ქართულ ლიტერატურულ პრესაში, პოპულარული ინტერნეტსაიტების თავფურცელსაც იკავებს და ლიტერატორთა მაღალ შეფასებებსაც იმსახურებს.

ყოველივე ამის შემდეგ, გასაკვირი არც არის, რომ მათმა ნაწილმა აღარც მიიღო მონაწილეობა შემდეგი წლის კონკურსში... მართლაც, რა აზრი აქვს, ჩაერთო ლიტერატურაში, რომელშიც მომდევნო 5 წლის გამარჯვებულთა ადგილები წინასწარ არის დაჯავშნული?! ამიტომ მიმაჩნია, რომ თუ ჩვენს ორგანიზაციას სურს ახალგაზრდა (და არა მარტო ახალგაზრდა) შემოქმედებთან თანამშრომლობა, მდგომარეობა ამ მხრივაც სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს.

გარდა ამისა, ლიტერატურული კონკურსების არაბიბლიოტეკურა ჩატრებას ისიც უწყობს ხელს, რომ ვიურის შემადგენლობა თითქმის არ იცვლება, რაც საქმისადმი ზედმეტად არასერიოზულ მდგომარეობას (მიმაჩნია.) სამეგობროდ, პროზაულ კრებულ „ალავერდის“ 173-176 გვერდებზე ვინმე შიო უგულავას სახელით შესაშური მათემატიკური სიზუსტითა დაბეჭდილი მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსის, გამოჩენილი არგენტინელი მწერლის, ალვარო ოუნკეს, საქვეყნოდ ცნობილი მოთხრობა „საფრთხოებელი“.

მოგახსენებთ, საუბარია მწერალზე, რომელიც ლათინოამერიკული მწერლობის ერთ-ერთ გამორჩეულ წარმომადგენლად მიიჩნევა, ხოლო მისი მოთხრობა „საფრთხოებელი“ ფრანგული, ამერიკული და სხვ. ზოგიერთი ცნობილი და ავტორიტეტული სტატიისტიკის ცენტრებისა და გამოცემლობების მიხედვით, მსოფლიოს ყველა დროის 20 საუკეთესო მოთხრობის ჩამონათვალში საპატიო ადგილს იკავებს.

იმასაც შეგახსენებთ, რომ ეს შესანიშნავი მოთხრობა დაბეჭდილია ლათინური ამერიკის მწერლობის ანთოლოგიაში (მთარგ. ლამარა თურმანიძე; გამოც. „მერანი“; 1974 წ.) და ნათარგმანი მსოფლიოს ყველა ძირითად ენაზე. ქართულ ენაზე ეს მოთხრობა გამოცემულია არც მეტი, არც ნაკლები, 130 000 ტირაჟით (იმზე დიდი რაოდენობით, ვიდრე მარქსის კაპიტალი) და, საგარაუდოდ, წაკითხულიც აქვს მინიმუმ ნახევარ საქართველოს.

ვვინც, ახსნას თავიდანვე არ საჭიროებდა, თუ ხელოვნების ისტორიისათვის როდენ მნიშვნელოვან ნაწარმოებზე ვვარჯის საუბარი...

ქართველმა მწერალმა რამაზ ბერაძემ, რომელიც, სხვათა შორის, მწერალთა კავშირის წევრია, ზემოთხილული ისიც კი მოთხრობა: „რა ბედნიერი ხალხი ვყოფილვართ ქართველები, რომ მსოფლიოს საუკეთესო მოთხრობების ოცეულში შესული „საფრთხოებელი“ ჩვენთან გამართულ ერთ რიგით კონკურსზე, სადაც 15-დან 35 წლამდე თანამედროვე ავტორები იღებდნენ მონაწილეობას, ოცეულში ვერაფრით მოხვდაო“... დამეთანხმებით, ბატონი რამაზის ირონია საუკეთესო დამსახურებელია...

ზემოთქმულის ვითვალისწინებით, კლასიკოსი ალვარო ოუნკეს ახალგაზრდა ქართველ პროზაიკოსთა კრებულში დაბეჭდვა ჩვენი ორგანიზაციის უდიდეს სირცხვილად, ზოგადად ლიტერატურის შეურაცხყოფად, ქართველი საზოგადოების აპუჩად ავდებდა და გაუგონარ უპასუხისმგებლობად მიმაჩნია. სიმართლე ვითხრობთ, შეძრწუნებული და აღშფოთებული ვარ მომხდარის გამო.

საინტერესოა, რას აკეთებდნენ ვიურის ხუთი წევრი (როგორც ჩემთვის ცნობილია) და წიგნის შემდგენელ-რედაქტორები, როდესაც ხსენებულ კრებულში ზემოდასახელებული მოთხრობა დასაბეჭდად შეჭკონდათ?! ვერ დავიჯერებ, რომ ვიურის ადენი



წვერის ინტელექტუალური შესაძლებლობები, ერთად აღებულიც კი, ვერ უტოლდება „საშუალო სტატისტიკური ადამიანის“ ლიტერატურულ საკითხებში განათლების დონეს... და თუ ეს ასეა, ისმის საკითხი: სამართლიანი კითხვა, რატომ, რა დამსახურებების გამო მიიღეს მათ ახალგაზრდა პროზაიკოსთა ტექსტების ბედი?

ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადია, კონკურსის ფორმის წყობიდან ან წარმოუდგენლად გაუნათლებლები არიან, ანდა სამსახურებრივ მოვალეობას უსაშველოდ გულგრილად მოკიდებენ და არც წაუკითხავთ საკონკურსოდ წარმოდგენილი ტექსტები. შედეგად, მათი გულმოდგინებით, ქართულმა საზოგადოებამ დიდი სირცხვილი ჰპაძა! წარმოდგინეთ, რა შთაბეჭდილება შეექმნება ადამიანს ჩვენს კავშირზე, როდესაც ამ ფაქტის შესახებ ვაიგებ...  
ვინაიდან მე თავდაცვით ვახლავარტოვებ, თქვენს მწერალთა კავშირის წევრი და, ამდენად, მძღველებს ჩემი ორგანიზაციის პრესტიჟი და ღირსება, ბუნებრივად, მოვერიდებ ამ ინფორმაციის გასაჯაროებას. თუმცა, ვეჭვობ, დიდი ხნით დაიძლია ეს სამარცხვინო ფაქტი, რადგან მოგეხსენებათ, ძვირფასი თ-

ურის წევრებისგან განსხვავებით, ადამიანები წიგნებს ჯერ კიდევ კითხულობენ. ამიტომაც, ამ გამოუსწორებელი შეცდომის შეძლებისდაგვარად გაქარწყლების მიზნით, დამეთანხმებით, საკითხი სამართლიანია მოთხოვნები:

1) საქართველოს მწერალთა კავშირმა ოფიციალურად, პოპულარული მასმედიის წყაროების (როდესაც ვამბობ, პოპულარული-მეთქი, ცხადია, არ ვგულისხმობ, მაგალითად, საქართველოს მწერალთა კავშირის „მწერლის გაზეთს“) საშუალებით (პრესა, ინტერნეტი, ტელევიზია, რადიო...) ქართველ ხალხს, არგენტინის მთავრობასა და საზოგადოებას მოუხადოს ბოდიში;

2) სასწრაფოდ განადგურდეს „ალავერდის“ დარჩენილი ტირაჟი;

3) სამსახურებრივი გულგრილობისა და უპასუხისმგებლობის გამო, მწერალთა კავშირში დაკავებული თანამდებობები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დატოვოს კონკურს „ალავერდის“ ფორმის ყველა წევრმა;

4) კონკურს „ალავერდის“ ფორმის წევრებს აკრძალვთ მინიმუმ 5 წლის ვადით ყველა ლიტერატურულ კონკურსში ფორმის წევრობა.

დამეთანხმებით, საკამათო არაფერია... ეს საუკეთესო გამოსავალია ჩვენი ორგანიზაციის ისედაც შეღავათი რეპუტაციის მცირედ მაინც გადარჩენისათვის და ნამდვილად ღირსების საქმეს წარმოადგენს!

იმედი მაქვს, „ალავერდის“ ფორმის წევრები გააცნობიერებენ საკუთარ გამოუსწორებელ დანაშაულს, მოუბდიშებენ საზოგადოებას, დატოვებენ დაკავებულ თანამდებობებს და ეს საზღაური ვარკვეულწილად აღადგენს ჩვენი ორგანიზაციის, საქართველოს მწერალთა კავშირის ღირსებას! ეს ხომ თითოეული ჩვენგანის სურვილი და მიზანია...

წინააღმდეგ შემთხვევაში, იძულებული ვიქნები, დავეტოვო საქართველოს მწერალთა კავშირი და საზოგადოებას ვაცნობო ზემოხსენებული ფაქტის შესახებ.

იმედი მაქვს თქვენი ღირსების!

**პატივისცემითა და კეთილი სურვილებით, ლექსო დორეული**  
„ლიტერატურული სალონის“ მთავარი რედაქტორი

რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, ამ ადამიანებმა (ნაცვლად იმისა, რომ შექმნილი

მძიმე სიტუაციის გამოსწორებაზე ეზრუნათ) ჩემს უსამართლოდ ლანძღვას მიჰყვეს ხელი! მე კი სხვა გზა არ დამიტოვეს, ვალდებული შევიქნენ, აღმესრულებინა ჩემი პროფესიული მოვალეობა და საზოგადოებისათვის ყოველივე დაწერილებით მომეთხრო.

იმედი მაქვს, ის სახელმწიფო სტრუქტურა, რომელიც საქართველოს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობას უსაქმურობაში უხდის ჯამაგირს, მომხდარს ადეკვატურად შეაფასებს და პატივცემული ადამიანების სამსახურებრივი პასუხისმგებლობის საკითხს წამოჭრის.

თუ არა და... „ალავერდი“ შენთან ვარ, ჩემო მკითხველო, და თავად გადაწყვიტე, რამდენად ახლოა ჭეშმარიტებასთან ერთი თანამედროვე ქართველი ავტორის ეს ლექსი („მანაბლის 13“), რომელიც გალაკტიონის „მამულის“ პირველი კატრენის ბოლო ორი ტაქტის რემინისცენციას წარმოადგენს: „ნაღდი მწერალი წავიდა ყველა, სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიაშული“.

**პატივისცემით, ლექსო დორეული**



„ბილწო არ შევეკვრი ზავითა!“  
ვაჟა

ბიბლიოთეკის გაყინულ დარბაზში დრო-ჟამისაგან შეღავათი გაზეთის ფურცლებსაც შავი დღე ადგათ, შემცივებულ თითებში უგემურად შრიალებდნენ, ასურდული ტექსტების გაცოცხლებას უტყვი სიკერპით ეწინააღმდეგებოდნენ. ინდუსტრიული აღტინებით შედღაბებულ პროპაგანდისტულ ბოღვას ვერაფრით შეთვისებოდნენ, არ სურდათ მაკულატურის ბედი გაეზიარებინათ, მაგრამ ბოლშევიკური იდეოლოგიის მჭახე ლოზუნგი მდინარეების კალაპოტის შეცვლას წინასწარმეტყველებდა და აზროვნების გარდაქმნას (უფრო სწორად, დანაგვიანებას) წინ ვინ აღუდგებოდა?! სატანური ქაღილით შეგულიანებულთაგან ვინ მთვარეს უდერებდა მუშტს, დროა ცის კაბადონი ძღვეამოსილ ნამგალსა და უროს დაუთმო, სანამ მშრომელი ამხანაგი ცარგვალადან კინწისკვრით გადმოგვაგდებსო, ვინ შლეგური „შთავიანებით“ გაბრუნებული თავმოშენებდა, რომ რევოლუციის გასამარჯვებლად დედ-მამასაც სასიკვდილოდ გაიმეტებდა, მავანი ტამარისა და ხატებს შეურაცხყოფდა. გაზეთებში უღმერთობის ნიადაგი ჩაგუბებულყოფი და შეხებისთანავე ბოლშევიკური ობის სიმძაფრე გაუთბობელი შენობის სიპირქეშეში უბოდიშო მხურვალებით იჭრებოდა.

უახლესი ქართული ლიტერატურის კურსი ყველა მიმართულებისა და მიმდინარეობის (სანამ წითელი ძალა შემოქმედთა დაჯგუფებებს არ გააუქმებდა და ერთ, საბჭოურ უღელში არ შეაბამდა) შესწავლას ითვალისწინებდა. მეტნაკლებად ხელმისაწვდომ საბუთებსა და მანამდე აკრძალულ ლიტერატურულ მასალას საარქივო სიღრმიდან გამოიხმობდა, რათა დამოუკიდებლობამოპოვებული ქვეყნის ცოდნამოწმებულ ახალგაზრდობას ობიექტური სინამდვილე მიუკერძოებლად დაედგინა, საბჭოური იდეოლოგიისგან ერთხელ და სამუდამოდ გათავისუფლებულიყო.

**იბა ძაღაზიძე**

**ბრავო, კონკრეტად ბოროტო!**

ბულიყო და ეროვნული მოთხოვნილება ნამდვილი ჩარევის გარეშე დაეკამოფილებინა. კომუნისტური საგაზეთო სივრცე სიყალბეს „ავი“ თვალისგან საიმედოდ იკავდა.

მწერლობაში გაწვეული სტახანოველები, სახელოვანმა კონსტანტინე გამსახურდიამ შემოქმედებით პლანში უნუგეშობად რომ მონათლა, ყაბალანთან მივარეს პარტიულად უღრუნდნენ და „ვინტოვის“ დანაშაულებით გზას მდგრად იკვალავდნენ. მსუყე პრემიებსა და ორდენებზე დაგეგმილები განსხვავებული მსწამსის ხელოვანებზე შეუსვენებლად ნადირობდნენ, რაც განსაკუთრებით ყურადსაღებია. დასაბეზღებელი წერილების თხზვა უპირველეს მოწოდებად ექცეათ.

ჩვენს თვალწინ პროლეტმწერალთა სამარცხვინო საქმიანობა გამოიშვლდა უშეღავათოდ, შეუღამაზებლად იმ ჭრილში წარმოჩინდა, რომელმაც ტოტალურ სიყალბეს ისტორიული განაჩენი გამოუტანა.

კიდევ ერთი ტაბუ გამოვანდა. გაირკვა, რომ ქართველ მწერალთა (და არა საბჭოთა მწერალთა) კავშირი ერთ-ერთი პირველი ორგანიზაცია იყო, რომელიც ევროპაში ჩამოყალიბდა. ძნელბედობის მიუხედავად, ქართველი ცოდნის წყურვილითა და ღვთისგან მომადლებული უნარით პირველობას არ თმობდა, იმ ნიჭს ვერ ელეოდა, ბერძენი სასულიერო პირებიც რომ განაცვიფრა და დიდი ვიორგი მთაწმინდელის ტალანტით აღფრთოვანებულებს აღიარებინა, რომ „ბარბაროსი“ განსწავლულობით ყველას აღემატებოდა.

პროლეტმწერლებისთვის განკუთვნილი სივრცე „ტილების რადიოდ“ ჩამოქვეითებულიყო და სახელმძღვანელო მწერალსა და მამულიშვილს, მიხეილ ჯავახიშვილს სასიკვდილო ლახვარს გულდასმით უღერებდა. დრო-ჟამის პარადოქსული დრამატიზმი ეპოქათა სარჩულს წაღმა-უკულმა აბრუნებდა, ნებით თუ უნებლიეთ ავგაისის თავლას გვერდს ვერ აუვლიდი. სიმართლის მისაკვლევად მკვდრადშობილი, ტენდენციური გაზეთების დაგეგმვება აუცილებელ საჭიროებად ქცეულიყო.

ყველაფრით შეზღუდული ერის დამონება გარდაუვალი ჩანდა. ნამდვილი მწერალი ნამდვილ მამულიშვილთან გაიგივებულიყო, რომელსაც ნამდვილი სისხლისმსმელები სინდისის ქენჯნის გარეშე მუსრს ავლებდნენ. ახალი „კადრის“ მოზიდვით შეთხელებული რიგები ხელოვნურად იზრდებოდა. დიდ თურქობას საბჭოური განუკითხობა ჩანაცვლებოდა, მწერლის ადგილი პარტიული სწორხაზოვნებით დაავადებული უბირი, უნიჭო და ქლევა კარიერისტი იკავებდა.

„მწერლობაში გაწვეული უნდა იქნენ ის პროლეტარები, რომელნიც პრაქტიკაში ან-

ხორცილებდნენ ბოლშევიკური ჩაქუჩის და ბოლშევიკური კალმის კავშირს“. („სალიტერატურო გაზეთი“. 1931)

ვისაც „ბოლშევიკური“ კალმის სიკვდილის ცელივით მოქნევა არ შეეძლო, უსიტყვოდ გაიწირა. ბოლშევიკური კალმის საპირწონე-კალამი გოლგოთაა („ქართული კალამი გოლგოთაა“ მიხეილ ჯავახიშვილის შეფასებით), რაც, სამწუხაროდ, არაერთ ეროვნულ მოღვაწეს აბედიდად აუცხადდა. თანდათან მგზნებარე ბოლშევიკი, იგივე სტახანოველი მწერალი ლოიალურ ინტელიგენტად გარდაიქმნა, თუმცა ლოიალობის საფარველქვეშ კონფორმიზმი გაბატონებულიყო.

ერთხელ, სუსხიან დარბაზში მორიგი ოდიოზური „სიბრძნის“ დაგეგმვებისას შეუკავებელმა სიცილმა დამრია ხელი. სიცივისგან ამაგაგებული, ქარიშხალში აცეკვებული აივაზოვსკის მეცხრე ტალღასავით ავანგარდი, პირქუშსახიანი ბიბლიოთეკარების ყინულოვანი მზერა გვიან წამოიქცია. გაზეთებში თავმარული მუდამ წყნარად ვიჯექი. უცბად, დემერი რომ გამიწყრა და „ავიშვი“, ცოტა არ იყოს, უნდობლობით გაჭიანურებული გაოცება დამადგენეს. ჩემს ანაზღაურ სიცილს ჰომერული ხარხარი არ ეთქმოდა. ამაზრზნე მოვლენების შეთავსებით დაზაფრული კაცის დაძაბულ მზიარელებასა და სიმწარეში გადაზრდილიყო.

ცრემლნარევი იუმორის დიდოსტატი დავით კლდიაშვილი თბრობას ერთი შეხედვით სასაცილო სიუჟეტზე ავებს. საკმარისია სიღრმეში შეტოვო, მრავალწახნაგოვანი ტრაგედიის თანამონაწილედ გამწესდები. ფინალამდე ვერაფრით იჯერებ, თვალსაჩინო მწერალი და საზოგადო მოღვაწე მკითხველში რავკარ პასუხისმგებლობას აღვიძებს! ჰოდა, ზღვა სიყალბის გააზრებისას ნერვებმა მიმტყუნა და საცევებში სანთლებით მოსიარულე პერსონალის რისხვას ვერ ავციდი. პირობების საგრძნობლად გაუმჯობესების მიუხედავად (ორი-სამი ბიბლიოთეკის კეთილმოწყობის ფონზე „პერიფერიული“ ზედიზედ უქმდება!) ბიბლიოთეკარებში გამოუჩორქნავი, დაუძღველი აგრესია დაუთმობლად სახლობს და შხამიანი დიმილის პარალელურად „ვინტოვსკისავით“ წინ გამოიბის.

მოგესხენებათ, მორჩენებითი კეთილმოხურების ექო თავისი არსით არამადგრა-დია და ყველაზე შეუფერებელ დროს იჩენს ხოლმე თავს.

ცალკეულ მცდელობათა მიუხედავად, ჩვენში ვანტასტიკის ჟანრსაც არ ღირსება ჯეროვანი ყურადღება. ერთ-ერთი საინტერესო გერმანელი მწერლის ინტუიციამაგახვილებული პერსონაჟის ისტორია გამახსენდა.

უგზო-უკვლოდ დაკარგული, მოულოდნელად ახლობლებს გამოეცხადება და მათი დათაფლული ტექსტის მიღმა მფონჯ ფიქს შეუმცდარად ამოიკითხავს. გაორკვევა, რომ იგი მთელი ცხოვრება ტოტალური სიცრუის მსხვერპლია. ამის განხორციელებისთანავე ლოგიკური გადაწყვეტილება არ დააყოვნებს, იგი კვლავ კოსმოსში, ამოუძირკვავე სეფდის თანხლებით მარტოდმარტო უჩინარდება. ტყუილის ბაცილასთან დაუზავებელს ფარისევლების გარემოცვაში გაძლების უნარი აღარ შესწევს. ურღვევი სიყვარულის მითი იმსხვერვა.

ჩვენში დარჩეს, ადრე მოთხრობის ფინალი უდავოდ მომავალდება, ამაღლებული ნოსტალგიის მაქმანით მოოჭვილი კეთილშობილი იმედგაცრუება ავტორისადმი სიმპატიით განმაცხობდა. დღევანდელი გადასახედიან ჩემთვის ნაწარმოების ფინალი „სუსტია“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პასუხისმგებლობის ჰიმნის უსარგებლო ნაღველით ნაკარნახევი საქციელი, ყველაფერთან შეგუებას რომ ქადაგებს.

მასხოვს, სკოლაში, მოსაწყენ გაკვეთილებზე, მერხქემ ჯექ ლონდონის „მექსიკელს“ კვითხულობდი. მასწავლებელი თავზე შეუჭინეულად წამოაგდა და წიგნის წართმევა დამიპირა. რა თქმა უნდა, არ დავანებე. ეს განზრახვა ჩემს უცვლელმა თავაზიანობამ ჩაგონა და როცა ზეწოლა გააძლიერა, მისი სიკერპით მკვასელ შევუძახე:

— მაცალე, ქლო, „მექსიკელს“ კვითხულობ და ხელს ნუ მიშლი! — ჩემგან წამოსროლილი „მაცალე, ქლო!“ ანეკდოტად იქცა და მთელი სკოლა მოიარა, არავის სჯეროდა, მსგავსი ფრაზის ავტორობაზე ხელს თუ მოვაწერდი, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. „მექსიკელის“ მუხტმა ჩემს ჯავშანშიც შემოაღწია და ქმედებისკენ მიბიძგა.

ძველი გაზეთების შიგთავსზე ვსაუბრობდით, საბჭოურ წნეხზე, რომლისგანაც თავი დავიხსენით. სხვათა შორის ახლანდელ პრესაში მოულოდნელად ძველებურ გადმონაშოს წააწყდები, თუკი თანამედროვე გაზეთების გაცნობას ჯერ კიდევ ახერხებ. აბსურდი გრძელდება, როგორი აღსაქმელია, როდესაც ბოლშევიკური კომისრის შინელში გამოწყობულ ძველს იღია მორთაღის თავს დაადგამენ და ერთ-ერთი საკურორტო ქალაქის ცენტრალურ მოედანზე ზარ-ზეიმით აღმართავენ. ძველების ციებ-ცხელება ცალკე ეპოპეა, ამ თემას ერთი მოზრდილი მონორგავია ვერ დაიტყვის. უბედურებად არ გეყოფოდა, სულმნათი აღმანებელი ქალაქიდან რომ გავაძვევთ (დილოში რუსის ჯარის შესაშინებლად თუ გადაიტანეს, სხვა „სტრატეგია!“) და უცხოელ



მოკეთებებს თბილისის ცენტრში პრესტიჟული ადგილები გამოუთავისუფლეთ. „სტუ-მარი ლეთისაო“, ნათქვამია, მაგრამ ძველის ხელშეუხებლობის „მანდატიც“ რომ გასაცემია, ფაქტია. მოკლედ, კომუნისტური ეპოქის ქანდაკებების ახლებური წესით ათვისება სადაური ეკონომ-პაკეტია, როცა ისტორიულ კატაკლიზმში მოყოლილ ფიგურას ვისი თავი ამშვენებს, ძნელი გასარკვევია. ბოლშევიკის სხეულს უთავო მხედრის, უიბოლო პერსონაჟის, კეთილშობილი პენრი პონიდექსტერის კი არა პროფესორ დოუელის სიბრძნით ქებულ თავსაც ვერ „აკადრებ“ ქართველ მოწამეზე რომ აღარაფერი ითქვას! ნუთუ კვლავ საბჭოური ცნობიერება მძლავრობს? აბა, მსგავს ანომალიას რა გამართლება მოეძებნება?! წმინდანის თავი სხვაგვარად სატანის მიმდევრის სხეულზე რა ძალის მქონეა დადებული?!

საყოველთაო არეულობის ფონზე იერემიას გოდოლსავით ჩაგვიხმის: „დღევანდელი ქართული მწერლობა, ხელოვნება და მეცნიერება მეტად მცირე გამოხატვის გარდა, მოსკოვის ნაბუშარია!“

ამ გულისშემძვრელი სტრიქონების ავტორს, მიხეილ ჯავახიშვილს ეს ქანდაკება რომ ეხილა, ირწმუნებდა, რომ დემოკრატიულ ეპოქაში ვცხოვრობთ და საბჭოური იდეოლოგიისგან გათავისუფლდით?

საკუთარს მამულისშემოების თავგანწირვამ ეროვნული სული ვერ ჩაკლა, ქართველობა გადარჩა. და მაინც, ოთხმოცდაათიანებიდან, ბოლო ოცი წლის მანძილზე ფესვგადგმული განუკითხავობის ფონზე ქართული მწერლობის სადავებები რეალურად ვინ გადაიბარა? ამ კითხვას ქართული ხელოვნების გულშემატკივარი ვერსად გაექცევა. თუ, რა თქმა უნდა, პატიოსანი მწერლის (ზოგადად ხელოვნების) სტატუსს სოციალისტურ უტოპიაში ჩამარხვას არ მიუვალთ.

მწერლობის შემდგომად ავან-ჩავანი საზოგადოებას მშვენივრად მოეხსენება. ვინც წიგნის წასაკითხად ვერ იცლის. ტელევიზიისგან დისტანცირებას, უნდა არ უნდა, მაინც ვერ მოახერხებს. შესაბამისად, შემზარავ კადრებსა და გადაცემებს რა გამოლევს. ამ მხრივ, არც ლიტერატურული სივრცეა გამოხატვის, მწერლების შეხლა-შემოხლას რა გამოხატვის მოპყვა, საყოველთაოდ ცნობილია.

ნამდვილი კლასიკოსები და წესიერი მწერლები საფლავებიდან რომ გადმოახნდა, უსინდისო ალებ-მიცემობას, ლიტერატურულ ენაზე პრემიების მიკუთვნება-მისაკუთრება რომ ეწოდება და არაჯანსაღ ვენებათა-ღელვას აკანონებს, როგორ შეაფასებდნენ? რამდენად ისურვებდნენ მათ სახელებსა და ავტორიტეტს შეხიზნული ადამიანები კოლეგების დასაჩაგრად წინამორბედთა განუზომელ ღვაწლს თავიანთი შავბნელი საქმეების მოსაგვარებლად იმოწმებდნენ და იყენებდნენ! ღია სპეკულირების მეშვეობით ფულს ცალკე ხვებდნენ და უცხოეთში ქართული მწერლობის სახელით ავანტიურებში გაბმასაც არ თაკილობენ, რომელი ერთი ჩამოვთავალოთ? ხელმძღვანელობის ავსაქმეთა აღსანუსხად კალამიცა და თაბახიც თანაბრად გაცვლება. ყარაბაღური ვოიაჟი-ას ამბავი კვაჭი კვაჭანტირაძესაც შურით ადავსებდა და მრავლისმომსწრე მკერდზე მჯიღს აბაგუნებინებდა, ასპარეზზე ჩემი სწორი მეტოქე გამოჩნდა და ვაითუ ფათურაკების მსმტბამა წინამძღოლობიდან „ჩამომწეროსო“. პრემირებული თავგადასვლებისმოყვარულების (მათ ამიერიდან მწერალთა კავშირის კონკისტადორებად მოვიხსენიებ) არეული, აგრეთვე რაოდენობა მართლაც შემამინებლად ფართოვდება. ბოლო ყრილობის მონაცემების შემდეგ კავშირის 428 წევრი 475-მდე გამრავლებულა. კავშირში ჩინური მოდელი მკვინარებს. ვინც „ხელ-დამსხმელებს“ მიესალმება, წევრობა გარანტირებული აქვს! ჩვენში დარჩეს, სად სად და დემოგრაფიული სიმეჩხერე ამ ორგანიზაციაში ნამდვილად არ იგრძნობა. ერთიც ენაბოძო და ხელმძღვანელობის მრავალშტოიანი ფრთის წარმომადგენლებმა ქვემო ქართლის კომპლექსი უკუაგდონ და თავისუფალი არჩევანის სურვილი მოუხლავდეთ (წამხდურობას წინ რა უნდას!?) იქაურობა ბაბილონის გოდოლს დაემსგავსება.

ეს ხუმრობით, თორემ დამკვერელი ძალები არ თვლემენ და შერყეული პოზიციების გასამყარებლად მეზობელ გაერთიანებებს ხელახლა უმოყვრდებიან. ახალი სისხლის გადასხმა ძველ წყენას დროებით აქარწყლებს. რა ბედენაა, ახალ ძალად შემოსაღებული ნაცნობი კადრი წილებისა და პრემიების უთანაბრო გაყოფის გამო ერთმანეთს თუ ემდუროდა და ყველგან უშვერი სიტყვებით ამკობდა.

კულუარებში საბრძოლო ხელოვნების დემონსტრირება ქვევის უფრო თამამ ფორმასაც ემყარება, „მუხამბაზური“ განწყობაც ბუნებრივად იბადება: „აბა, მუშტი – კრივში მნახე ვინა ვარ!“ და ა.შ.

მოკლედ, უვადოდ გაჯანჯლებულ ყრილობამდე მწერალთა კავშირში ვორინცივის მიერ დანერგილი პოლიტიკის გატარება დაქარბული წესით მიმდინარეობს.

სადაც არ გაიხნედავ, პრემიების ცვენაა. ფაქტია, ვიღაცას საგანგებო დავითარი შეუდგენია და „რჩეულთა“ გამოვლენის ვერაგული წესით ხელმძღვანელობს.

„ხელდამსხმელთა“ ფავორიტების მრავალჯერადი დაჯილდოება აღარავის უკვირს. ფულად ჯილდოს ტომეულების უსასრულო სოლიდური არტილერიისთვის დამახასიათებელ სიმძიმეს აკისრებს. პოპულარობა, უფრო თანამედროვე ენით „ცნობადობა“ „თვალში ვაქვს და თვალში სვამს“ პრინციპზე დაიფუძნება და რა გასაკვირია, პრემიებისა და ორდენების აბჯრით შეჭურვილ ძღვეამოსილებს საზოგადოება არ ეთაყვანის – მართლია, ილიასა და ვაჟას პრემია კი არა, ტაშიც არაფრად ეჭაშინიკებოდათ, სამაგიეროდ, ვინც ბუმბერაზების სახელობის საპატიო ტვირთის, უკაცრავად პრემიის მფლობელია, მქუხარე აპლოდისმენტების გარეშე ტრიუმფანსთან მიხვლას არ იკადრებს, და თუ „კუთვინლი“ ტაში ემშაკის მანქანებით ჭიანჭველებს, ყინვად მოითხოვს იმით დასაჩუქრონ, რის მოსაპოვებლად აქლემის ყუნწში განარარებაც არ ენებლება.

პრემიების უხვმოსავლიანობა ამკარად ეშმაკურ სტრატეგიას ისახავს მიზნად. ხელმძღვანელობა მანამდე „მუშქმწველ“ ღირსეულ მწერლებს შემთხვევით დაუტკბა.

საერთო ჯამში, პრეზიდენტის დამადლეული წყალობისა არ იყოს, მათი ღვაწლი საკუთარი ინტერესების გასაკეთილშობილებლად და ქულების დასაგროვებლად სჭირდებათ. პატიოსანი მწერლების გასაჩუქებლად გამოჭვდილი ბორკილი, რომელსაც პრემიის ფორმა აქვს, ორმაგი უხერხელობითაა დაწინილი. სხვათა შორის, მდევგი უკვე იგრძნობა: სინანულითა და დარცხვენით ნათქვამი ფრაზები გახშირდა: „რა ექნა, წიგნი გამომიცეს“, „პრემია მომანტყეს, რაც ღუმლით მავალდებულეს“ და ა.შ. ხათრი ხათრია, მაგრამ კულუარებში წუწუნნი, ხუთასი ლარიდან მხოლოდ ას ორმოცდაათი სამადლოდ მოგვიდესო, მოწმობს, რეალურად რა ვითარებაა. ქართული სიბრძნის თანახმად: „ნაჩუქარ ცხენს კიბილი არ მოესინჯება“.

ბიბლია უფრო მკაცრ კრიტერიუმს ემყარება: „ორ ბატონს არ ემსახურებიან“. ასე რომ უმჯობესია ჯილდო უსიტყვოდ შეირგო და ზურგსკან „მწყალობელის“ განქიქებაზე ხელი აიღო. ვინ დაგიჯერებს, თითქოს შემთხვევით ავირჩიეს და გამოაჩინეს. ყოველივე მკაცრად შემუშავებული გემის ნაწილია, სადაც როლები მიზანმიმართულად რიგდება.

ღმერთი, რვეული, პრემიების გაუქმებისკენ არავის მოვეუწოდებ, პირიქით, კეისარს კეისრისა უნდა მივაგოთ, მხოლოდ ჯილდოს ღირებულება იმით განისაზღვრება, საპატიო და საპასუხისმგებლო საქმეს ზურგს ვინ უმაგრებს. ნამდვილი ავტორიტეტი და მოღვაწე, რომლის ღვაწლსაც ჩრდილი არ მიკარება და ხალხის თვალში ნდობით სარგებლობს თუ საეჭვო პირი, ვისთვისაც ყველას პაიკის როლი აკისრია.

ხათრი სიმართლის გასატანად იდეალური მეგზური სულაც არ განსაზღვრავს და რაოდენ დასანანია, მის საცეცხეში კეთილსინდისიერი ხელოვანი თუ მოხვდა და მტრის წისქვილზე დაასხა წყალი!

მწერალთა კავშირში ღირსეული მწერლების პლეადა ნამდვილად არსებობს. აქედან გამომდინარე, მოლიპულ გზაზე სა-

სიარულოდ ისინი მავანთა ზეწოლას გაუმკლავდებიან, შუერცხენელად მოტანილ სახელს ლაფში არ ამოსვრიან და ერისა და ბერის სალაპარაკოდ თავს არ გაიხდიან. თორემ განსაცდელი პრემიებისა არ იყოს, უხვადაა მომრავლებული.

ახლანა მწერალთა კავშირმა კიდევ ერთი „ვრანდიოზული წყალობა“ გაიღო და გალაკტიონის პრემია ბ-ნ ვაჟა ლოლაბაიას, იგივე ერისიელს მიაკუთვნა. კამერების წინ გაჯიგომული პოეტი თავმოქმედდ აცხადებდა, რომ მსგავს ჯილდოს იოლად არავის აძლევენ და ამისთვის ბ-ნ რეზო მიშველაძეს მხურვალე მადლობას საჯაროდ უხდოდა. ჯვრით მოსირბული ხეესურული ქედით თავდამშვენებული ერისიელი ჩვეულ „სიმაღლეზე“ იდგა. კოლხური ციკლის შემოქმედს (სხვათა შორის წყალობული ლექსები არ აქვს) გინესბუქის წიგნში მოხვედრის ყინი უცხოველდება და რა გასაკვირია მრავალ ტომეულების ავტორს ცხადშიც და სიზმარშიც ნობელიანტობა ეხმანებოდავს. ხუმრობა ხომ არ არის ძველი ფიზკულტურულის შემართებაზე გათვლილი უზარმაზარი ტომეულები დაუბრკოლებლად ახილო. ჭიგნი, გირზე მეტს რომ იწონის ამკარად დაფასების ღირსია! აქი ბ-ნ ლოლაბაიას თავისი აქტივისტები რუსთაველზე სახელმწიფოვლო დემიურგად აღიარებენ. პოეტების მეფის სახელობის პრემიასაც მეტი რომ არ შეიძლება დროულად გამოჰკრა ხელი!

ამ სასიკეთო საქმის მოთავის რეკლამირებაც არ დავიწყებია. თუ ვინმე „ჩამოწერა“, ჩინებული პოეტი და წვრილი გიბრი მალე მკვლავიშვილია რომელსაც სიცოცხლის მიმწუხრს თავის გამოცემლობაში წიგნები დაუსტამა. ფინანსურად არც თუ დაღვნილი დიდიწიგნის რომანების დაბეჭდვას, გაუთვალისწინებელი ხარჯის სახით სიბის ნაჩუქარი მანქანა შეეწირა. – ამასაც არ დავეებ შეილო! მოვითმენდი, მაგრამ საჯაროდ მაყვერდის თითქოს წიგნები უსასყიდლოდ გამომიცა. ამის ჯავრი საფლავში არ ჩამატანო!

ბატონმა შალვამ სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე შემომტირა. არც ის დაუმალავს, მწერალთა კავშირში გამართულ რეპრეზირბულთა შეხვედრაზე დერეფანში რომ მიატოვეს. სიტყვაც ბრძოლით რომ მიიპოვა და კავშირის შესვეურებს პირში მიახალა, ნაკატორდალ მწერლებს ჭკუას ნუ ასწავლიდნენ. მათ ჭირ-ვარაშე თვითონ ყასიდად მიულურტულენდნენ და ჯოჯოხეთგამოვლილი პოეტებისთვის ლაპარაკის უფლება მიეცათ!

არც ჭოლა ლომთათიძის სახელობის „მოკრძალებულ პრემიაზე“ (პატიმარი პატიმრის ხვედრს თანაგრძობს, ბუნებრივია) დასწყევტდა გული, თუქცა ყბადალეული ორასი ლარი თვალისთაც არ უნახავს.

აბა, ჩინით უფროსი და ასაკით უმრწემესი „ამობილი“ ევრისელი ხომ არ შეაწვედა სიტყვას ჯერ სამშობლოსთვის ვალმობილ მამულიშვილს მიაგეთ პატივი, მე მოვიცდიო. გარდაცვალებამდე ინტრიგანი მოსიხარები კარს რომ მიაყენა და ხანდახმული მასპინძელი ქირქილითა და გესლნარევი ტირადებით ალანძინა. საჯაროდ ამასაც ხომ ვერ გაახმოვანებდა, იმიჯი შევლახებოდა! საყოველთაოდ ცნობილია, კავშირის შესვეურნი მსოფლიო კლასიკას არ კითხულობენ და ნაკატორდალი დისიდენტის სულისშემძვრელ აღსარებას დროს „ფუჭად“ როგორ დაასარჯავდნენ. მიცვალებულის ხსოვნის საღამო (სულ სამჯერ, გაწამაწიით რომ დათქვას,) ორჯერ ისე სამარცხვინოდ ჩამალეს, წარბიც არ შეუხრიათ.

არც სახელოვანი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, მეორე იაკო გოგებაშვილად წოდებული შიო მღვიმელის ქალიშვილის: ჩინებული მწერლისა და დრამატურგის ქეთევან ქუჩუკაშვილის გამო გამოუღვიათ თავი. შარშან, 9 წლის შემოქმედის გარდაცვალების ამბავი რომ შეიტყვეს, ჩვეული უდარდლობით აიჩჩეს მხრები. არც გვეგონა ცოცხლებში თუ კიდევ ეწერა, ნეტავ სული რითი ედგაო. ისიც დაენანათ საფლავზე უხუცესი მწერლის ასაკოვანი მეგობრების ისტორიული მოვონებები სამოყვარულო კამერით მაინც ჩაეწერათ. ის თუ დაგვეტეს პირველად კავშირის თავმჯომარისთვის მიეცათ სიტყვა, მაშინ როდესაც ქალბატონ ქეთევანზე განსაკუთრებული

ამაგი ცნობილ მეცნიერსა და პროფესორს რუსუდან ნიშნიანიძეს მიუძღოდა, ჩანაწერის შენახვას წინ რა ელობებოდა?! დაკრძალვაზე კენჭად მისულ თავმჯდომარეს თავისი ამალის მეოთხედი თან რომ ხლებოდა, ვიღაც გულუბრყვილოს კიდევ დააჯერებდნენ, რომ უფროსი თაობის ლეგენდად ქვეულ პატიოსან და ხალისი ნიჭით დაჯილდოებულ მწერლებს კრძალვით ეპყრობოდნენ და სიცოცხლეშივე მზრუნველობას არ აკლებდნენ. როგორც ჩანს, თავმჯდომარის ჯამ-ჭურჭელი (მოხუცებთან კარდაკარ ქვაბებით დაველივარო ყრილობაზე გულისამაჩუყებლად განაცხადა) ელექტორატის გამოკვებას შეეწირა და იმით ვერ გასწვდა. ვინც ახალი საბჭოელებისგან არასდროს არაფერს ითხოვდა და დაუმსახურებელ უყურადღებობასა და დაუფასებლობას ღირსეულად ითმენდა. არ გამოკვირდება ნაინრანის პრემიებით დახმუნდულეებს ღვენილეების სახელები ანახვად გაასხენდეთ რათა სიცოცხლეში იგნორირებული კოლეგების სახელობის პრემიებიც თვითონ გაიფორმონ და ახალი ზღაპრებიც ოსტატურად გამოაცხონ! ამდენი მაგალითის მერე ვინ დაიჯერებს, რომ ხელმძღვანელები მაინც-მაინც ბ-ნი ერისიელის მრავალტომეულის შესწავლისას გაჭაღარავდნენ. სამწუხროდ, მიცვალებულს მკვდრით ვერანაირი პრემია ვერ აღადგენს, თუქცა ცოცხლებშიც მოიძებნება გამორჩეული ბიოგრაფიის პატრონი უმშვენიერესი პოეტი ქალი, განგებამ ყავარჯნით გადაადგილება რომ მიუსაჯა და, ურთულესი ხვედრის მიუხედავად, იმის ძალა და მადლი მიანიჭა, გაბოროტების ნაცვლად უნარშეზღუდულ ადამიანებს ბრძოლისა და გამძლეობის მაგალითი დაუსახოს. ამ შემთხვევას კომუნისტებიც არ გაუშვებდნენ ხელიდან, მით უფრო, რომ ნიჭიერი შემოქმედი რა დასამალია და კავშირის უფროსობისადმი (ყველაფრის მიუხედავად) გულთბილადაა განწყობილი, შეძლებისდაგვარად მხარში უდგას და ხშირად «ხელდამსხმელთა» შავბნელი საქმეების გამო მათთვის განკუთვნილი ისრების სამიზნედაც ქვეულა. თუ დაფასება, უკეთეს კანდიდატურას ვერც ინატრებენ. ხალხიც წამით ირწმუნებს, რომ მხოლოდ ყალბისმქნელებთან არ არიან შეკრულები და ცოდავ-მადლის უნარს მოჩვენებითად მაინც ამკლავებენ.

ვიმედოვნებ, ვინმე ქრისტიანი ჩემი წერილის შინაარსს მათ ყურამდე მიიტანთ (რადგან კითხვას არ კადრულობენ და!) და იმ სათნო მგოსანზე ჩამოუდგებს სიტყვას, ნიჭისა და ბიოგრაფიის გამო დიდი ხანია ერთ პრემიას ნამდვილად რომ იმსახურებს, რადგან განუხრებლად სწამს, რომ წინაპარისა სახელობის ჯილდო ყოველდღიურობას გაულამაზებს კუთვნილ სასივარს ჩვეული ღირსებით ატარებს.

ყველა ბ-ერისიელს ვერ მიედრება და თავის გამოჩენის მიზნით პოეტების დასაპატიმრებლად ტადარში პოლიციას ვერ გამოიძახებს! მართალია, განმეორება ცოდნის დედაა, მაგრამ სამართალდამცავებთან ლაციცი პოეტურ სტრიქონთან ჯახირზე ოდნავ სახიფათო მგონია. ბ-ნი ლოლაბაიას სააკაშვილის ციხეში ისე უყოყმანოდ გვისტუმრება, გენიალური წინამორბედის, ვისი პრემიაც ესოდენ ემაყება, სიტყვები რატომღაც არ გახსენებია «ჩემთვის დღესავით არის ნათელი, რას იტყვის ჩემზე შთამომავლობას».

იქ, ტადარში, სანამ პოლიციას უხმობდა, ჩემი ხევისურული თავსამკაული ამერიკულ ქუდად მოეწვენა და არიქა, ეროვნულობა არ დამასწრონ, პრემიის მიღებამდე ჯვრით მოსირბული ხევისურული ქუდი სასწრაფოდ მოირგო. აბა, ნადირობისას დამარცხებული როსტევანივით თავშიშველი ხომ ვერ ეჩვენებოდა კავშირის კონკისტადორებს, გალაკტიონის პრემია რიხით რომ მიაკუთვნეს. «ფიგარო აქ, ფიგარო იქ», ფიგარო ყველა განზომილებში, ზნეობა თურმე ძველმოღერი სალაფავია! ხელმძღვანელები გრგვინავენ, «უძლიველი არმადა» ჩვენთან რა სახსენებელია, პრემიების წონა და სიმრავლე საიმედოდ გვიცავს, «ტახტრევენებდან» იოლად ვერ დაგვკრავენო!

კურნალი  
„ჩვენი მწერლობა“





# პრეზიდენტის ტახტზე ასვლაზე გიჟი ჯერ სახურავზე აღის

ძვირფასო თანამემამულენო!  
როგორც ჩანს, ამ ბედნიერი ხალხის ხელისუფლებაში მოყვანისათვის, ღმერთი უკვე გვსჯის – დანერა კიდევ ამასწინათ ერთმა სწავლულმა კაცმა – დღეს მიხეილ სააკაშვილის გვერდით დგომა იმას ნიშნავს, რომ ან ამ ხელისუფლების „ნაცში“ (ნაც-მოდრობაში!) ხელახლა შესაძრომად ემზადები, ან კიდევ გიჟი ხარო!..

**ბატონებო!**  
მე, როგორც ერთი რიგითი ლიტერატორი, არ ვიხსნი ჩემს წილ პასუხისმგებლობას ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი ვითარების გამო, ოღონდ, ის კი აღარ ვიცი, კიდევ მეტი რა საბუთი უნდა მომეტანა იმის საილუსტრაციოდ, რომ ვარდების გზით მოსული ეს „დიდი სამეული“, ადრე თუ გვიან, ამ ქვეყანას თავიდან-ბოლომდე რომ დააქცევდა!

თურქი მწერლის აზიზ ნესინის მოთხრობაზე დაყრდნობით ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას სწორედ იმ საფრთხის გამო ვაფრთხილებდი, ხელისუფლების სათავეში ამ გუნდის მისვლას რომ მოყვებოდა!..

ასე რომ, ძვირფასო თანამემამულენო, ამ უბედურების თავიდან ასაცილებლად, მე პირადად, ერთი კაცის საქმე უკვე გაკეთებული მაქვს!

ახლა კი მხოლოდ იმაზე მწყდება

## „ლს“ რედაქტორის განცხადება

გული, ქართველ ხალხს მაინც რომ ვერაფერი შევასმინე!

არადა, მაშინ ჩემთვის რომ დაეჯერებინათ და ეს „გიჟები“ ხელისუფლებაში არ მოგვეყვანა, ახლა ამ დღეში არ ვიქნებოდით!..

\*\*\*

გვახსოვს, ალბათ, ამასწინათ გენერალურ პროკურატურას ოპოზიციური პარტიების ლიდერები უნდა დაეკითხა!

ერთმა მათგანმა კი, რომლის გვარსაც აქ შეგნებულად არ ვასახელებ, პირდაპირ განაცხადა: გენერალურ პროკურორს მე კაბინეტში არ ვეახლები, ხოლო თუ იგი მაშინ მოვა ჩემთან, როცა მე სახურავზე ვიქნები გასული, შეიძლება, ჩვენება ან მივცე, ან არაო!

რასაკვირველია, ეს პარტიის ლიდერის კი არა, გიჟის განცხადებაა! თანაც, სუფთა წყლის!

გიჟები კი, პარტიის ლიდერები იქნებიან ისინი თუ რომელიმე სხვა ორგანიზაციისა, ყველგან გიჟები არიან!

ამ ჩვენს გიჟს კი, რომლის გვარსაც აქ შეგნებულად არ ვასახელებ, სახლის სახურავზეც ხშირად ვხედავთ გადმოყუდებულს!

და ჩვენც, იმის მაგივრად, ხელში დამცავი ბადით ამ სახლს ირგვლივ რომ ვურბენდით, მხოლოდ სეირის ყურებით ვართ გართული!

არადა, გიჟის სახურავზე გასვლა არც ახალია და არც საქართველოში ხდება პირველად!

თუ გახსოვთ, ერთი ასეთი შემთხვევა თურქ მწერალს, აზიზ ნესინსაც აქვს აღწერილი ერთ თავის იუმორისტულ მოთხრობაში „სახურავზე გიჟია!“

იმ უცხოელი გიჟისგან განსხვავებით, ამ ჩვენს უცხოეთში განათლებამიღებულ გიჟს, რომლის გვარსაც აქ შეგნებულად არ ვასახელებ, არც დეპუტატობა სურს, არც მინისტრობა, არც საკრებულოს თავმჯდომარეობა და, თქვენ წარმოიდგინეთ, არც პრეზიდენტობა! – უნდა უბრალოდ ის, რომ სახურავიდან წყალი არ ჩამოვიდეს და ამომრჩეველი არ შეანუხოს!

სხვათა შორის, იმ მოთხრობაში აღწერილი გიჟიც და ამ ჩემს პატარა ჩანახატში გამოყვანილი არანორმალური ახალგაზრდაც, საქციელითაც ძალიან გვანან ერთმანეთს და გარეგნული ფორმითაც!

ეტყობა გიჟი მაინც ყველა ქვეყანაში გიჟია!

ამის მიუხედავად, მე მაინც ჩვენებური გიჟის, რომლის გვარსაც აქ შეგნებულად არ ვასახელებ, მხარეზე ვარ!

ერთი შენიშვნაც! როცა აქვე დაბეჭდილ აზიზ ნესინის მოთხრობას ნაიკითხავთ, არ შეიძლება, იქ აღწერილი იმ კეთილშობილი მოხუცი კაცის ტიპაჟიც არ გეცნოთ, რომელსაც გიჟი სახურავიდან ჩამოჰყავს!

რასაკვირველია, ჭკუიდან გადასული კაცის სახურავიდან ჩამოყვანა თავისთავად კეთილი საქციელია, მაგრამ უფრო უკეთესი ის იქნებოდა, თვითონვე რომ არ ესწავლებინა მისთვის სახურავზე ასვლა!

თორემ ვიდრე სახურავზე ასვლას არ ასწავლიდა, კი ჩადიოდა ის ახალგაზრდა, მეტროში თავისი ფეხით!

ცხადია, ტელეოპერატორებისა და თავისი სამსახურებრივი ავტომანქანის თანხლებით!

დანარჩენი კი, რაც ჩვენ მკითხველებს გიჟების ირგვლივ აინტერესებს, მშვენივრად აღწერილი თურქი მწერლის მომდევნო გვერდზე დაბეჭდილ მოთხრობაში, რომლის დიდებული თარგმანიც ქართულმა მკითხველმა პირველად ჩვენი ცნობილი მოღვაწის, ელიზბარ ჯაველიძის შესრულებით მიიღო!

თამაზ ნივინიძე

## აზიზ ნესინი

# სახურავზე გიჟია

მთელი უბანი ფეხზე დადგა:

– სახურავზე გიჟია... გიჟია...

ქუჩა მთლიანად აივსო ცნობისმოყვარეებით. ჯერ საპოლიციო უბნიდან, მერე სამართლებრივად, მანქანით პოლიციელები მოგრიდდნენ. მათ არც შეხანძრეთა რაზმი ჩამორჩა...

– ჩემო შალიკო! ჩამოდი ქვემოთ... აბა, ჩამოდი! – ეხვეწებოდა დედა თავის შვილს.

– მამასახლისად თუ არ ამირჩევთ, აქედან გადმოვვარდები! – უპასუხებდა იგი...

შეხანძრეებმა სახანძრო ბრუნები გაშალეს. ცხრა კაცმა მჭიდროდ ჩაჰკიდა ხელები მის ბოლოებს და მთლიანად ოფლში გაწურულნი სახლს ირგვლივ უტრიალებდნენ – რა არის, გიჟი რომ მართლა გადმოხტეს, დავიჭიროთო...

– გთხოვ, ძამიკო, ჩამოდი ძირს, – არწმუნებდა კომისარი და მის ხმაში მუქარასთან ერთად მუდარაც ისმოდა.

– მამასახლისად ამირჩიეთ და ჩამოვალ. არადა, აქედან გადმოვვარდები.

არც ხვეწნა-მუდარამ და არც მუქარამ არ გაჭრა.

– ჰეი, ძამო, ჩამოდი, რა...

– ერთი ამით დამიხედე... მე ქვემოთ ჩამომიყვანოთ და თქვენ ზემოთ ახვიდეთ!..

– ვუთხრათ, რომ უკვე ავირჩიეთ, – თქვა ვილაცამ.

– შეუძლებელია! – შეეპასუხა მეორე – გიჟის მამასახლისობა გაგონილა?

– ალლაჰ, ალლაჰ, მართლა ზომ არ ავირჩიეთ...

– ჰაი, ჰაი, რომ არ შეიძლება, – ჩაერია საუბარში ჯორზე დაყრდნობილი მოხუცი, – თუნდაც სერიოზულად, თუნდაც სუბრობით, მისი მამასახლისად არჩევა არ იქნება.

– ეგებ ჩამოვიდეს?

– არ ჩამოვა. მე მაგათ ვიცნობ. როგორც კი ერთხელ ზევით ავლენ, უკან აღარ ჩამოდიან.

– ოღონდაც ამ ერთხელ ჩამოვიდეს და...

– არ ჩამოვა.

ერთმა კაცმა გიჟს ასძახა:

– შენ უკვე მამასახლისი ხარ. აბა, ჩამოდი, ერთი!

გიჟმა დაუარა.

– არ ჩამოვალ. თუ ქალაქის მეჯლისის წევრად არ ამირჩევთ, აქედან გამოვვარდები...

მოხუცი ხალხს მიუბრუნდა:

– აბა... განა არ გითხარით?..

– ყველა სურვილი შეეუსრულოთ!

– რაც უნდა იღონოთ, არ ჩამოვა. თუ კაცი ისე გაგიჟდა, რომ სახურავზე ავიდა, აღარ ჩამოვა...

– შენ უკვე მეჯლისის წევრი ხარ, – დაიწყო კომისარმა, – აბა, ძამო, ჩამოდი, მეგობრებს ნუ აცდევინებ.

გიჟმა ცეკვა განაგრძო.

– არ ჩამოვალ. ქალაქის მერად დამნიშნეთ და ჩამოვალ.

– ხედავთ? – თქვა მოხუცმა, – დროზე უნდა გელონათ რამე. ახლა არაფრით არ ჩამოვა.

– ქალაქის მერად რომ გავხადოთ, ვითომ რა მოხდება? – თქვა ოფლში გახვითქულმა ცეცხლმქრობი რაზმის უფროსმა.

შემდეგ ორივე ხელი პირთან მოიმრგვალა და შეჰყვირა:

– ჩამო, ძამო... შენ უკვე ქალაქის მერი ხარ... ჩამო და საქმეებს შეუდექი.

გიჟმა მუცელი აათამაშა.

– არ ჩამოვალ! – თქვა, რა შესაქმება იმათთან, ვინც გიჟი ქალაქის მერად დანიშნა. არა, არ ჩამოვალ.

– კარგი, მაგრამ რა გინდა?

– მინისტრად თუ გამხდით, ჩამოვალ.

ხალხი ერთხანს აჩოქებოდა:

– უკვე მინისტრად დაგნიშნეთ...

ჰაიდა, ჩამოდი ახლა ქვემოთ... ჩამოდი... ნახე, ყველა შენ გელოდება...

გიჟმა ხელები ცხვირთან მიიტანა და თითები აათამაშა.

– არ ჩამოვალ, განა ჩავალ იმ ადამიანებთან, ვინც გიჟი მინისტრად დანიშნა?

– აბა, ძამო, აი, შენ უკვე მინისტრიც ხარ, სხვა მინისტრები შენ გიცდიან, ჩამო, რა...

– არა, ზომ არ მაწვიმს? რომ ჩამოვიდე საგიჟეთში დამამწყვედვით, არა...

– ამოდ ცდილობთ, არ ჩამოვა, – დაიწყო კვლავ მოხუცმა, – მე ამ გიჟს ძალიან კარგად ვიცნობ. თქვენც რომ გავხადონ მინისტრად, მაშინ არც თქვენ მოინდომებთ ჩამოსვლას...

ზემოდან გიჟმა დაიღრიალა:

– დიდი ვეზირის თანამდებობაზე თუ არ დამნიშნავთ, აქედან გადმოვვარდები.

– დაგნიშნავთ. შენ უკვე დიდი ვეზირი ხარ, – შესძახეს აქეთ-იქიდან.

– მაინც არ ჩამოვა, – დასძინა მოხუცმა.

გიჟი კვლავ აცეკვდა.

– მეფედ გამხდით, ჩამოვალ. თუ არა და, აქედან გადმოვვარდები.

მოხუცის ვარაუდი მართლდებოდა.

– რას იტყვი? დავსვით მეფედ? – რჩევისთვის მიმართეს მას.

– რაღას ვიზამთ? – ახლა რასაც მოითხოვს, უნდა გააკეთოთ, რაც უნდა იყოს, ის დიდი ვეზირია.

– შენ მეფე ხარ, მეგობარო! – დაუყვირეს გიჟს, – ჰა, აბა, ახლა კი ჩამოდი.

სახურავზე გიჟმა კვლავ აათამაშა მუცელი.

– არ ჩამოვალ! – თქვა.

– რაღა გინდა? გვირგვინიც დაგადგეს უკვე.

– ააა... არ ჩამოვალ. იმპერატორად გამხდით, ჩამოვალ, თუ არა და, აქედან გადმოვვარდები.

– მართლა გადმოვვარდება? – ჰკითხეს მოხუცს.

– გადმოვვარდება.

– შენ უკვე იმპერატორი ხარ. ახლა მაინც ჩამოდი.

– რა საქმე აქვს თქვენისთანა დამთხვეულებთან ჩემისთანა იმპერატორს, – გაიბღინდა გიჟი.

– კარგი, მაგრამ რაღა გინდა, თქვი და ავისრულებთ, ჩამოდი, რა, ძამიკო...

– მე ზომ იმპერატორი ვარ? – იკითხა გიჟმა.

– დიან, იმპერატორი ხარ.

– თუკი ასეა, მსურს – ჩამოვალ, მსურს – არ ჩამოვალ... არ ჩამოვდივარ, არა.

კომისარი გაცოფდა.

– თუ ჩამოვარდება, ჩამოვარდეს... ერთი გიჟით ნაკლები იქნება, – გაიფიქრა, მაგრამ თავში სხვა აზრმა გაუელვვა.

– ახლა რაღა გქნათ, – შეეკითხა სახანძრო რაზმის უფროსი მოხუცს, – ეს გიჟი არასოდეს აღარ ჩამოვა?

– ჩამოვა.

– როგორ?

– თავი დაანებეთ და მე ჩამოვიყვან...

ყველა დაინტერესდა, თუ როგორ ჩამოვიყვანდა მოხუცი გიჟს.

მოხუცმა შესძახა გიჟს, რომელიც შვიდსართულიანი სახლის სახურავზე იდგა:

– თქვენო უდიდებულესობავ, მეექვსე სართულზე ჩამოსვლას ზომ არ ინებებთ?

გიჟმა სერიოზული გადაწყვეტილება მიიღო. – კარგო, – თქვა.



სახურავის სარკმელში შეძვრა, კიბეებზე დაეშვა, მეექვსე სართულის სარკმლიდან ხალხს გადმოხედა.

– მბრძანებელთა მბრძანებელი... მეხუთე სართულზე ჩამოსვლას სომ არ ისურვებდით?

– ჩამოვალ.

ყველა განცვიფრებული იყო ამ ამბით. გიჟი უკვე მეოთხე სართულის სარკმლიდან გადმოსცქეროდა ხალხს.

– დიდების ღირსო, იმპერატორო ჩემო, ნეტავ სომ არ გაქვთ სურვილი მესამე სართულზე ჩამობრძანებისა? – განაგრძო ისევ მოხუცმა.

– უეჭველად... – უპასუხა მან.

გიჟი მესამე სართულის სარკმელთან იდგა. ახლა ის არც იმანჭებოდა და არც ივრისებოდა, როგორც სახლის

სახურავზე. მას ნამდვილი მეფის იერი მიეღო.

– დიდებულო იმპერატორო, მეორე სართულზე არ ჩამობრძანდებით?

– აუცილებლად.

მეორე სართულზე ჩამოვიდა.

– სო მარ ექნება თქვენს ადამტებულებას სურვილი პირველ სართულზე ჩამობრძანებისა?

გიჟი ქუჩაში გამოვიდა. ხალხი გაარღვია, პირდაპირ მოხუცთან მივიდა და ხელი მხარზე დაადო:

– ჰეი, – უთხრა, – შენც რომ გიჟი ხარ, უდავოა... ამქარი ამქარს გაუგებს.

შემდეგ კომისარს მიუბრუნდა:

– ჰა, შემკარით და საგიჟეთში გამგზავნეთ. ახლა კი

ისწავლე, როგორ უნდა მოექცე გიჟს?

როცა გიჟი გაგზავნეს, დაინტერესებული ხალხი მოხუცს შემოესვია:

– მაშავ, როგორ მოახერხე ეს საქმე?

– ეეე... – თქვა მოხუცმა, – იოლი არ არის. ორმოცი წელი ტყუილად კი არ ვნაყავი წყალს პოლიტიკაში... შემდეგ მძიმედ ამოიხრა და წარმოთქვა:

– აჰ, აჰ... ახლა რომ მუხლებში ძალა მქონდეს, მეც ავიდოდი სახურავზე და უკვე ვეღარავინ ჩამომიყვანდა ქვემოთ.

თურქულიდან თარგმნა  
**ელიზბარ ჯაგელიძე**

**„ლს“ რედაქტორის მინაწერი:**

ძვირფასო მკითხველო!

სომ ნახეთ, ადრე თუ გვიან, ყველა გიჟი ციხეში მიდის!

უკეთეს შემთხვევაში – საგიჟეთში!

ამიტომ, იქნებ, მანამდე ვცადოთ და თავი არ გავაცუცურაკებინოთ ამ ჯურის მატრაკეცებს, თორემ რა დრომდე უნდა დაჰყოს გიჟმა სახურავზე, მაინც სომ ვერაფერს მოიფიქრებს ისეთს, სახლში წყალი რომ არ ჩამოვიდეს?

ეს ყველაფერი, უბრალოდ, წყლის ნაყვა იქნება! წყლის ნაყვა კი, სახლის სახურავზე მოხდება ეს თუ პირდაპირ პრეზიდენტის სავარძელში, ერთი და იგივეა!

ამიტომ, კიდევ ვიმეორებ, ნუ აყვებით ყველა მატრაკეცას, ხალხო, და სხვების დასაცინი ნუ გავხდებით!

თორემ მე რა, რა მრჯის, ამათი კრიტიკის გამო თავს რომ ყოველდღიურად საფრთხეში ვივლებ?

ნუთუ თქვენ გგონიათ, ამ ბიჭების საარჩევნო ფაფურს რომ ვუყურებ, მე ნაკლებად მეციხება?! არადა, თუკი სურთ, სახურავზეც ავიდნენ, თუ უნდათ, იქიდანაც ჩამოცვივდნენ, ოღონდ ამ ჯამბაზობისთვის, ჩვენ მათ პრეზიდენტებად ნუ ავირჩევთ!

რა, ჩვენზე ნაკლებად კეთილშობილი ხალხია თურქები? სომ ნახეთ ზემოთ, როგორც კი გიჟი სახურავიდან ჩამოვიდა, იმ წუთას ციხეში გაუშვეს!

სხვათაშორის, არც არავის უკითხავს, ის ციხე მისი აშენებული იყო თუ არა!..

„ლს“, 2007, №33

**„ლს“ რედაქტორის დღემანდელი მინაწერი:**

ძვირფასო თანამემამულენო!

რაკი მწერლის გაფრთხილებას ყური არ უგდეთ, ეს გიჟი კაცი, აგერ, მათე წელიწადია, კი გვაზის თავზე!

# საქართველოს „მწერალთა კავშირის“ ჩვენთან – ყოფილ თავმჯდომარეს, მაყვალა გონაშვილს

**ქალბატონო მაყვალა!**

საკაპულისეულ და თქვენდა გულშემმატიკივარ – „რუსთავი 2“-ის სატელევიზიო ეთერით გამოსვლისას განაცხადეთ დაახლოებით ამგვარი რამ, რომ „არავის არა აქვს უფლება თქვენი „გადაყენებისა“, ისევე როგორც... „ბრიტანეთის დედოფლისა“!

აფერუმ თქვენს ქალობას!

ყარაბახში სტუმრობით ხომ აზერბაიჯანთან ძლივს ავცდით საერთაშორისო სკანდალს, ახლა... დიდ ბრიტანეთსაც გადაგვიკიდეთ!

თუ არ ვცდები (კვლავ გონივრული ეჭვი!), ახლახან ისლამისტურ ირანშიც გიმოგზაურიათ!

შე კაი ქალო!

დაჯექი რა საკუთარ ადგილას – რომელი მარგარეტ ტეტჩერი ან „თუნდაც“ – ბრიტანეთის დედოფალი მყავხარ!.. ემანდ, რამეს არ გადაეყარო!.. ანდა რა თანხები გაგაჩნია ამდენი ან ვინ და რატომ გაფინანსებს?

ეს ისე – ტკბილ-მწარე „გულშემატიკივრობით“!

მიყვებთ ძირითადად:

საქართველოს მწერალთა ფორუმზე, რომელიც ამა წლის 22 მაისს, მწერალთა სასახლეში გაიმართა, რეგისტრაციის მიხედვით 407-მა მწერალმა და აქედან, 304-მა – „მწერალთა კავშირის“ წევრმა, ერთხმად დაუჭირა მხარი „მწერალთა ეროვნული აკადემიისა“ და „მწერალთა კავშირის“ წევრმა, ერთხმად დაუჭირა მხარი გაერთიანებას და ამიერიდან – „საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია“ უწოდდა!

ასევე, ერთხმად გადაგაყენათ პირადად თქვენ და მწერალთა საქმიანობას სათავეში ჩაუყენა ის, ვინც სურდა!

გარდა ამისა: შეიქმნა სარევიზიო კომისია, რომელიც „შიგა-შიგ“ თქვენგან განეულ მრავალწლიან „საქმიანობასაც“ შეისწავლის!

რომ გგონიათ, არც ისე სახუმროდაა საქმე!

ერთი რამ გავინყდებათ, დაიკო მაყვალა!

დიდ ბრიტანეთს თავისი კანონები აქვს და საქართველოს... სხვა!

ქართველ მწერლებს სხვა რამ ანუხებთ და ბრიტანელებს – სხვა!

ცოტათი წინ გავუსწრებთ წერილის მსვლელობას:

ფორუმში შემდეგ, სხვადასხვა რაიონიდან რამდენიმე ათეული მწერალი დაგვიკავშირდა და შეუერთდა საერთო გადანყვეტილებას!

ფორუმის (ხაზს ვუსვამთ) სამას შვიდ, მწერალთა კავშირის წევრ-მონაწილეს **კანონიერად**, სრული უფლება ჰქონდა ჩამოეშორებინეთ იმ დიდი ტვირთისაგან, რომელსაც თქვენ და თანაგუნდელნი ასე „უანგაროდ“ ეწოდით, თითქმის... ცამეტი წელი!

კვლავ დავუბრუნდეთ ფორუმის მსვლელობას:

მასში მონაწილეობა მიიღო იმ მრავალმა მწერალმა, რომლებმაც თავის დროზე იძულებით დატოვეს მწერალთა კავშირი, ზოგიც კი თავად... გააძვევეთ!

თქვენ მათ მწერლებად არც კი თვლით!

გეყოთ თავხედობა და მწერლობა დაუნუნეთ... თამაზ წივნივაძეს, რომელიც თურმე, „იყო და ახლა აღარაა მწერალთა კავშირის... წევრი“!

ეს ის თამაზ წივნივაძეა, რომელიც მწერალთა საერთო ფორუმმა (ყრილობამ) ერთსულოვნად და უალტერნატივოდ დაასახელა ორი სამწერლო გაერთიანების, რომელსაც „მწერალთა ეროვნული აკადემია“ ეწოდა – ხელმძღვანელად!

ამით კი, მართლაც, აღდგა სამართლიანობა!..

სხვათა შორის, ეს ის თამაზ წივნივაძეა, რომელიც თავისი ცხოვრებით და შემოქმედებით, სიცოცხლის რისკის ფასად ებრძოდა კომუნისტურ მენტალიტეტს, ებრძოდა ყოველივე არაქართულს და ბოლოს... ლომის წვლილი შეიტანა სააკაშვილის ქართველთაძულე ხელისუფლების მხილებაში!..

თუ თქვენს ლოგიკას მივყვებით, მწერლებად არ უნდა „ჩაითვალოს“ „მწერალთა კავშირიდან“ გარიყულ-განდგომილ-გაყრილი ცნობილი ქართველი შემოქმედნი: ელიზბარ ჯაგელიძე, რეზო ამაშუკელი, რეზო ჭიშვილი...!

რომელი ერთი ჩამოვთვალთ!

აბა, თქვენ და ვაჟიკო ოთარაშვილი ყოფილხართ მწერლები!.. არ მიგაჩნიათ ჩვენი – ანუ ფორუმის გადანყვეტილება მართებულად?

კი, ბატონო!

მტყუანს სამარეში უნდა ჩაჰყვეო! – ნათქვამია და გთავაზობთ შემდეგ: მოვიწვიოთ მწერალთა კავშირის რიგგარეშე ყრილობა, სადაც თქვენი და ჩვენი ჯგუფის – მწერალთა კავშირის წევრებთან ერთად, თქვენგან არცნობილი – „გარიყულ-განდგომილ-გაყრილი“ მწერლებიც მიიღებენ მონაწილეობას! მათი სიის დადგენა, მწერალთა კავშირის ძველი წიგნის მიხედვით, საკმაოდ ადვილია!

ოღონდ, ერთი პირობით: გთხოვთ, გაგვაცნოთ მწერალთა კავშირის გამგეობის სხდომების ის ოქმები, რის საფუძველზეც ექვსასამდე (ბოლო მონაცემებით!) ადამიანი გაამწერლიანეთ!

იქნებ, ისიც აგვიხსნათ, რა დამსახურება გააჩნდათ მათ ქართული მწერლობის წინაშე, ასეთი პატივი რომ ერგოთ!

თუ ეს მოხდა იმ უბრალო მოტივით, რომ მეტი ხმა მიგეღოთ არჩევნებში და ამით საკუთარი მომავალი უზრუნველგეყოთ?

მეტს კი არაფერს აკეთებდა ის ავადსახსენებელი სააკაშვილი – აყალბებდა არჩევნებს და თვალში ნაცარს აყრიდა ყველას!

ჩვენ არ გვემინია და კიდევ ერთხელ შეგახსენებთ: გამოსავალი მხოლოდ რიგგარეშე ყრილობის მოწვევაშია და ამით დამთავრდება ეს ინილო-ბინილო და ქართული მწერლობის პრესტიჟის შელახვა, ისედაც გაუბედურებულის და... საკმაოდაც – თქვენი დახმარებით!

უდიდესი ძალისხმევა სჭირდება იმ პროგრამის გახორციელებას, რასაც „ქართული მწერლობის გადარჩენისა და დახმარების პროგრამა“ შევარქვით და უკვე გადავდგით პირველი ნაბიჯი – აკრძალული და გაუქმებული, მრავალგზის ნაცემი და ნანამები, მწერალთა უსაყვარლესი და უძველესი გაზეთის – „ლიტერატურული საქართველოს“ ახალდაბადებით!

არც დიდი სურვილი გვაქვს თქვენთან უაზრო და არაფრის მთქმელი პოლემიკისა!

უსწრაფესად და სამართლიანად ჩატარებული საქართველოს მწერალთა კავშირის რიგგარეშე ყრილობაზე გადანყება ყველაფერი!

ჯერი თქვენზეა, თუ არა და, არსებობს სხვა: კანონისა და სამართლიანობის გზა!

**ალეკო ვაბელია**  
**ავთანდილ ჩხაიძე**

**P.S.** ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ თქვენ „გარიცხვით“ ემუქრებით იმ მწერლებს, რომელთაც სურთ „საქართველოს მწერალთა ეროვნულ აკადემიაში“ შემოსვლა.

თქვენ, როგორც ხელმძღვანელთა ვინრო წრეს, ამის უფლება არ გაქვთ!

ეს უნდა გადანყვიტოს ან ყრილობამ, ან გამგეობის საგანგებო სხდომამ. ◆



### ახალი ყიზილბაშები

დროშების ფრიალ-ფრიალით,  
შადრევენებით და მარშებით,  
შემოსევთან ქვეყანას  
ახალი ყიზილბაშები,  
გულზე მარჯვენის ბრაგუნით,  
ცაში ბუშტების გაშვებით,  
გადმოკარკლული თვალებით,  
გასქელებული შუბლებით,  
ძლომით დამსკდარი ლაშებით,  
გაფუებული ფაშებით...  
კარუსელებზე ლალობენ  
ახალი ყიზილბაშები...  
რის მონგოლი და რის სპარსი,  
ბეგთაბეგნი და ფაშები —  
მუტანტი ჰიბრიდელები —  
ქართველი ყიზილბაშები.  
ვინ არი ხმის ამომღები,  
ანდა, რაიმეს დამშლელი!  
საით წავიდნენ ვაჟები,  
ფაფარაშლილი მერნებით,  
რა იქნენ დიდგორელები,  
სად გაქრნენ არაგველები!  
მიწიდან ზეცას შევბლავი —  
ღმერთო, შენ მაინც რას შვრები!  
რატომ მიქციე სამშობლო  
სარბევად ყიზილბაშების! —  
ქართველი ყიზილბაშების!...

### გაზიდაურის წერილი თამაზ წივნივაძეს

ბარიდან მამცნო მგელიკამ:  
თავ უნდ ვახლო ქვაზეო,  
ჩვენი გაზეთის დახურვას  
აპირებს წივნივაძეო.

მთავრობამ აიხირაო,  
არ აძლევს შუქს და დენსაო,  
არსაით უჩანს მშველელი  
ხელ შაუბრუნოს მტერსაო...

რამ დაგაღონა თამაზო,  
რა დარდი შამაგნოლია,  
„იქ“ დაიკიდე მთავრობა  
ვითომ სულაც არ გყოლია.

ფული არა გვაქვს მთიელთა,  
მაგრამ გული გვაქ ლომური,  
გვითხარ, ჩამოვალთ, მაგათ რო  
თავზე დავამხოთ გომური.

თუმცა გომური ვინა თქო,  
სრა-სასახლენი შვენითა,  
მასუკან გალომვეშაბდნენ  
„იქ“ რომ დაბრძანდნენ ჩვენითა.

ეხლა ზემოდან დაგვცქერენ,  
ვაი, დედასა, მტრისასა,

არას ისმენენ ძახილსა  
არც ბარის, არცა მთისასა.

რამ დაგადედლათ ბარელნო,  
რატომ არ იღებთ ენასა,  
რატომ შაარჩენთ მაგ ლლაპებს  
ამდენ ავსა და წყენასა!

შენ არ გეკუთვნის ძმისაო,  
ეს შეძახილი ვაჟური,  
იომე, კაცი ყოფილხარ,  
შაგარგოს ყურძნის ნაჟური.

მაგრამ ერთაი, რასა იქმნ,  
ვით დასძლევ დუნდგას მტრებიანს,  
ერთსა გიტევდნენ ათასნი  
ეგრემცა მოგერევიან.

მაგრამ აქა ვართ ქართველნი,  
გადმოვალთ მთას და ქედასა,  
ვინც რომ ჩვენს გაზეთს უბღვერის  
ყველას ვუტირებთ დედასა.

ჯერაც ბევრნი ვართ, ძმისაო,  
ვაჟები დასტა-დასტები,  
ჯერ ჩვენში კაცად არ გვიჩანს  
ლესბოსელ-პედერასტები.

ჯერ ხელთ გვაქვს დროშა  
ქართული,  
წინაპართ მონაბოძები,  
ვერ იჯეჯილებს ჩვენშია  
ქვეყნის გამყიდველ-ბოზები.

სრა სასახლეებს არ ვერჩით,  
როგორც არს, ისე იყოსა,  
იმათ პატრონებს კი თავზე  
დავხურავთ ცოლის ტრიკოსა.

ცრუდ არ ვიქადნი, თამაზო,  
ვფიცავ მაღლს ლაშარისასა,  
საქართველოს მტერს შავაჭმევ  
გულ-ღვიძლსა მისივ ძმისასა.

„ვისაც ჩვენ არ ვებრალებით,  
ჩვენ შავიბრალთ რისადა,  
სიკვდილი თვითონ უფალსა  
გაუჩენია მტრისადა“.

მხნედ იყავ, ჯვარი გენეროს,  
შენს სიტყვას ყველგან ელიან,  
ბოროტების გზა მოკლეა,  
სიკეთის გზა კი გრძელია!

გაზეთი „ლს“, 2007 წ.

